საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №98 (3139) პარასკევი, 16 აპრილი, 1999 წელი. ფასი შეთანხმებით.

რუსთავცემენტი
Rustavcement
შეიძინეთ მხოლოდ ამ ნიშნით!

პარლამენტის თავმჯდომარე

დესპანები იცვლებიან, კურსი უცვლელია

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო საქართველოში საბერძნეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სპირიდონ გიორგილესი.

ბატონი სპირიდონ გიორგილესი საქართველოში ელჩად სულ ახლახან დაინიშნა და როგორც ზურაბ ჟვანიასთან საუბარში აღნიშნა, მისი ეს ვიზიტი გაცნობის ხასიათს ატარებს.

„საქართველოს ჩვენს საგარეო პოლიტიკაში ერთ-ერთი პრიორიტეტული როლი ენიჭება და ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია მოვისმინო თქვენი შეფასებები აქ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე“, – განაცხადა გუშინდელ შეხვედრაზე სპირიდონ გიორგილესმა. მისივე თქმით, საბერძნეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ წრეებში საქართველოსთან თანამშრომლობას დიდ პერსპექტივას უკავშირებენ, მით უმეტეს, რომ მართლმადიდებელ საქართველოსა და საბერძნეთს მრავალსაუკუნოვანი კულტურული ღირებულებები აკავშირებთ.

იხ. მე-2 გვ.

კანონმდებლები

როცა კამათი კონსტრუქციულია

საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების პირველი დღე დეპუტატთა მიერ დღის წესრიგის დამტკიცებით დაიწყო, რის შემდეგაც, პარლამენტარებმა იმსჯელეს კანონპროექტზე „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ თეიმურაზ კოპალეიშვილმა პროექტის განხილვისას წლეულს განათლების სისტემის დაფინანსების შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის პოზიცია წარმოადგინა. მისი თქმით, განათლების სისტემის ხარჯებს რაიონების საკრებულოები დააფინანსებს, გარდა კომუნალური მომსახურებისათვის საჭირო თანხისა, რასაც თავად სოფლის საკრებულო გადაიხდის. უმრავლესობის წინადადებითვე, მიწის გადასახადის 50 პროცენტი სოფლის საკრებულოში დარჩება, მეორე ნახევარი კი, რაიონის საკრებულოს გადაეცემა. პროექტის ტექსტის ირგვლივ, საპარლამენტო ფრაქციებმა „ედპ-ერთიანული დემოკრატიულმა პარტიამ“ და „სახალხო პარტიამ“ საკუთარი ალტერნატიული წინადადებები წარმოადგინეს.

სათბობენერგეტიკის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონის პროექტი „ნავთობისა და გაზის შესახებ“ დეპუტატებმა შესწორებულ მუხლებზე მსჯელობით დაიწყეს. განიხილეს მე-7, მე-10 და 27-ე მუხლების ალტერნატიული ვარიანტი. ეს მუხლები ეხება ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს, ინვესტორისათვის ნავთობისა და გაზის რესურსების ძებნა-ძიებისა და მოპოვების უფლებების მინიჭების პროცედურას, კანონით რეგულირებულ ურთიერთობათა სტაბილურობასა და ინვესტორის მიერ შეძენილი უფლებების სახელმწიფო გარანტიებს.

იხ. მე-2 გვ.

ფრთხილად!

„მეხუთე კოლონა“ სადეზინფორმაციო იერიშზე გადმოვიდა

სიტყვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების უმთავრესი მონაპოვარია. აქედან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა რეფორმების პროცესში პრესასთან ურთიერთობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო უწყება ჯერ კიდევ შორსაა სასურველი ტრანსფარენტულობისაგან, არ ყოფილა შემთხვევა, რომ საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილი ნებისმიერი პრობლემა სამხედრო ხელმძღვანელობას ჯეროვანი ყურადღების გარეშე დაეტოვებინა. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანს გარკვეული ძალები საზოგადოებაში მიზანმიმართულად აღვივებენ უნდობლობას თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის მიმართ და მის საქმიანობას ნეგატიურად წარმოაჩენენ. ხშირია ცილისმწამებლური და ღირსების შემლახველი პუბლიკაციებიც.

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო გამოიყენებს ყველა საშუალებას, რათა ამხილოს მის წინააღმდეგ გაჩაღებული მიზანმიმართული ცილისმწამებლური კამპანიის შემკვეთები.

ფაქტი

თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულმა ფერმერთა და გლეხთა საკრედიტო კავშირების წევრთა პირველმა ყრილობამ **მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა ჩვენი სახელმწიფოს მეთაური** ედუარდ შევარდნაძე.

პრეზიდენტი

ჰანტერ მონრო: „აყვავებას ვუსურვებ საქართველოს, ქვეყანას, რომელსაც მთელი ცხოვრებით დავუკავშირდი“

საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. მას ჰანტერ მონრო, მისიის ყოფილი ხელმძღვანელი, ახასიათებს როგორც კარგ ეკონომისტს, რომელმაც უკვე მდიდარი გამოცდილება შეიძინა რუსეთსა და ლიტვაში. „დარწმუნებული ვარ, რომ კრისტოფერ ლეინი ყველაზე რთულ სიტუაციებშიც კი შეძლებს პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა“, ასე წარუდგინა ჰანტერ მონრომ 15 აპრილს საქართველოს პრეზიდენტს მისიის ხელმძღვანელი კრისტოფერ ლეინი და იმედი გამოთქვა, რომ მისი კოლეგის მოღვაწეობის დროს საქართველოსა და სავალუტო ფონდს შორის ნაყოფიერი და კონსტრუქციული თანამშრომლობა გაგრძელდება და განმტკიცდება.

მეორე მხრივ კი, ჰანტერ მონრო, რომელიც სამშობლოში ახალი „სტატუსით“ – ქართველების სიძედ ბრუნდება, მადლობას უხდის ყველას, ვინც ოთხი წლის განმავლობაში ხელი შეუწყო ფონდსა და საქართველოს მთავრობას შორის ურთიერთნდობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას. ბოლო პერიოდში შექმნილი გარკვეული სიძნელეების მიუხედავად, იგი მიიჩნევს, რომ საქართველომ ამ წლების მანძილზე საკმაოდ საგრძნობსა და

იხ. მე-2 გვ.

კრიზისის დასაძლევად

პირველი კვარტალის საბიუჯეტო დავალება შესრულდა, როგორია მომავლის პერსპექტივა?

წიწილებს ზოგჯერ გაზაფხულზეც ითვლიან

– გუშინ ხაზინაში 2 მილიონ 200 ათასი ლარი იდო, დღეს – მილიონზე მეტი. და სწორედ ამის გამო, შარშანდელი შემოდგომიდან მოყოლებული, რაც ამ თანამდებობაზე დამნიშნეს, მერწმუნეთ, პირველად ვიგრძენი თავი მინისტრად, რადგან გაჩნდა ნაღდი შანსი, რომ თუნდაც ნაწილობრივ, მაგრამ მაინც ოპერატიულად დაგვეფინანსებინა აუცილებელი ხარჯები, – თქვა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა დავით ონოფრიშვილმა ერთიანულ პოლიტიკურ კლუბში გუშინ ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე, სადაც პირველი კვარტალის საბიუჯეტო დავალებათა შესრულებაზე, აქციზური მარკების შემოღების პირველ შედეგებზე, საბაჟოს გამო გამართულ ტენდერსა და სხვა საკითხებზე ისაუბრა.

ჩვენნაირი საბიუჯეტო პრობლემების მქონე ქვეყანაში ადვილად შეიძლება გაუგო მინისტრს, რომელსაც საკმაოდ მწირი შემოსავლებით ძალიან უჭირს ყველა პროგრამის დაფინანსება, ირწმუნო მისი სიტყვების სიწრფელეც და ფინანსური მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესებით გამოწვეული სიხარულიც.

როგორც მინისტრმა თქვა, პირველი კვარტალის საბიუჯეტო დავალება შესრულდა. კარგად იმუშავა საგადასახადო დეპარტამენტმა, რომელმაც სამი თვის გეგმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პარამეტრების შესატყვისად გაანაღდა. საბაჟო დეპარტამენტმაც გაართვა თავი კვარტალურ დავალებას, მაგრამ მის მიერ მობილიზებული თანხები ზემოაღნიშნული ფონდის პარამეტრებით გათვალისწინებულზე 25 მილიონი ლარით ნაკლებია.

მინისტრის აზრით, ეს რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. პირველი იყო ის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საბაჟო დეპარტამენტს პირველ ნახევარში მთლიანი წლიური გადასახადების 48-პროცენტიანი ამოღება დაუგეგმა,

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

ჩინეთის ელჩი – საკონსტიტუციო სასამართლოს

15 აპრილს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლექტივს ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ჯან იუნ ციანმა საელჩოს სახელით კომპიუტერული ტექნიკა გადასცა საჩუქრად. ბატონმა ელჩმა აღნიშნა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მოხარულია დახმარება გაუწიოს ისეთ დემოკრატიულ ინსტიტუტს საქართველოში, როგორიცაა საკონსტიტუციო სასამართლო და იმედი გამოთქვა, რომ ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ავთანდილ დემეტრაშვილმა მთელი კოლექტივისა და მოსამართლეების სახელით გულთბილი მადლობა გადაუხადა ჩინეთის საელჩოს საქართველოში მათთვის აღმოჩენილი დახმარებისათვის. შეხვედრაზე ავთანდილ დემეტრაშვილმა განაცხადა, რომ ნიშანდობლივია ჩინეთის ელჩის სტუმრობა საკონსტიტუციო სასამართლოში სწორედ იმ დღეებში, როდესაც სუფსის ტერმინალი ოფიციალურად იხსნება და დასძინა, რომ დიდი აბრეშუმის გზის რეალური აღორძინებით საქართველოსა და ჩინეთის ისტორიული ურთიერთობის ახალი ეტაპი იწყება.

სეინერები გაუშვეს

ქართველი მესაზღვრეების მიერ დაკავებული სამი თურქული სეინერი ხუთშაბათს დილის 8 საათზე გაუშვეს ფოთის ნავსადგურიდან, აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის რწმუნებულმა დასავლეთ საქართველოში რევაზ გაბუნიამ.

მისი თქმით, თურქულმა სეინერებმა დავალიანება გადაუხადეს ფოთის ნავსადგურის კომერციულ განყოფილებას.

ქართველმა მესაზღვრეებმა სამი თურქული სეინერი „ალჯი-ბაბა-1“, „ალჯი-ბაბა-2“ და „ემჯიმ კაპიტან ოღლე“ 14 აპრილს დააკავეს. თევზსაჭერ სეინერებს ნავსადგურიდან გასვლის საბუთები არ ჰქონდათ გაფორმებული და გაუფრთხილებლად გასვლას აპირებდნენ.

მოლაპარაკება ამ ეტაპზე უპერსპექტივოა

საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში ირაკლი მაჭავარიანი, ქართულ-ოსური კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების მიზნით, ქართულ და ოსურ მხარეებს შორის მოლაპარაკებებს ამ ეტაპზე არაპერსპექტიულად მიიჩნევს. როგორც მაჭავარიანმა პრაიმ-ნიუსს უთხრა, ამჟამად ცხინვალის რეგიონში წინასაარჩევნო პერიოდია და ამ დროს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საქართველოსგან დამოუკიდებლად არსებობის დეკლარირება, არსებული პოლიტიკური პარტიებისთვის, წინასაარჩევნო კამპანიის ძირითადი კოზირია.

ცხინვალის რეგიონში საპარლამენტო არჩევნების გამართვა 12 მაისს არის დაგეგმილი.

მაჭავარიანის აზრით, კონფლიქტის მოწესრიგების რეალური გზა სწორი პოლიტიკის გატარებაა. კერძოდ, მისი თქმით, ადგილობრივი მოსახლეობა უნდა დარწმუნდეს, რომ საქართველოსგან დამოუკიდებლად არსებობს და განვითარების პერსპექტივა ცხინვალის რეგიონს არა აქვს.

აფხაზებმა ქართველი მებადური ქალი გაათავისუფლეს

აფხაზთა მხარემ გაათავისუფლა ქართველი მებადური ქალი, რომელიც სოხუმის მიერ დაკავებული ქართული სეინერის – „ალიონის“ ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრია, – აცნობა პრაიმ-ნიუსს ტყვეთა გაცვლისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ვლადიმერ დობორჯგინიძემ.

აფხაზთა მტკიცებით, „ალიონის“ 10 მებადური 3 აპრილს აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში უკანონო თევზის რეწვისთვის დააკავეს. სეინერი ამჟამად სოხუმის ნავსადგურში იმყოფება.

დობორჯგინიძის თქმით, მისთვის უცნობია ის პირობები, რომელიც აფხაზურმა მხარემ წამოაყენა მებადურის გათავისუფლების სანაცვლოდ.

ჩემთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ქალბატონი უპირობოდ არ გაუთავისუფლებიათ, – განაცხადა დობორჯგინიძემ.

„ჯავახკის“ ბაზაზე პოლიტიკური ორგანიზაცია ჩამოყალიბდება?

სამცხე-ჯავახეთში მოქმედი საზოგადოებრივი მოძრაობა „ჯავახკის“ ბაზაზე ჩამოყალიბებული ორგანიზაცია „ვირქის“ პოლიტიკურ პარტიად გარდაქმნას მხარს არ უჭერს ახალქალაქის გამგებელი გენადი მურადიანი, რადგან „რეგიონული და ეთნიკური ნიშნით პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბება მიუღებელია“.

მისი თქმით, სომხეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ „ვირქის“ ხელმძღვანელობას ეს აზრი გადაათქმევინონ.

მურადიანის თქმით, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით, „ვირქის“ საინიციატივო ჯგუფში თვითონ და ნინოწმინდის გამგებელიც შევიდნენ.

ამჟამად „ჯავახკი“ ფაქტობრივად აღარ არსებობს, – თქვა მურადიანმა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

მილოცვა

ბატონ ირაკლი ციციშვილს

ბატონო ირაკლი,

დიდად ვწუხვარ, რომ თქვენი სახელოვანი იუბილეს აღნიშნას ვერ ვესწრები (მიზეზი, ვფიქრობთ, ყველასათვის გასაგებია).

მოგმართავთ უღრმესი პატივისცემის სიტყვებით, როგორც ჭეშმარიტ გმირს, დიდ პატრიოტს, ბრწყინვალე მოქალაქეს, ყველა დროში მისაბაძ მამულიშვილს.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა თქვენთან საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა, როცა საფუძველი ჩაეუყარეთ უნიკალური ქართული კულტურის მატერიალური ძეგლების გადარჩენისთვის მოძრაობას, რაც მაშინდელ სახელმწიფოში, მაშინდელი რეჟიმის პირობებში გმირობის ტოლფასი იყო. ვამაყობ ამით.

თქვენ, არცთუ ახალგაზრდა კაცი, დიდი ენთუზიაზმით და შემართებით ემსახურებით ამ დიდ საქმეს, იბრძვით დამოუკიდებელ საქართველოში მეცნიერებისა და კულტურის აღორძინებისათვის.

ყველაფრისთვის დიდი მადლობა.

ედუარდ შევარდნაძე.
1999 წლის 14 აპრილი.

17 აპრილს იხსნება ბაქო-სუფსის ნავთობსადენი და სუფსის ტერმინალი

საუკუნის მაგისტრალი

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია: თანამშრომლობის მერიდიანები

1995 წლის ნოემბერში საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია (სნსკ). 1996 წლის თებერვალში იგი დაფუძნდა როგორც სააქციო საზოგადოება, რომელსაც გადაეცა სამგორი-ბათუმის არსებული ნავთობსადენი თავისი ინფრასტრუქტურით და შესაბამისად, სახელმწიფომ დაინარჩუნა სნსკ-ს აქციების 100 პროცენტი. ახალ სტრუქტურას საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული ამოცანის შესაბამისად, უნდა შეექმნა იმის წინაპირობა, რომ როგორც „დასავლეთის მარშრუტის ადრეული ნავთობსადენის“, ასევე

იხ. მე-4 გვ.

საუკუნეთა მიჯნაზე

ეკონომიკა და სახელმწიფო

1. „ხილული ხელის“ აქტიური ზეგავლენით

ეკონომიკისა და სახელმწიფოს ურთიერთობის პრობლემა XXI საუკუნის კარიბჭესთან ისევ საზოგადოების ყურადღების, მეცნიერებასა და სამეურნეო პრაქტიკაში მწვავე კამათის საგანი გახდა. განსაკუთრებით ეს გამოვლინდა სოციალისტური ეკონომიკის ტრანსფორმაციის პერიოდში. სახელმწიფოს როლს, მის ფუნქციებს არა მხოლოდ ეკონომიკაში, არამედ საერთოდ საზოგადოებრივ ურთიერთობებში ეკონომისტებთან ერთად აქტიურად განიხილავენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა თითქმის ყველა დარგის წარმომადგენლები.

კამათი გრძელდება არა იმის გამო, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება აუცილებელია თუ არა, არამედ მის მასშტაბებზე, ფორმებზე, მეთოდებზე, ეფექტიანობასა და საერთოდ მიზანმიმართულებაზე.

იხ. მე-3 გვ.

შეიქმნა ზურაბ რატიანის დამკრძალავი კომისია

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა საქართველოს დამსახურებული იურისტის, იურისტთა კავშირის თავმჯდომარის, ჟურნალ „სამართლის“ მთავარი რედაქტორის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ზურაბ რატიანის დამკრძალავი კომისია ლადო ჭანტურიას თავმჯდომარეობით.

გვიპასუხებენ

სამინისტროს მიზანშეწონილად არ მიაჩნია

თქვენი გაზეთის ამა წლის 6 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული საგაზეთო მასალა სათაურით „გაზეთი სოფლამდე მაინც ვერ აღწევს“ კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ შეისწავლა.

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო მიესალმება და ეთანხმება სტატიის ავტორს ვალენტინ მელიქოვის წინადადებას – სოფლებში და საკრებულოებში გაზეთის გამოწერის შესახებ, რაც შესაძლებელს გახდიდა ხელისუფლების განკარგულებებისა და დადგენილებების დაყვანას სოფლის მოსახლეობამდე.

გაზეთის კითხვის მსურველები თეთრი წყაროს რაიონში ბევრია, მათ შორის, დაბა მანგლისშიც, მაგრამ გამოწერისა და ყიდვის სურვილი არავის აქვს. თვით წერილის ავტორსაც და როდესაც ასეთ საკითხს სვამს თვითონ უნდა იყოს ინიციატორი.

იხ. მე-2 გვ.

ყურადღება, აქციზური მარკები!

მიმდინარე წლის 20 მარტიდან აკრძალულია არამარკირებული ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა, 30 მარტიდან – თამბაქოს ნაწარმის!

აქციზური მარკები უზრუნველყოფს ბიუჯეტის შევსებას, ჯანსაღი კონკურენციის პირობების ჩამოყალიბებას, ხელს უშლის კონტრაბანდული და ფალსიფიცირებული პროდუქციის გამოჩენას ბაზარზე.

აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, რეალიზაცია ან შენახვა ისჯება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით ვადით 1-დან 10 წლამდე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების სამსახური აგრძელებს დადგენილი წესით აქციზური მარკების რეალიზაციას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 14.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტი.

ფინანსები

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1999 წლის 16 აპრილიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	3.5305 ლარი
გერმანული მარკა	1	1.2089 ლარი
აშშ დოლარი	1	2.1900 ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.3605 ლარი
თურქული ლირა	10,000	0.0578 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0850 ლარი

უკანასკნელ საათს

ნატომ აღიარა, რომ ალიანსის ერთ-ერთმა თვითმფრინავმა შეცდომით შეუტია ლტოლვილთა ავტოკოლონას. პილოტს ავტოკოლონის სათავო მანქანა ტანკი ეგონა. ავტოკოლონის დაბომბვის შედეგად 60 კაცი დაიღუპა.

მინისტრმა ჯეკ სტრომ განაცხადა, რომ ბრიტანეთის სასამართლოს უფლება აქვს განიხილოს ესპანეთის მოთხოვნა გენერალ პინოჩეტის გადაცემის შესახებ.

პაკისტანის სასამართლომ ყოფილ პრემიერს ბენაზირ ბჰუტოს კორუფციის ბრალდებით ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯა.

დღეს

ამინდი



დასავლეთ საქართველოში

ღრუბლიანი ამინდი, უმეტესად წვიმა, მაღალ მთაში თოვლი.

ბარში: ღამით +4+9;
დღისით +12+17.
მთაში: ღამით +1+6; დღისით +8+13.
მაღალ მთაში: ღამით -2+3;
დღისით +1+6.

აღმოსავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით ზოგან ხანმოკლე წვიმა და ელჭექი.

ბარში: ღამით +5+10;
დღისით +15+20.
მთაში: ღამით: 0+5;
დღისით +11+16.
მაღალ მთაში: ღამით -3+2;
დღისით +9+14.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. სუსტი ქარი.

ღამით +7+9; დღისით +18+20.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეზიდენტი

ჰანტერ მონრო: „აყვავებას ვუსურვებ საქართველოს, ქვეყანას, რომელსაც მთელი ცხოვრებით დავუკავშირდი“

(პირველი გვერდიდან)

არსებით პროგრესს მიაღწია. „მე ახლა უკვე მთელი ცხოვრებით დავუკავშირდი საქართველოს და გულწრფელად ვუსურვებ მას აყვავებას“, აღნიშნა მან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრაზე.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა მისიის ყოფილ ხელმძღვანელს ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის და აღნიშნა, რომ სწორედ სავალუტო ფონდს უკავშირდება ეკონომიკის სფეროში საქართველოში განხორციელებული რეფორმები. სახელმწიფოს მეთაურმა პროფესიული წარმატებები და პირადი ბედნიერება უსურვა ჰანტერ მონროს და იმედი გამოთქვა, რომ სავალუტო ფონდში საქართველომ მისი სახით კიდევ ერთი გულწრფელი გულშემატკივარი შეიძინა.

პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

პარლამენტის თავმჯდომარე

დესპანები იცვლებიან, კურსი უცვლელია

(პირველი გვერდიდან)

როგორც ზურაბ ჟვანიამ ელჩთან საუბარში აღნიშნა, საბერძნეთის მონაწილეობა რეგიონულ პროექტებში მკაფიოდ იკვეთება და იგი სულ უფრო საკვანძო ფუნქციას იძენს. დინამიკურად ვითარდება ორმხრივი საპარლამენტო კონტაქტებიც, რაც, თავის მხრივ, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო გააქტიურებას დაედება საფუძვლად. შეხვედრაზე განიხილეს სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები.

ამავე დღეს, ზურაბ ჟვანიამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელი საქართველოში პანთენ მონრო მიიღო. მან დაასრულა თავისი საქმიანობა საქართველოში და პარლამენტის თავმჯდომარეს წარუდგინა მისიის ახალი ხელმძღვანელი კრისტოფერ ლეინი.

შეხვედრაზე იმსჯელეს ამ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციასთან საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

პარლამენტის პრესსამსახური.

პრობლემა

ჯერ პირობები უნდა მომზადდეს

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილმა დეპორტირებული მოსახლეობის რეაბილიტაციისა და რეპატრიაციის სამთავრობო კომისიამ პირველი სხდომა გამართა.

1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან პოლიტიკური რეპრესიების შედეგად გასახლებული მოსახლეობის დაბრუნების საკითხი გასულ წლებში საკმაოდ მწვავედ და წინააღმდეგობრივად განიხილებოდა.

კომისიის წევრები სახელმწიფო მინისტრის ვაჟა ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით პირველად შეიკრიბნენ საორგანიზაციო საკითხების განსახილველად. შეხვედრაზე ითქვა, რომ მიუხედავად საკითხის გარშემო ახლო წარსულში ატეხილი აჟიოტაჟისა, სიღრმისეული კვლევა არ ჩატარებულა, თუ არ ჩავთვლით ცალკეული ენთუზიასტის მცდელობას დაედგინა სიმართლე. დღემდე არ არის დაზუსტებული დეპორტირებულთა რაოდენობაც კი. ამიტომაც, როგორც ვაჟა ლორთქიფანიძემ განაცხადა, კომისიის თითოეულმა წევრმა უნდა გაისიგრძეგანოს პრობლემის მნიშვნელობა, რათა ისედაც დაზარალებულ ხალხს კიდევ ახალი ტრავმა არ მივაყენოთ. მისი თქმით, მართალია, საქართველოს არავითარ შემთხვევაში არ ეკისრება პასუხისმგებლობა წარსულში საბჭოთა ფუნქციონერების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაჩაგრულ მოძმეს თანადგომა არ აღმოუჩინოთ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აღნიშნული საკითხის მოგვარების უკეთესი პერსპექტივა ისახებოდა, მაგრამ მომდევნო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა, შიდა კონფლიქტებმა და 300 ათასამდე დევნილის მძიმე ხვედრმა შეუძლებელი გახადა დეპორტირებულთა ბედის გადაწყვეტა. ვენის საბჭოზე ამ ცოტა ხნის წინათ მიღებული კომუნიკეს თანახმად, ეს საკითხი საერთაშორისო პრობლემად აღიარეს და დაადგინეს, რომ მის გადასაწყვეტად საქართველოსთან ერთად იმ ქვეყნებმაც უნდა იზრუნონ, სადაც ამჟამად ცხოვრობენ დეპორტირებულები. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, იმ 12 წლის მანძილზე, რომელიც პრობლემის მოგვარების სავარაუდო ვადად დასახელდა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ.

პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

კანონმდებლები

როცა კამათი კონსტრუქციულია

(პირველი გვერდიდან)

საპარლამენტო ფრაქცია „სახალხო პარტიის“ პოზიციით, აუცილებელია, რომ დეპუტატები პროექტის მე-3 თავის განხილვის პროცესში, რაც ნავთობისა და გაზის შესახებ ხელშეკრულებებსა და ნავთობისა და ნავთობგაზიანი წიაღით სარგებლობის თავისებურებების შესახებ ინფორმაციას ითვალისწინებს, გაეცნონ ამ სფეროში უკვე მოქმედი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შინაარსს, კერძოდ, იმ ნაწილებს, რომლებშიც ასახულია სახელმწიფო ინტერესების სფერო კანონის უზენაესობის თვალსაზრისით. ფრაქციის აზრით, დეპუტატებს ეჭვი არ უნდა გაუჩნდეთ, რომ ეს შეთანხმებები შესაძლოა კანონთან შეუსაბამობაში იყოს, რადგან ისინი ამ სფეროში დადებული ხელშეკრულებების ძირითად პრინციპებს არ იცნობენ. საპარლამენტო ოპოზიციას უმრავლესობის გარკვეული ნაწილიც დაეთანხმა.

დეპუტატებმა სათბობენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს თეიმურაზ ცაბაძეს მოსთხოვეს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ სახელმწიფოსა და კომპანიებს შორის დადებული მოქმედი ხელშეკრულებების მიხედვით, მოგების რა პროცენტი რჩება სახელმწიფოს და რა კერძო კომპანიებს. თეიმურაზ ცაბაძემ დეპუტატებს ამ და სხვა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდა.

გუშინვე პარლამენტარებმა საგარეო საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების ავტორობითა და პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების თანაავტორობით შემუშავებული რამდენიმე საერთაშორისო შეთანხმება და ხელშეკრულება განიხილეს.

საქართველოს პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომა დღეს, 16 აპრილს გაიმართება.

პარლამენტის პრესსამსახური.

ფრთხილად!

„მეხუთე კოლონა“ სადეზინფორმაციო იერიშზე გადმოვიდა

(პირველი გვერდიდან)

ამის ერთ-ერთი მაგალითია გაზეთ „ალიამი“ 15 აპრილს გამოქვეყნებული სტატია. მასში „კონფიდენციალურ წყაროზე“ დაყრდნობით, საუბარია იმის თაობაზე, თითქოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში „მაღალ და საპასუხისმგებლო პოსტზე“ დაინიშნა ოფიცერი, რომელიც სასაზღვრო დეპარტამენტში მუშაობისას, არც მეტი არც ნაკლები, ჯაშუშობაშია დადანაშაულებული.

ამასთან დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრი უფლებამოსილია განაცხადოს, რომ სტატიაში მოტანილი ფაქტი სრული სიყალბე და იმ მიზანმიმართული კამპანიის შემადგენელი ნაწილია, რომელიც სამინისტროს ხელმძღვანელობის დისკრედიტაციის გარდა სხვადასხვა უწყებებს შორის დაპირისპირების პროვოცირებასაც ისახავს მიზნად. როგორც ჩანს „მეხუთე კოლონა“ სახელმწიფოს წინააღმდეგ მორიგ ფართომასშტაბიან, სადეზინფორმაციო იერიშებს გეგმავს.

შემთხვევითი არაა, რომ ეს ხდება სწორედ იმ დროს, როდესაც საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიპყრობილია საქართველოსკენ, სადაც 16 აპრილს პირველი საერთაშორისო სამხედრო წვრთნა იმართება, ხოლო ერთი დღის შემდეგ კი ნავთობსადენის საზეიმო გახსნა იგეგმება. ზემოთთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს, თუ რა მიზნით იქმნება მსგავსი პუბლიკაციები.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო გამოიყენებს ყველა საშუალებას, რათა ამხილოს მათი შემკვეთები.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრი.

კრიზისის დასაძლევად

პირველი კვარტალის საბიუჯეტო დავალება შესრულდა, როგორია მომავლის პერსპექტივა?

წიწილებს ზოგჯერ გაზაფხულზეც ითვლიან

(პირველი გვერდიდან)

მეორე ნახევარში კი დანარჩენი 52 პროცენტისა. ქართული მხარის სურვილი იყო, ეს შეფარდება ყოფილიყო ორმოცდაორი ორმოცდათერამეტთან. და ეს ლოგიკურიც არის, რადგან ზამთრის თვეებში, წლის დამდეგს შემოსავლები მუდამ ნაკლებია. თანაც, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, პირველ კვარტალში იმპორტი საგრძნობლად შემცირდა.

მეორე მიზეზი გახლდათ ის, რომ აქციზური მარკების პრაქტიკის დანერგვით ქვეყანამ პირველი შემოსავლები ფაქტობრივად თებერვლის მეორე ნახევრიდან მიიღო. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: აზერბაიჯანთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, ამ ქვეყნიდან შემოსული საქონელი, ისევე როგორც ჩვენგან აზერბაიჯანში ექსპორტირებული პროდუქცია, თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან. ამის გამო იმ კომპანიებმა, რომლებსაც უკვე გადახდილი ჰქონდათ აზერბაიჯანიდან შარშან შემოტანილი ნავთობპროდუქტების საბაჟო გადასახადი, უკან მოითხოვეს თანხის დაბრუნება. არადა, ეს ფული შარშანვე გამოიყენა ბიუჯეტმა. ამ მიზეზით მარტო იანვარში საბაჟოს 5 მილიონამდე ლარი დააკლდა.

ეს და სხვა ანალოგიური მიზეზები მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა, ცხადია, არ იცის. ამიტომაც არის, რომ იგი გაოცებულია — თუ საგადასახადომ და საბაჟომ გეგმები შეასრულეს, ხაზინას ფული რად უჭირსო.

როგორია მომავლის პერსპექტივა?

როგორც მინისტრი ამბობს, თვეების მიხედვით შემოსავლების ზრდის სასიკეთო ტენდენცია აშკარაა, მაგრამ დასაბეგრი ობიექტების კიდევ საკმაოდ დიდი რეზერვია. ეს განსაკუთრებით ეხება მსხვილ ბაზრობებს, მომსახურების სფეროს, და, თუნდაც, ბინების გაქირავებას მისი თქმით, მარტო ბორჯომსა და წყნეთში ბინების გამქირავებელთა დაბეგვრით რამდენიმე მილიონი ლარის მიღება შეიძლება. თანაც, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ხომ მარტო საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების მიერ ამოღებული თანხებით არ ივსება. ამ მხრივ საკმაოდ დიდი რეზერვია პრივატიზაცია, რაც წლეულს ბევრად უფრო ფართო მასშტაბით განხორციელდება. გასათვალისწინებელია საზღვარგარეთიდან მისაღები ტრანშებიც.

და სწორედ აქ გაჩნდა კითხვა: რაკი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული პარამეტრები ნაწილობრივ დაირღვა, ხომ არ შექმნის ეს ამ საერთაშორისო ორგანიზაციასთან კონფრონტაციულ სიტუაციას, რამაც შეიძლება დააბრკოლოს ამ ტრანშების მიღება, ურომლისოდაც ძალიან გაგვიჭირდება?

ამასთან დაკავშირებით მინისტრმა განაცხადა, რომ, ჯერ ერთი, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თითქმის ყოველდღიური კონტაქტები აქვთ და ყველაფერს ოპერატიულად ათანხმებენ და, მეორეც, თუ არგუმენტირებულად დავუმტკიცებთ რეალობას, იგი კონფრონტაციაზე არ წამოვაო.

რა მდგომარეობაა პირველ კვარტალში ხელფასებისა და პენსიების გაცემის მხრივ?

მინისტრის თქმით, 4 აპრილის მდგომარეობით ხელფასი 80 პროცენტით იყო გაცემული და დაგვიანება მაქსიმუმ ორკვირიან მონაკვეთს არ აღემატებოდა. დღევანდელი მონაცემებით კი, მუშა-მოსამსახურეთა დაახლოებით 95 პროცენტს მიღებული აქვს მარტის თვის ხელფასი. ზოგან ხელფასების დაგვიანება იმითაც არის განპირობებული, რომ მათი ნაწილი ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება, ნაწილი — ადგილობრივიდან. ამიტომაც იმ რაიონებში, სადაც ადგილობრივი ბიუჯეტი არ სრულდება, ცხადია, დაგვიანებებიც არის. ეს განსაკუთრებით პედაგოგთა ხელფასებს ეხება. რაც შეეხება რაიონებისთვის მარტში გასაცემ ტრანსფერტებს, ისინი ადრესატებმა სააღდგომოდ მთლიანად მიიღეს. პენსიებისთვის გათვალისწინებული თანხების ცენტრალური ბიუჯეტის წილიც მთლიანად გაცემულია, დანარჩენი საპენსიო ფონდში საგადასახადო სამსახურიდან და სოციანარიცხების თანხებიდან უნდა შევიდეს...

შეხვედრის მონაწილეებს, ცხადია, ძალიან აინტერესებდათ საქართველოს საბაჟოს გამო მოწყობილი ტენდერის შედეგები. მასში მონაწილეობა მიუღია 6 წამყვან უცხოელ კომპანიას. სატენდერო კომიტეტის სხდომას პირველ ეტაპზე მათგან სამი შეურჩევია: ორი ბრიტანული და ერთიც — შვეიცარიული. მეორე ეტაპზე კი ერთსულოვნად მიუნიჭებია უპირატესობა აი-ტი-ეს ბრიტანული კომპანიისთვის. უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მიცემისაგან მინისტრმა თავი შეიკავა — ვიდრე გამარჯვებულ კომპანიასთან კონტრაქტი არ გაფორმდება, მეტს ვერაფერს გეტყვითო. ის კი ხაზგასმით თქვა, რომ უცხოელები ჩვენს საბაჟო დეპარტამენტში მინიმუმ 1 ივნისისათვის მოვლენ.

როგორია აქციზური მარკების შემოღების პირველი შედეგები?

მხოლოდ ის ფაქტი, რომ შარშან, მთელი წლის მანძილზე, თამბაქოს ნაწარმის აქციზური შემოსავალი 16 მილიონი ლარი იყო, წლევანდელ ორ თვეში კი 8,5 მილიონი ლარია, ვფიქრობთ, ყველაზე უკეთ მეტყველებს ამ წამოწყების სიკეთესა და აუცილებლობაზე, — ასეთია მინისტრის დასკვნა.

მისი თქმით, სამომხმარებლო ბაზარზე მალე გამოჩნდება მაღალხარისხოვანი თამბაქოს ნაწარმის დიდი პარტიები, რაც ამჟამინდელ დეფიციტსაც მოსპობს და ფასსაც შეამცირებს.

რუსლან რუსია.

გვპასუხებენ

სამინისტროს მიზანშეწონილად არ მიაჩნია

(პირველი გვერდიდან)

ბ-ნ ვ. მელიქოვს ეს საკითხი არაერთხელ დაუყენებია სამინისტროს წინაშე, მაგრამ სამინისტროს არაერთი მცდელობისა დაბა მანგლისში გაზეთის გავრცელების შესახებ უშედეგოდ დამთავრებულა. სხვას, რომ დავანებოთ თავი თვითონ ვ. მელიქოვი, რომელიც ასეა დაინტერესებული მანგლისში პრესის გავრცელებით არც იწერს და არც ყიდულობს გაზეთს ჯიხურში (მიაქვს გაზეთი უსასყიდლოდ, კითხულობს და უკან უბრუნებს ჯიხურს).

გამომდინარე ზემოხსენებულიდან, კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო მიზანშეწონილად არ მიაჩნია უსაფუძვლოდ, ადგილებიდან მოთხოვნის გარეშე აგზავნოს გაზეთები იქ, სადაც არ გაიყიდება, რომლის გადაზიდვაც სათანადო ხარჯებთან არის დაკავშირებული.

გთხოვთ ჩვენი პასუხი გამოაქვეყნოთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში და უკეთესი იქნება ამ სათაურით — „გამოიწერეთ და მოგიტანთ“.

ღრმა პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე
ოთარ ბიწაძე.

თემურ შაშიაშვილის ავტომანქანა გაიტაცეს

იმერეთის გუბერნატორის თემურ შაშიაშვილის სამსახურებრივი ავტომანქანა გაზ-3110 გაიტაცეს ხუთშაბათს ქუთაისში წერეთლის ქუჩიდან, — იტყობინება პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტი ქუთაისიდან.

მანქანა, რომელშიც მძღოლს გასაღები ჰქონდა დატოვებული, ხუთშაბათსვე ქუთაისში თამარ მეფის ქუჩაზე აღმოაჩინეს.

ავტომობილის გატაცების მიზეზად შაშიაშვილი 2 ვერსიას ასახელებს: „შესაძლოა, გარკვეულ ძალებს აღიზიანებს, რომ დაცვის გარეშე დავდივარ და მანქანა სპეციალურად გაიტაცეს, ან გამტაცებელმა გაიგო მანქანა ვის ეკუთვნოდა და აღარ წაიყვანა“, — უთხრა პრაიმ-ნიუსს შაშიაშვილმა.

შეიქმნა საინფორმაციო საზოგადოება

15 აპრილს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროში გაიმართა საინფორმაციო საზოგადოების შექმნის მოდელის პრეზენტაცია. ამ მოძრაობის მიზანია საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიების, კერძოდ, დისტანციური სწავლების, დისტანციური მკურნალობის დანერგვა, ასევე სხვადასხვა საქმიანობის გამჭვირვალეობა და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა.

კამერული ორკესტრი ახალ კონცერტებს გამართავს

სახელმწიფო კამერული ორკესტრის ფუნქციონირების აღდგენის მიზნით საქართველოს კულტურის სამინისტრომ მუსიკოსთა შესარჩევი კონკურსი გამართა, —აცნობეს პრაიმ-ნიუსს კულტურის სამინისტროს პრესსამსახურში.

კონკურსის მონაწილე 31 მუსიკოსიდან ჟიურიმ 19 შეარჩია. ორკესტრის მთავარ დირიჟორად ახალგაზრდა მუსიკოსი გიორგი ჟორდანია დაინიშნა.

განახლებული ორკესტრი ცნობილი მევიოლინის ლიანა ისაკაძის ხელმძღვანელობით კონცერტებს ძირითადად საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გამართავს.

აგრეთვე, ორკესტრი დეკემბერში მონაწილეობას მიიღებს მე-20 საუკუნის დასრულებისადმი მიძღვნილ დღესასწაულში, რომელიც ითვალისწინებს კონცერტების ციკლის — „Master sirinas of Europe“ მოწყობას იმ ქალაქებში, სადაც პირველმა მოციქულებმა ქრისტიანული სარწმუნოება შემოიტანეს.

დევნილებს მოემსახურებიან

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამედიცინო და ჰუმანიტარული დეპარტამენტები საერთაშორისო ფედერაციის დელეგაციასთან ერთად სამეგრელოს რეგიონში: ზუგდიდში, სენაკში, ფოთში, ჩხოროწყუში, წალენჯიხაში, მარტვილში, ხობში, აბაშაში ჩასახლებულ ყველაზე გაჭირვებულ 5000 იძულებით გადაადგილებულ პირს სოციალური მომსახურებისა და საკვები პროდუქტებით დახმარების პროგრამის მიხედვით ბინაზე მოემსახურებიან.

ამ პროგრამით, რომლის დონორია ნორვეგიის წითელი ჯვარი და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო, თითოეულ სულზე 5 კილოგრამიანი ამანათი დარიგდება: 2 კგ პურის ფქვილი, 1 კგ შაქარი ან 1 კგ მურაბა, 1 ლ მცენარეული ზეთი, 100 გრ ჩაი, 10 კოლოფი ასანთი და 6 ცალი სანთელი.

მარცვლეულის ბირჟაზე ამერიკული ხორბალი გაიყიდა

თბილისის „მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟაზე“ ხუთშაბათს გამართულ ვაჭრობაზე 1842 ტონა ამერიკული ხორბლის რეალიზაცია მოხდა და ერთი ტონის ფასი 305 ლარით განისაზღვრა.

ამის შესახებ აცნობეს პრაიმ-ნიუსს თბილისის „მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟაზე“.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა და ჩვენმა კორესპონდენტმა.

პოლიტიკა და ეკონომიკა

„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს!“

რეპორტაჟი ყრილობიდან მცირეოდენი კომენტარით

ასეთი ხალხმრავლობა 14 აპრილს შუადღისას რომ იყო თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის მისადგომებთან, იშვიათად ახსოვს აღმაშენებლის პროსპექტს.

ახალი პოლიტიკური მოძრაობის — „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ დამფუძნებელთა ყრილობამ, მართლაც, საყოველთაო ინტერესი გამოიწვია მთელ საქართველოში. ქართველ მრეწველთა ელიტასთან ერთად აქ მოვიდნენ ჩვენი სახელოვანი მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების, კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, ბიზნესმენები, სოციალური სფეროს წარმომადგენლები.

საერთო საუბრების, აზრთა ურთიერთგაზიარების მთავარი თემა, ცხადია, ჩვენი მრეწველობის დღევანდელი სავალალო მდგომარეობა და მისი გამომწვევი მიზეზები გახლდათ. მართლაც, უკვე რამდენი წელია ამაზე ვლაპარაკობთ, ვიღებთ კანონებს, გადაწყვეტილებებს, მაგრამ უშედეგოდ... კრიზისს თავი ვერ დავაღწიეთ. უფრო მეტიც, როგორც ჩვენი მრეწველები ამბობენ, მდგომარეობა თანდათან სულ უფრო მძიმე და გაუსაძლისი ხდება.

— ასეთ დრამატულ სიტუაციაში — აცხადებს ამ მოძრაობის ინიციატორი, ცნობილი მრეწველი და ბიზნესმენი გოგი თოფაძე — ქვეყანასა და ხალხს სჭირდება ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც შეძლებს შექმნილი ვითარების ობიექტურ ანალიზსა და შეფასებას, პრაქტიკულად განსაზღვრავს კრიზისიდან გამოსვლის კონკრეტულ გზებს, აამოქმედებს გამოუყენებელ რეზერვებს, რითაც ახალ ბიძგს მისცემს ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებას. მხოლოდ მრეწველობას შეუძლია შექმნას ქვეყნის რეალური სიმდიდრე და მატერიალური საფუძველი ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებისათვის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტის აღორძინებისათვის, ქვეყნის ერთიანობისა და რეალური დამოუკიდებლობისათვის.

როგორც ჩანს, „თოფაძელთა მოძრაობა“ რომლის მთავარი დევიზია — შრომა, თავისუფლება, ღირსება, პატიოსნება, პროფესიონალიზმი, ოჯახი, სოლიდარობა, მართლაც თოფივით გავარდება მთელ საქართველოში და ათასობით, ათიათასობით მხარდამჭერსა და გულშემატკივარს გაიჩენს.

ჯერჯერობით კი მოძრაობის

6 ათასმა მონაწილემ ათასამდე დელეგატი მოავლინა დამფუძნებელ ყრილობაზე. ისინი მზად არიან თანამშრომლობისთვის ყველასთან, ვინც გაიზიარებს მოძრაობის მიზნებსა და მისწრაფებებს. სწორედ ამ განცხადებით დაიწყო ყრილობა, რომლის დელეგატებიც მხურვალედ მიესალმნენ ფორუმზე სტუმრად მოსულ უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს.

— ახლა ჩვენი წინაპრების სანუკვარი ოცნება, საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და 90-იანი წლების დასაწყისში შეუდგა თავისი სახელმწიფოებრიობის ფორმირების ურთულეს პროცესს — ასე დაიწყო თავისი მოხსენება ბატონმა **გოგი თოფაძემ**, — მაგრამ როდესაც დღეს ვაანალიზებთ განვლილ წლებს, მივდივართ ერთადერთ სამწუხარო დასკვნამდე — დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ პოლიტიკურ ასპარეზზე მოსულმა ძალებმა ვერ მოახერხეს ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაჭრა, ადამიანებისთვის საარსებო პირობების შექმნა, რაც დღითიდღე კიდევ უფრო აღრმავებს სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს, რომელშიც აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანა. შემდეგ მომხსენებელმა ისაუბრა იმ უკომპრომისო ბრძოლაზე, რომელსაც ქართველი მრეწველები ეწევიან იმ უპერსპექტივო ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის სავალალო შედეგებსაც დღეს იმკის ჩვენი საზოგადოებრიობა. მან დაასახელა მიზეზიც, რომელთა შესახებაც არაერთხელ გვსმენია ჩვენი მრეწველებისაგან. ეს გახლავთ აშკარად გამოკვეთილი პროიმპორტული პოლიტიკა, ბაზრის დაუცველობა, კაბალური საგადასახადო კანონმდებლობა და ბევრი სხვა რამ.

— პარადოქსულია, — აცხადებს გოგი თოფაძე, — რომ ჩვენი ეკონომიკის ლოგიკური განვითარების საწინააღმდეგოდ იმდენი კანონი შეიქმნა, რომ მართლაც, გაკვირვებას იწვევს ჯერაც როგორ სუნთქავს ჩვენი სამრეწველო სისტემა. ხელშეწყობის ნაცვლად ულმერთოდ იბეგრება ახალი ტექნოლოგიები, სამრეწველო ნედლეული თუ დამხმარე მასალები, რის შედეგადაც ბაზარზე გზა ეხსნება დაბალხარისხოვან იმპორტს.

გოგი თოფაძე ახალს არაფერს ამბობს... ისიც და მისი თანაგუნდელებიც წლების მანძილზე თითქმის ერთსა და იგივეს ჩასჩიჩინებდნენ ჩვენს კანონმდებლებს, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს... პარადოქსი ის არის, რომ მიუხედავად ჩვენი პრეზიდენტის მხარდაჭერისა და თანადგომისა, მათ დღემდე ვერ შეძლეს გაერღვიათ ის ბიუროკრატიული ბარიერები, რომლებიც აბრკოლებენ ჩვენი ეკონომიკის წინსვლას. რამდენჯერ თავად მოგვისმენია ტელეეკრანიდან თუ ტრიბუნიდან ჩვენი მეწარმე-ბიზნესმენების ელემენტარული არითმეტიკული გაანგარიშებანი იმის თაობაზე, თუ რას მისცემს ჩვენს ქვეყანასა და მის ბიუჯეტს ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებსაც ისინი დაჟინებით მოითხოვენ.

ცხადია, ერთ რეპორტაჟში წარმოუდგენელია მთელი სისრულით გადმოგცეთ ახალი პოლიტიკური მოძრაობის ის ძირითადი პრინციპები, რასაც მათი პროგრამა ითვალისწინებს. როგორც ყრილობაზე ითქვა, მრეწველები სიტყვის ხალხია და ამიტომაც ყოველგვარ უსაგნო, პოპულისტურ ლაქლაქს (რაც ესოდენ მიღებულია ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურ ასპარეზზე) კონკრეტულ საქმეს ამჯობინებენ. ეს „საქმენი“ კი კონკრეტულად ასე გამოიყურება:

ისინი მიზნად ისახავენ საშუალო ფენის შესაქმნელად სათანადო მატერიალური საფუძვლის მომზადებას, რაც ეროვნული ეკონომიკის ცენტრალური დასაყრდენი გახდება. სავალუტო ფონდის მიერ საქართველოში გაწეული მუშაობის ერთგვარ პოზიტიურ ასპექტებთან ერთად ისინი თვლიან, რომ მოლაპარაკებების მაგიდასთან სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლების პირისპირ უნდა ისხდნენ თავისი ქვეყნის აღორძინების იდეით შეპყრობილი პროფესიონალები, რადგან მხოლოდ მათ ძალუძთ შეაფასონ და მიიღონ მხოლოდ ის რეკომენდაციები, რომლებიც რეალურად წაადგება ქვეყნის ინტერესებს.

ყრილობაზე ერთმა საყურადღებო ფრაზამაც გაიჟღერა: — ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები, გრძნობენ რა ამ მოძრაობის რეალურ ძალას, ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ მათთვის ხელსაყრელი შეფერილობა მისცენ ამ მოვლენას და საწარმოთა დირექტორების მოძრაობად ან ე. წ. „პროფესიულ გაერთიანებად“ მოგვენათლონ. — გადახედეთ ჩვენი დღევანდელი ყრილობის მონაწილეთა სპექტრს და თვალნათლივ დარწმუნდებით, რომ ჩვენ ვართ ქართული საზოგადოებრიობის იმ ნაწილის გამაერთიანებლები, რომელსაც ღრმად სწამს, რომ ეროვნული მრეწველობის განვითარების გარეშე ჩვენს ქვეყანას მომავალი არა აქვს — აცხადებს ბატონი გოგი თოფაძე.

მართლაც, შესაშური შემადგენლობა იყო წარმოდგენილი იმ დღეს ახალი პატრიოტული მოძრაობის დამფუძნებელ ყრილობაზე, რომელსაც, როგორც აქ გამოაცხადეს, უკვე არაერთმა ორგანიზაციამ თუ მოქალაქეთა ჯგუფმა მიმართა მოძრაობაში გაერთიანების თხოვნით. მარტო სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ ყრილობის პრეზიდიუმს გადასცა განცხადება 150 ადამიანის ხელმოწერით ამ მოძრაობაში გასაერთიანებლად. ასე რომ, ახალი პოლიტიკური მოძრაობის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ სვლა ჩვენს პოლიტიკურ სარბიელზე უკვე დაიწყო და მას უდავოდ ბევრი მხარდამჭერი ეყოლება.

ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ნოდარ ჭითანავამ, რომელმაც ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მრეწველთა პოლიტიკურ მოძრაობას, თავის გამოსვლაში მოიყვანა მთელი რიგი ამაზრზენი ციფრები, რომლებიც თვალნათლივ მიუთითებენ ჩვენს ეკონომიკაში შექმნილ სავალალო მდგომარეობაზე.

— ავაღორძინოთ ეროვნული ეკონომიკა მრეწველობის განვითარების გზით, — აღნიშნა ორატორმა, — ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან ამ აღორძინების ცენტრალური ღერძი, სწორედ მრეწველობაზე გადის.

შემდეგ გამოვიდნენ საქციო საზოგადოება „ოქსინოს“ ხელმძღვანელი **თამაზ ცინცაძე**, უნივერმაღ „თბილისის“ გენერალური დირექტორი **ჯამბულ ბაკურაძე**. გავიხსენებ ერთ ფრაზას ცნობილი კინორეჟისორის გიზო გაბესკირიას გამოსვლიდან: — „მე აქ იმედმა და რწმენამ მომიყვანა“... საქართველოს სახალხო დამცველის **დავით სალარიძის** გამოსვლიდან: — „ჩვენს დღევანდელ პოლიტიკას გარკვეული ინვესტიცია სჭირდება მრეწველთა ახალი მოძრაობის სახით“. ცნობილი მედიკოსის, პროფესორ ლაური მანაგაძის სიტყვიდან: — „მოვედი მათთან, ვინც პირნათელია ხალხის წინაშე და იბრძოლებს და ილვაწებს მისი კეთილდღეობისათვის“.

[illegible]

გია [illegible]

ღვაწლი

სახელოვანი გმირი, მეცნიერი, მოქალაქე, აღმზრდელი

რვა ათეული შეუსრულდა ბატონ ირაკლი ციციშვილს – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის პროფესორს, არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგეს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, ღირსების ორდენის კავალერს.

ის არის ასზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი, გამოჩენილი პედაგოგი და მეცნიერი, რომელმაც ქართული არქიტექტურული სკოლის ჩამოყალიბებას და წარმართვას ნახევარ საუკუნეზე მეტი შეალია; საზოგადო მოღვაწე, რომელიც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მისივე დიდი მცდელობით ჩამოყალიბებულ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს, მისი თაოსნობით არაერთ მნიშვნელოვან ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლს დაუბრუნდა სიცოცხლე; ჯარისკაცი, რომელიც 1941 წელს 22 წლისა წავიდა ომში და გმირის ოქროს მედლით და მრავალი ჯილდოთი მკერდდამშვენებული დაბრუნდა.

ამბობენ, მესანგრეს მხოლოდ ერთი შეცდომის უფლება აქვს და ისიც კატასტროფით მთავრდებაო. ეს შეგონება მან მეორე მსოფლიო ომის ქარტეხილებიდან მშვიდობიან ცხოვრებაში მოიტანა – მაღალი ღმერთის მიერ მისთვის ბოძებული ცხოვრების გზა უშეცდომოდ იარა... ამიტომაცაა, რომ მისი ბიოგრაფია მდიდარი და შეუბღალავია, ქვეყნისათვის გარჯა – სასიკეთო, საორად შემოქმედებითი და საინტერესოა. იგი არასოდეს გამდგარა განზე. დღესაც ჩვენი ქვეყნის რეალური ყოფის აქტიური მონაწილე და ჭეშმარიტი ჭირისუფალია.

ციციშვილების დიდ ოჯახში ეზიარა მეგობრობის, სიკეთის, ურთიერთპატივისცემის, პატიოსნების, სამშობლოს სიყვარულის მადლს. გამორჩეული ურთიერთობა ჰქონდა უფროს ძმასთან დავით ციციშვილთან, ერთობ განსწავლულ პიროვნებასთან, საქართველოს სახალხო მხატვართან, პროფესორთან. „მან შემაჩვია წიგნის უსაზღვრო სიყვარულს. ჩვენ ვიყავით თანამოაზრენი და ნამდვილი მეგობრები, ერთმანეთისა ყველაფერი გვესმოდა“ – ბრძანებს ბატონი ირაკლი. დიდი ოჯახის მამა ნიკოლოზი პოლკოვნიკი გახლდათ, ხოლო უფროსი ბიძა ივანე – რუსეთის არმიის გენერალი. თუ უფრო შორეულ წარსულს გადავხედავთ – პავლე ციციანოვი მე-18 საუკუნის დიდი სამხედრო მოღვაწე იყო, ხოლო ბაადურ ციციშვილი, ირაკლის დიდი პაპა შარაბდის ბრძოლის სარდალი გახლდათ. ბუნებრივია, წინაპართა ხმამ ბევრად განაპირობა ბატონ ირაკლის გამორჩეული სიყვარული სამშობლო მიწისადმი, მისი გმირული წარსულისადმი, ეკლესია-მონასტრებისადმი.

1941 წლის ივნისში ახალდაკურსდამთავრებულმა არქიტექტორმა ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა და გამარჯვებამდე არ გაუხდია. იბრძოდა მოსკოვის მისადგომებთან, კიევთან, სტალინგრადთან, პრაღასთან.

საბჭოთა არმიის საინჟინრო ჯარების უფროსი, გენერალი კრისანოვი მაშინ ამბობდა: „კაპიტანი ციციშვილი, განათლებით არქიტექტორი, მაღალი, ლაზათიანი ოფიცერი, გამხდარი, ერთი შეხედვით ფიზიკურად ძლიერი ადამიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა. სინამდვილეში კი, მასში იყო უძლეველი ძალა, ნებისყოფა და შეეძლო უძილოდ გაეტარებინა რამდენიმე დღე და ღამე: იგი გახლდათ კარგი ინჟინერი, ბრწყინვალე ორგანიზატორი და სამშობლოს ერთგულესი დამცველი“.

ომს თავისი კანონები აქვს. ომისთვის ჩვეულებრივი ამბავია ნგრევა და განადგურება... და აი, ნაბრძანებია სასწრაფო მშენებლობა... დნეპრზე უნდა აშენდეს ხიდი მძიმე ტექნიკის მოძრაობის უზრუნველსაყოფად, უკრაინის დედაქალაქის გადასარჩენად. მშენებლობა მიმდინარეობდა განუწყვეტელი საარტილერიო ცეცხლისა და დაბომბვის ქვეშ. ხიდის სიგრძე 360 მეტრი იყო. მშენებლობისათვის განსაზღვრულია მხოლოდ 6 დღე! მოწინააღმდეგემ 3-ჯერ დაანგრია მშენებარე ხიდი. ახალგაზრდა სპეციალისტმა ღირსებით დაიცვა ქართველი ინჟინრის, მეომრის, მეთაურის სახელი. პასუხისმგებლობის დიდმა გრძნობამ მას შეუძლებელი შეაძლებინა. არც ირაკლი ციციშვილი გახლდათ ჯადოქარი და არც მისი გაძლიერებული ბატალიონის პირადი შემადგენლობა, მაგრამ საქმით, თავგანწირვით, თავისი ოსტატობით შეუძლებელი შეძლეს. ზუსტად ხუთ დღეში ააგეს ხიდი. ახალგაზრდა ოფიცერმა არ უღალატა მშენებელთა ძველისძველ ტრადიციას და დადგა მის მიერ აშენებული ხიდის ქვეშ, როგორც უსაფრთხოების გარანტი. იმ წუთებში კი თავს ზემოთ, ხიდზე, ოცდაათტონიანი ტანკები გადადიოდნენ დნეპრის მეორე ნაპირზე კიევის გასანთავისუფლებლად.

კაპიტან ირაკლი ციციშვილს გმირის წოდება მიენიჭა.

ფრონტიდან დაბრუნებულმა არ უღალატა სიყმაწვილის ოცნებას ქართული ხუროთმოძღვრების, ქართული კულტურის სამსახურს. იგი დაუბრუნდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრას. კითხულობდა და დღესაც კითხულობს ხელოვნების ისტორიის კურსს. პარალელურად სიმონ ჯანაშიას წინადადებით მოღვაწეობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში. მონაწილეობს არქეოლოგიურ ექსპედიციებში, ძეგლების აზომვაში, სარესტავრაციო სამუშაოებში.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოღვაწეობის ათი წლის თავზე ბატონი ირაკლი უკვე არქიტექტურის კათედრის გამგეა, რომელსაც 35 წელიწადი ხელმძღვანელობდა. იმ დროისათვის არქიტექტურის კათედრა აერთიანებდა ყველა პროფესიულ დისციპლინას, რომლებიც ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურულ სკოლაში შვიდი კათედრითაა წარმოდგენილი. ასეთი კათედრის ხელმძღვანელობა, მრავალმხრივ ცოდნასთან ერთად, მოითხოვდა ორგანიზაციულ ნიჭს და დაუშრეტელ ენერგიას. ახალგაზრდა კათედრის გამგე ამ მხრივ ნამდვილ ნოვატორად წარმოჩნდა. კათედრაზე ერთდროულად რამდენიმე ახალგაზრდა ნიჭიერი პრაქტიკოსი არქიტექტორი მიიწვია, ამით სრულიად გაამრავალფეროვნა კათედრის მუშაობა, შესძლო ერთმანეთთან შეეთავსებინა გამოცდილ და ახალგაზრდა პედაგოგთა მუშაობა, სტუდენტებთან კოლეგიალური ურთიერთობა. მოგვიანებით ჩამოყალიბდა სტუდენტ-არქიტექტორთა საპროექტო ჯგუფები, რომლებშიც სტუდენტები კონკრეტული ობიექტების არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობდნენ.

ბატონი ირაკლის თაოსნობით ხშირად ეწყობოდა გასვლები ქალაქგარეთ, ექსკურსიები ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების გასაცნობად, რაც კიდევ უფრო ამტკიცებდა კეთილგანწყობილ ურთიერთობას პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის.

სტუდენტებისათვის გაუცხოების კომპლექსის მოსახსნელად, განსაკუთრებით დაბალ კურსებზე, პროექტის დაცვის დღეს გამოფენილ ნამუშევრებს თვითონ კათედრის გამგე ჩამოუვლიდა და სათითაოდ ყველა ნამუშევარს ფუნჯით უკანასკნელ შტრიხს შემატებდა. ეს პროექტის ერთგვარი ვიზირებაც იყო და სტუდენტის შეგულიანებაც.

მართლაც განსაკუთრებული და გამორჩეულია ბატონი ირაკლი სტუდენტურ აუდიტორიაში. ყოველი ლექცია მისი სიცოცხლის ნაწილია, მისი გონება მუდამ მდიდარია, მეხსიერება – შესაშური, ორატორული ხელოვნება – ბრწყინვალე.

ირაკლი ციციშვილი ბევრს მოგზაურობდა, მისი ყოველი დაბრუნება საზღვარგარეთის ქვეყნებიდან სტუდენტებისათვის ნამდვილი ზეიმი იყო (ჩვენი სტუდენტობა არ იყო განებივრებული ფერადი და მაღალხარისხოვანი სლაიდების ჩვენებით). ბატონი ირაკლის ყოველი გამგზავრება საზღვარგარეთ ამდიდრებდა თვით მას ხელოვნების მსოფლიო საგანძურთა საუკეთესო ნიმუშების გაცნობით. ჩამოსვლისთანავე, ეს სიმდიდრე გადაეცემოდა ქართველ სტუდენტობას, და არა მარტო მათ – ციციშვილის გამოსვლებს ესწრებოდნენ სხვა ფაკულტეტის სტუდენტებიც და დაინტერესებული სტუმრებიც. ისიც ჩვეული არტისტიზმით, იმპროვიზაციის დიდი ნიჭით იპყრობდა ინსტიტუტის ყველაზე დიდ, ხალხმრავალ აუდიტორიას. მისი ლექციები საინტერესო იყო არა მარტო საქართველოში, არამედ საბერძნეთშიც, ფინეთშიც, იტალიაშიც, საფრანგეთშიც, ჩეხეთშიც...

1959 წელს ბატონმა ირაკლიმ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქართული არქიტექტურის საწყისები“.

– შრომაში არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დასკვნები, არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო არქიტექტურისათვის. ამიტომაც, ირაკლი ციციშვილის გამოკვლევები აისახა ისტორიის, არქეოლოგიის და არქიტექტურის მრავალ სპეციალურ ნაშრომში – აღნიშნავენ აკადემიკოსები ანდრია აფაქიძე და ვახტანგ ბერიძე.

1960 წელს ბატონ ირაკლის მიენიჭა პროფესორის წოდება.

წლების მანძილზე ის სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მოღვაწეობდა, 1970-78 წლებში იყო საქართველოს „სახმშენის“ თავმჯდომარე, 1978-90 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს. ამ დიდი, ეროვნული კულტურისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის ხელმძღვანელობა ავტორიტეტით, ცოდნით და გამოცდილებით გამორჩეულ პიროვნებას ანდეს.

მიუხედავად ასეთი შრომატევადი თანამდებობებისა, ბატონ ირაკლის არასდროს შეუწყვეტია პედაგოგიური მოღვაწეობა, არ მიუტოვებია კათედრა და თითქმის არც კი გაუცდენია ლექცია. ის ახერხებდა ყველგან და ყოველთვის სრული დატვირთვით ემუშავა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურული სკოლის მთელი ისტორია ირაკლი ციციშვილის ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილია. მისი თაოსნობით გარდაიქმნა კათედრა ფაკულტეტად, ხოლო შემდეგ ჩამოყალიბდა არქიტექტურის ინსტიტუტი.

დღეს, სტუდენტთა თეორიული და პრაქტიკული მომზადების მაღალი დონით, არქიტექტურის ინსტიტუტი საერთაშორისო ასპარეზზე გავიდა. ქართველი სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონკურსებში, ბიენალეებზე და მაღალ შეფასებას იმსახურებენ. ამას დასაბამი მისცა ირაკლი ციციშვილის მონდომებამ.

და მაინც, უმთავრესია იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ თანამედროვე ქართველ ხუროთმოძღვართა უმრავლესობა ბატონ ირაკლის ნამოწაფარია, ყოველი მათგანისთვის ის ჭეშმარიტი მეგობარი და ახლობელია. მის მოწაფეებსა და უმცროს მეგობრებს მისდამი სიყვარული, პატივისცემა და უდიდესი მოკრძალება აერთიანებს.

ბატონი ირაკლის სახელს მუდამ ახლდა ეპითეტი „ახალგაზრდა“, ის იყო სულ ახალგაზრდა გმირი, ახალგაზრდა კათედრის გამგე, ახალგაზრდა პროფესორი... და დღეს, სრულიად მოულოდნელად, ამ „ახალგაზრდა“ კაცს 80 წელიწადი შეუსრულდა.

მხნედ, ვაჟკაცურად, ბატონო ირაკლი!

ელენე კალანდაძე,
საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, დოცენტი.

საუკუნეთა მიჯნაზე

(პირველი გვერდიდან)

ეკონომიკა და სახელმწიფო

1. „ხილული ხელის“ აქტიური ზეგავლენით

ინტერესმოკლებული არ იქნება პირველ რიგში განვიხილოთ ეკონომიკასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთდამოკიდებულების მეცნიერებასა და პრაქტიკაში არსებული შეხედულებები, პრინციპები და გამოცდილება. გამოვყოფთ მხოლოდ ძირითად მომენტებს. მერკანტილისტები (XVI-XVIII საუკუნე) თვლიდნენ, რომ სახელმწიფო მართვა ის საშუალებაა, რომელსაც შეუძლია სოციალური სამართლიანობის დაცვა, ხოლო კლასიკური ეკონომიკის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ადამ სმითმა განსაზღვრა ეკონომიკური ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპები. მისი აზრით საბაზრო ძალების („უხილავი ხელი“) თამაში ქმნის ჰარმონიულ წყობას. თავისი ეგოისტური მიზნების მისაღწევად ინდივიდების მისწრაფება არის ეკონომიკური განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ინდივიდის, ისე საზოგადოების კეთილდღეობას. ამიტომ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება ეყრდნობა ორ პოსტულატს: პირად დაინტერესებას და კონკურენციას ეს ორივე განსაზღვრავს ბაზარზე წონასწორობას, მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსებას. საზოგადოებამ უნდა შექმნას სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც დაიცავენ ადამიანს, მის საკუთრებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთაც. ამასთან, სამართლიანად გაარჩევენ დავებს და სხვა.

ამრიგად, ყველაფერს, როგორც ადამ სმითის არგუმენტებიდან გამომდინარეობს, „უხილავი ხელი“ გააკეთებს, თანაც ისეთ გარემოში, როცა მუშაობს პრინციპი: „წავიდეს ისე, როგორც მიდის“. ასეთია ახალგაზრდა კაპიტალიზმის განვითარების ადამ სმითისეული კონცეფცია, რომელიც ეყრდნობა სქემას: **„კერძო საკუთრება-ადამიანის მისწრაფება ჰქონდეს მეტი სარგებელი-თავისუფალი კონკურენცია-სახელმწიფო, რომელიც დაიცავს კერძო საკუთრებას.**

XIX საუკუნეში უდიდესი გარდაქმნების განხორციელების შედეგად თავისუფალი მეწარმეობა ყოველმხრივ განვითარდა. ამასთან, გაძლიერდა კონკურენცია. სახელმწიფოს როლი კი ადამ სმითის ტრადიციულ სქემაში „მოთავსდა“. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ბურჟუაზიის გამარჯვების შემდეგ არსებითად შეიცვალა სახელმწიფოს როგორც „ბაზრის ღამის“ დარაჯის როლიც. სახელმწიფო თანდათანობით იძულებული გახდა ჩარეულიყო ეკონომიკურ პროცესებში, გამწვავდა ბრძოლა მსოფლიო ბაზარზე ადგილის დამკვიდრებისათვის, რამაც სტიმულები მისცა სახელმწიფოს როლის გაძლიერებას. სახელმწიფო იძულებულია აქტიურად მონაწილეობდეს ინფრასტრუქტურის, თავდაცვითი მრეწველობის ჩამოყალიბებაში, ფულის მიმოქცევის რეგულირებაში და სხვა. სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა განსაკუთრებით კრიზისისა და დეპრესიების დროს გახდა აუცილებელი.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სოციალისტური იდეები, განსაკუთრებით მარქსიზმი, მიმზიდველ თეორიად ჩამოყალიბდა. საზოგადოების განვითარების მარქსისტულმა თეორიამ რადიკალურად დასვა საკითხი მთელი ეკონომიკის განსაზოგადოების, კერძო საკუთრების მოსპობის, ეკონომიკის ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის („ხილული ხელი“) აუცილებლობის შესახებ, რაც მოგვიანებით განხორციელდა საბჭოთა კავშირში.

მარქსიზმის მიხედვით საზოგადოების ეკონომიკური განვითარება ხორციელდება სქემით: ეკონომიკის ნაციონალიზაცია – წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაცია – საზოგადოებრივი (სახელმწიფო) საკუთრება ცენტრალიზებული დაგეგმვა და მართვა, რომელსაც უშუალოდ ახორციელებს სახელმწიფო. „წავიდეს ისე, როგორც მიდის“ პრინციპი იცვლება სრულიად ახლით, მისი ალტერნატივით „წავიდეს ისე, როგორც ამას განსაზღვრავს „ხილული ხელი“ (სახელმწიფო), აღსანიშნავია, რომ სხვა ალტერნატიული სისტემებიც არსებობდა. მაგალითად, ფაშისტური ეკონომიკური სისტემა ეყრდნობოდა კერძო საკუთრებას (ადამ სმითის კონცეფციის ერთი ელემენტი) და ცენტრალიზებულ დაგეგმვასა და მართვას (მარქსიზმის კონცეფციის ერთი ელემენტი), იუგოსლავიის ეკონომიკა-საზოგადოებრივ საკუთრებას (მარქსიზმის კონცეფციის ერთი ელემენტი) და ეკონომიკის რეგულირების (თვითრეგულირების) საბაზრო მექანიზმებს („უხილავი ხელი“).

XX საუკუნის 30-იან წლებში, როცა საყოველთაო კრიზისმა ეკონომიკის განვითარების ადამ სმითის თეორია ეჭვქვეშ დააყენა, ასპარეზზე გამოდის ჯ. კეინზის შეხედულებები. **მათი მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალიზმი მხოლოდ დაავადებულია, მან თვითრეგულირების შესაძლებლობა ამოწურა. ამიტომ საჭიროა სახელმწიფოს მხრივ რთული საზოგადოებრივი პროცესების რეგულირება. ჯ. კეინზის დამსახურება ისაა, რომ მან საბაზრო ურთიერთობებში შეიყვანა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება, როგორც კვლავწარმოების ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორი, აღიარა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების შეხამების აუცილებლობა. ცნობილია, რომ ეს მიდგომა საფუძვლად დაედო აშშ პრეზიდენტ რუზველტის „ახალ კურსს“.**

ამრიგად, ჯ. კეინზის მიხედვით **ეკონომიკური განვითარება ხორციელდება სქემით: კერძო საკუთრება – ინდივიდის მისწრაფება ჰქონდეს მეტი სარგებელი-კონკურენცია – ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება (საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმებთან მისი შეხამება).**

ამჟამად, დასავლეთის ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შესახებ ორი ძირითადი კონცეპტუალური მიდგომა ჩამოყალიბდა. პირველი, როცა სახელმწიფო გამოსცემს კანონებს, ახორციელებს სამეურნეო ინტერესების კოორდინაციას და ფაქტობრივად გამოდის, როგორც გარე ძალა ეკონომიკური პროცესების მიმართ. ამ შემთხვევაში სახელმწიფო და ეკონომიკა თითქოს ცალ-ცალკეა: პირველი – „თამაშის წესებს“ განსაზღვრავს, მეორე – თვითრეგულირებით ვითარდება. ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა მკაცრ მეცნიერულ ლოგიკას მოკლებულია და იშვიათად გვხვდება სამეურნეო პრაქტიკაში.

მეორე, როცა სახელმწიფო მესაკუთრეა, იგი უშუალოდ ახორციელებს სამეურნეო საქმიანობას და გამოდის ბაზრის სუბიექტის როლში, ამასთან, სხვა სუბიექტების მიმართ იცავს საბაზრო ურთიერთობების ფუძემდებლურ პრინციპებს. ასეთ შემთხვევაშიც ეკონომიკაში მისი ჩარევის ხარისხი სხვადასხვა ზომით განისაზღვრება. ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა უფრო რეალურია, მაგრამ ისიც ცალმხრივია, სრულად ვერ ასახავს ეკონომიკური პროცესების განვითარების თანამედროვე პრაქტიკას.

საქართველოს ეკონომიკა დღეს ფორმით და შინაარსითაც წარმოადგენს განსაკუთრებულ ისტორიულ-ეკონომიკურ ტიპს. იგი აღმოცენდა და „ფუნქციონირებს“ საბჭოთა სოციალიზმის „ველური კაპიტალიზმის“, განვითარებული ქვეყნების შერეული ეკონომიკური სისტემისა და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის ტრანსფორმაციის ტრადიციების (კანონზომიერებათა), ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული მსოფლმხედველობითი პოზიციების დაპირისპირების, ურთიერთგანპირობებულობის სხვადასხვა ელემენტის საფუძველზე და წარმოჩნდა თავისებური კონგლომერატის სახით, ამიტომ მას რომელიმე ადრე ცნობილი ან ფორმირებადი ეკონომიკური სისტემის მკაფიოდ გამოკვეთილი ნიშან-თვისებები არ გააჩნია. ეს თავისებურება მრავალმხრივ შესწავლას საჭიროებს.

90-იანი წლების სოციალურმა და ეკონომიკურმა კატაკლიზმებმა (მათ შორის მსოფლიო სავალუტო კრიზისმა), რომლებიც ძირითადად საზოგადოებრივი ურთიერთობების (განსაკუთრებით ეკონომიკური პროცესების) რეგულირებიდან სახელმწიფოს ჩამოცილებამ ბევრად განაპირობა, სრულიად ახალი რაკურსით დააყენა საკითხი სოციალისტური მეურნეობრიობის სისტემიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში სახელმწიფოს განსაკუთრებული ეკონომიკური როლის შესახებ.

ამ რთული პრობლემის ირგვლივ კამათი ძირითადად ადრე არსებული იდეოლოგიური დოგმების საფუძველზე გრძელდება, თანაც ისეთ საკითხებზეც, რომლებიც მსოფლიო სამეურნეო პრაქტიკაში გადაწყვეტილად არის მიჩნეული. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ცხოვრებამ ყველა არსებულ თეორიას (სახელმწიფოს როლის უგულებელყოფა, გაფეტიშება, კვდომა, ბაზრის „ღამის დარაჯი“ და სხვა) ახალი გამოწვევა შესთავაზა. პრაქტიკამ ამჯერადაც დაასწრო მეცნიერებას (თეორიას) და ცხადი გახდა, რომ გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაციის კურსის განხორციელებით, რომელსაც საფუძვლად დაედო „წმინდა კაპიტალიზმის“ თეორიით ნასაზრდოები მიდგომა სახელმწიფოს როლის ბაზრის „ღამის დარაჯის“ ფუნქციამდე დაყვანის შესახებ, ბევრი თეორიული საკითხი და პრაქტიკული ამოცანაც სრულად ახლებურად დაისვა.

ფაქტია, რომ „უხილავი ხელის“ ახალგაზრდა კაპიტალიზმის განვითარების ადამ სმითისეული კონცეფციისადმი ერთგულებამ XX საუკუნის დასასრულს ეროვნული ეკონომიკის სტიქიურად განვითარება დააჩქარა, პრინციპით: „წავიდეს ისე, როგორც მიდიოდა კაპიტალიზმი“. ეს მოხდა მაშინ, როცა კლასიკური კაპიტალიზმი, როგორც ასეთი, ისტორიის კუთვნილებაა, მისი XX საუკუნეში სრულიად ორი ახალი მიმართულებით განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგებიც სახეზეა და ძირითადად შეფასებულიც. მხედველობაში გვაქვს ჯერ ერთი, კლასიკური კაპიტალიზმი ტრანსფორმაციით თვისებრივად ახალი სისტემის – შერეული ეკონომიკის ჩამოყალიბება და მისი ეფექტიანად ფუნქციონირება (რაც დღეს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი) და მეორე – 20-იანი წლებიდან კლასიკური კაპიტალიზმის ალტერნატივის (ანტიპოდის) – სოციალისტური ეკონომიკის ჩამოყალიბება-ფუნქციონირების შედეგების ანალიზი-შეფასება.

XX საუკუნის 80-იან წლებში „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც „ხილული ხელის“ აქტიური ზეგავლენით სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარება ფაქტობრივად იძენს სტიქიურ ხასიათს. ეს ძირითადად განაპირობა ე. წ. მესამე სამყაროს ქვეყნების განვითარების (ვაშინგტონის კონსენსუსი) დასავლეთის ეკონომიკური დოქტრინის „შოკური თერაპიის“ ამოქმედებამ. მისი რეცეპტებით ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ადამ სმითის კონცეფციის შესაბამისად ეკონომიკის „გადასვლა“ იწყება „კაპიტალიზმზე“. **შესაბამისად დაისვა სტრატეგიული ამოცანა საკუთრების ერთი ფორმა (სახელმწიფო) შეიცვალოს მეორე ფორმით (კერძო საკუთრება) და მის ბაზაზე აშენდეს კლასიკური კაპიტალიზმის ისტორიული მოდელის „წმინდა“ ახალი ეროვნული საბაზრო ეკონომიკური სისტემა.**

ამრიგად, პოსტსაბჭოთა საქართველოში ეროვნული მეურნეობის ტრანსფორმაცია დაიწყო ახალგაზრდა კაპიტალიზმის განვითარების ადამ სმითისეულ კონცეფციაზე დაყრდნობით (მთავარი პრინციპებია „უხილავი ხელი“, „წავიდეს ისე, როგორც მიდის“, „სახელმწიფოს ფუნქცია მხოლოდ კერძო საკუთრების დაცვაა“). აწმყოს წარსულში დაბრუნების მცდელობას შესაბამისი შედეგიც ახლავს.

საქართველოს ეკონომიკა დღეს ფორმით და შინაარსითაც წარმოადგენს განსაკუთრებულ ისტორიულ-ეკონომიკურ ტიპს. იგი აღმოცენდა და „ფუნქციონირებს“ საბჭოთა სოციალიზმის „ველური კაპიტალიზმის“, განვითარებული ქვეყნების შერეული ეკონომიკური სისტემისა და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის ტრანსფორმაციის ტრადიციების (კანონზომიერებათა), ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული მსოფლმხედველობითი პოზიციების დაპირისპირების, ურთიერთგანპირობებულობის სხვადასხვა ელემენტის საფუძველზე და წარმოჩნდა თავისებური კონგლომერატის სახით, ამიტომ მას რომელიმე ადრე ცნობილი ან ფორმირებადი ეკონომიკური სისტემის მკაფიოდ გამოკვეთილი ნიშან-თვისებები არ გააჩნია. ეს თავისებურება მრავალმხრივ შესწავლას საჭიროებს.

ჩინეთში, ვიეტნამში სულ სხვა გზით განვითარდა ეკონომიკა. იქ იმძლავრა „ხილულმა ხელმა“ (სახელმწიფომ), რომელმაც ჩათვალა, რომ ეროვნული ეკონომიკა დაავადებულია, საჭიროა მისი განკურნება. ცნობილია, რომ დენ-სიაოპინის დოქტრინის მიხედვით „ხილული ხელის“ (სოციალისტური სახელმწიფო) მეშვეობით ეკონომიკურ პროცესებში მთავარ „მოქმედ პირად“ შემოდის „უხილავი ხელი“ – კერძო საკუთრება, პირადი დაინტერესება, არა სრულყოფილი კონკურენცია, საერთოდ თვითრეგულირების საბაზრო მექანიზმები. ამრიგად, ჩინეთსა და ვიეტნამში ეკონომიკაში, არსებული პოლიტიკური სტრუქტურის ფარგლებში, თავის ადგილს იკავებს კერძო საკუთრება და მასთან დაკავშირებული ინსტიტუტები, ყალიბდება გარემო იმისათვის, რომ მოხერხდეს საბაზრო თვითრეგულირებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების შეხამება, რაც არსებითია საკუთრების ფორმას არ ენიჭება გადამწყვეტი პოლიტიკური მნიშვნელობა (ეს კაპიტალისტური ქვეყნების სამეურნეო გამოცდილებითაც დასტურდება), რაც გამოიხატება მოარულ გამოთქმაში „მნიშვნელობა არა აქვს კატის ფერს, მან თაგვი უნდა დაიჭიროს“.

როგორც ჩანს პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ადგილობრივი თავისებურებების შესაბამისად ეკონომიკისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების მიმართ განსხვავებული, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი მიდგომები არსებობს. ამიტომ მიზანშეწონილია თანამედროვე პირობებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი თავისებურების, ტენდენციის და კანონზომიერების უფრო ვრცლად განხილვა.

ნოდარ ჭითანავა.

პრობლემა

განძი გქონდეს და ვერ პატრონობდე?

სხვა რომ არა იყოს, ნასაკირალი ქართული ლექსითა და სიმღერით არის უკვდავყოფილი. „განთიადის მგალობელი ნასაკირალი“... კრიმანჭულით თავმორთულ ჰანგებშიც გაიჟღერა მისმა სახელმა და გალაკტიონმაც მოიხმო: – „ვხედავ სურებს, ვხედავ დაფნარს, ვხედავ მდუმარ ნასაკირალს“... რა იგულისხმა დიდმა პოეტმა ამ დუმილში? მარად ბობოქარი, მოჯანყე გურულების იმჟამინდელ ხვედრთან შერიგებულობა? თუ ასწლოვანი ხეებით დაბურული შემოგარენის გარინდება იყო პოეტური აზრის იმპულსი?

მაგრამ ეს ჩემი წერილი სულ სხვა რამეს ეხება. იმ სავალალო მდგომარეობას, რომელშიც ერთ დროს საკმაოდ სახელიანი კურორტი ნასაკირალი ჩავარდა. ბალნეოლოგიური კურორტი ნასაკირალი ოზურგეთის ჩრდილო დასავლეთით, მისგან 12 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ეს მთაგორიანი უსიერი ტყით დაფარული ალაგი ადრე ფირალთა თავშესაფარი იყო.

რაც შეეხება აქაურ სამკურნალო წყალს, საგულისხმოა მისი აღმოჩენის ისტორია.

ოზურგეთში მოღვაწე მღვდელს, ილია მჟავანაძეს შეუნიშნავს, რომ მისი ჯორი დღის განმავლობაში რამდენიმე საათით იკარგებოდა. ხუცესი დაინტერესებულა პირუტყვის ასეთი ახირებით და მის კვალს გაჰყოლია. თურმე ჯორი ნასაკირალის გაუვალ ტყეში სწორედ იმ მჩქეფარე ნაკადულებს ეტანებოდა. იმდენად იყო შეპყრობილი მისი წყურვილით, ყოველდღიურად რამდენიმე კილომეტრის გავლას არ ზარობდა. გაკვირვებულმა მღვდელმა თავადაც იგემა წყლის გემო, მიხვდა, რომ ის ჩვეულებრივი წყალი არ იყო. ეს მოხდა 1918 წელს. როგორც ჩანს, მაშინ საქართველოში საამისო საშუალებები არ იყო და ცნობისწადილით შეძრულ ხუცესს ერთი დოქი წყალი ანალიზისათვის ოდესაში გაუგზავნია. რამდენიმე თვის შემდეგ მას იქიდან პასუხიც გამოუგზავნეს წყლის ქიმიური ფორმულითურთ.

წყალი სამკურნალო აღმოჩნდა. ეს ამბავი გაახმაურა მღვდელმა ილიკო მჟავანაძემ და 20-იანი წლებიდან ახლო სოფლების მოსახლეობამ საცალფეხო გზა ჩაიყვანა წყაროებამდე, შემდეგ პრიმიტიული აბაზანებიც (ხის კარდალები და გობები) გამართეს.

უფრო მოგვიანებით ნასაკირალის სამკურნალო წყლით იმჟამინდელი ხელისუფლება დაინტერესდა და ნაკადულებამდე ძიმითის კოლმეურნეობას დაევალა საურმე გზის გაყვანა, ორკაბინიანი აბაზანისა და მედპუნქტის აგება, რაც მაშინ შესრულდა კიდეც. ასე იარსება 1938 წლამდე. ამის შემდეგ იწყება ნასაკირალის სხვადასხვა უწყებებისადმი გადაცემის მთელი სერიალი. 1938 წლიდან იგი ოზურგეთის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ჩააბარეს. სამმართველოს ძალისხმევით აიგო სათბობი საქვაბე, გაიხსნა მედპუნქტი, დაინიშნა ფერშალი. 1941 წლიდან ობიექტი ოზურგეთის ჯანდაცვის განყოფილებას გადაეცა, რომელმაც კეთილმოწყობის სამუშაოები ჩაატარა და აქ ექიმიც მოავლინა. ამ პერიოდში კიდევ გამოიკვლიეს ნასაკირალის წყლების ქიმიური შედგენილობა. აშენდა ორსართულიანი სტანდარტული შენობა, რომლის ირგვლივ (ცალკეული კოლმეურნეობების ხარჯებით) დამსვენებელთა და ავადმყოფთათვის ხის 7 სტანდარტული კოტეჯი აიგო, გაიყვანეს სამანქანო გზა.

1964 წლიდან ნასაკირალი უკვე საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ, კერძოდ, მის დაქვემდებარებაში შესულმა კურორტების სამმართველომ ჩაიბარა და მოხდა მისი კურორტად კურთხევაც. ამ პერიოდში კურორტს საბაზანო შენობა, სასადილო, კულტურის სახლი, კლინიკური და კლინიკურ-ბიოქიმიური ლაბორატორიები, ფიზიო-განყოფილება შეემატა, რომლებიც საჭირო ინვენტარ-მოწყობილობებით აღიჭურვა. ბევრი რამ გაკეთდა კურორტის იერსახის შესაცვლელად და გასაუმჯობესებლად.

1984 წლიდან კურორტის სრული მეპატრონე „საქკურორტი“ გახდა, რომლის მონდომებითაც, კიდევ უფრო დაიხვეწა და თანადროულ სტანდარტებს გაუსწორდა კურორტის საყოფაცხოვრებო და სამკურნალო ინფრასტრუქტურა. კურორტ ნასაკირალს 1964 წლიდან ხელმძღვანელობდა ექიმი და საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვლადიმერ გოგუაძე, რომელსაც ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის კურორტის განვითარების, მოვლა-პატრონობის და სამკურნალო შესაძლებლობათა გამოვლენა-შესწავლაში. დადასტურდა, რომ აქაური წყლები საუკეთესო საშუალებაა სახსრების ქრონიკული რევმატოიდული ანთების, რადიკულიტის, იშიაზის, სპონდილიტის სამკურნალოდ, ძვლის მოტეხილობის შეხორცების შემდგომი აღდგენითი პროცესების დაჩქარებისათვის.

სამკურნალო-სასმელი წყალი მარგი იყო შაქრიანი დიაბეტის, ენტეროკოლიტის, შარდის ბუშტის ანთების, გინეკოლოგიურ დაავადებათა სამკურნალოდ: ასე რომ, ბალნეოლოგიურმა კურორტმა დიდი პოპულარობა მოიპოვა გურია-აჭარის მოსახლეობაში. საქკურორტის საგზურებით აქ ჩამოდიოდნენ პაციენტები ამიერკავკასიისა და შუა აზიის, რუსეთის სხვადასხვა კუთხეებიდან. კურორტი ერთდროულად 200 დამსვენებელს ემსახურებოდა (წყლის დებეტი – 140 ტონა დღე-ღამეში), ხოლო სამკურნალო-სადიაგნოსტიკო კაბინეტ-ლაბორატორიების გამოყენებით კურორტს საშუალება ჰქონდა ყოველდღიურად სტაციონარში 100 ადამიანი მიეღო. კურორტი აგრეთვე გამოიყენებოდა ტურისტულ ბაზადაც.

ნასაკირალის „ბედნიერი ცხოვრების“ რღვევა 1991 წლიდან დაიწყო. კურორტის თანამშრომლებს ხელფასი შეუწყვიტეს და უსახსროდ დარჩენილმა პერსონალმაც ენთუზიაზმის ხარჯზე დიდხანს ვეღარ იმუშავა. უპატრონოდ მიტოვებულს კი „ეშმაკებიც“ მყისვე დაეპატრონენ, – გაძარცვეს და დაიტაცეს ყველაფერი, რისი აღებაცა და წაღებაც შეიძლებოდა. მოსახლეობამ უმოწყალოდ გაჩეხა კურორტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული წიფლისა და რცხილის ასწლოვანი კორომები, განსაკუთრებით ამ თვალსაზრისით კურორტის მისასვლელი დაზიანდა.

1998 წლიდან კურორტი ნასაკირალი ოზურგეთის რაიონული გამგეობის საკუთრებაში გადავიდა, მაგრამ ამ დროისათვის გაპარტახებულ კურორტს დაშლილი აბაზანები და წყალიღა შერჩა, რომელიც უსარგებლოდ იღვრება.

დღეისათვის უმთავრესი სწორედ ამ წყლისა და მისი მშობელი გარემოს – კურორტის ტყის მასივის, მისი ლანდშაფტის შენარჩუნებაა. ამ მიზნით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ პოზიციას, რომელიც ტურისტულ-ალპინისტურმა საზოგადოება „გურიის მთებმა“ (პრეზიდენტი თენგიზ ბერიშვილი) გამოავლინა, სწორედ ამ საზოგადოებამ ატეხა განგაში პრესის ფურცლებზე და საქმიანი მიმოწერა გააჩაღა ოზურგეთის რაიონული გამგეობის, სატყეო დეპარტამენტის, ოზურგეთის სატყეო მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის რეგიონული სამსახურის ხელმძღვანელებთან.

მელან-ქაღალდი ამაოდ არ გახარჯულა; საზოგადოების წინადადებები ყურად იღეს და ახლახან, ოზურგეთის რაიონის გამგეობის გადაწყვეტილებით, კურორტი ნასაკირალი და მისი მიმდებარე ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები ტყემოწყობის არსებული წესის შესაბამისად ოზურგეთის სატყეო მეურნეობას გადაეცა. სატყეო მეურნეობამ შექმნა სატყეო უბანი. ზემოხსენებული ტყეები 1391 ჰექტარს მოიცავს. ამ ეტაპზე სატყეო მეურნეობას უკეთ შეუძლია აქაურობა უხეში ხელყოფისაგან დაიცვას.

დაგვიანებით, მაგრამ საქმეს თავი მაინც მოება, ყოველ შემთხვევაში, შეწყდა ნასაკირალის ტყის უმოწყალო ჩეხვა და დღეს სრული გაქრობა აღარ ემუქრება, როგორც ტყის რესურსს, ისე მინერალურ და სამკურნალო წყლებს. აღიკვეთება ნიადაგეროზიული და მეწყერსაშიში საფრთხეც.

კურორტ ნასაკირალის წახდენა არ შეიძლება. სასურველია ინვესტორიც გამოჩნდეს, იქნებ, უცხოელი მაინც, ვინც იზრუნებდა ნასაკირალის აღორძინებისათვის.

ქართველებისთვის უფალს ბევრი სიკეთე უბოძებია, მაგრამ სანამ ამ სიმდიდრის მოხმარების უნარი და საშუალება გაგვიჩნდება, ვინძლო ამ გზამ აჯობოს. ასეთი განძი გქონდეს და იმის გამო, რომ ვერ პატრონობ, წყალსა და მეწყერს უნდა მიჰქონდეს?!.

თამაზ ხარაიშვილი,
„სრ“ საკ. კორ.

საუკუნის მაგისტრალი: გახსნამდე დარჩა ერთი დღე

(პირველი გვერდიდან)

მომავალი ნავთობსადენების პროექტების განხორციელება მომხდარიყო შეუფერხებლად და საქართველოს ინტერესების სათანადოდ დაცვით. შესაბამისად, აუცილებელი იყო, რომ სნსკ დამკვიდრებულიყო როგორც დასავლური ტიპის (საქართველოსთვის იმჟამად ახალი ტიპის) იმგვარი კომპანია, რომელიც თავისი პროფესიონალიზმითა და გამჭვირვალობით მისაღები იქნებოდა, როგორც დასავლური ნავთობკომპანიებისათვის, ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისათვის. უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტის ჩანაფიქრი ნავთობსადენების პროექტების ხელშეწყობისათვის სპეციალური დამოუკიდებელი სტრუქტურის შექმნის თაობაზე, ამ სფეროში წარმატების მიღწევის ქმედითი იარაღი აღმოჩნდა. სნსკ-ში ჩამოყალიბდა პროფესიული გუნდი, რომელიც კომპეტენტურად და სათანადოდ იცავს და მაქსიმალურად ეფექტიანად იყენებს დონორი ორგანიზაციების დახმარებას და სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მომარჯვებით, საკმაო წარმატებით იცავს საქართველოს ინტერესებს საერთაშორისო პროექტების განხორციელებისას.

სნსკ-ის შექმნის პირველი დღეებიდან დაიწყო მისი მჭიდრო თანამშრომლობა დონორებთან. უფრო მეტიც, გაეროს განვითარების პროგრამისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ექსპერტები სნსკ-ის დაფუძნების პროცესშიც იღებდნენ მონაწილეობას. სწრაფად განვითარდა თანამშრომლობა მსოფლიო ბანკთან, ევროგაერთიანებასთან, დიდი ბრიტანეთის ნოუ-ჰაუს ფონდთან.

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია: თანამშრომლობის მერიდიანები

მკითხველს მოკლედ წარმოვუდგენთ იმ პროექტებს, რომლებიც სხვადასხვა საერთაშორისო დონორებისა და განვითარების სააგენტოების ხელშეწყობით ხორციელდება სნსკ-ში.

1996 წლის თებერვალში გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამასთან ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის კომპეტენციის ამაღლებისა და სრულყოფის“ (Capacity Building) პროექტის განხორციელების შესახებ. ამ პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სნსკ-ს ჩამოყალიბებას თანამედროვე, დასავლური ტიპის კომპანიად, რომელიც შეძლებს განახორციელოს და მართოს თავისი საქმიანობა დამოუკიდებლად, ეფექტიანად და გამჭვირვალედ. პროექტი ასევე ეხმარება სნსკ-ს გააუმჯობესოს თავისი შესაძლებლობები და აიმაღლოს გამოცდილება გარემოს დაცვითი მოთხოვნების სფეროში, რათა ის სანავთობო პროექტები, რომელშიც ჩართულია სნსკ, განხორციელდეს საერთაშორისოდ აღიარებული გარემოს დაცვითი მოთხოვნების შესაბამისად.

პროექტზე სულ დაიხარჯება 5 მილიონი დოლარი, სადაც გაეროს განვითარების პროგრამის წვლილი შეადგენს 1 მილიონ დოლარს. დღემდე უკვე დახარჯულია 3,706,719 დოლარი. ამ პროექტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმის გამოც, რომ სნსკ-ის პრაქტიკულად მთელ საქმიანობას და, რაც მთავარია, ამ საქმიანობის ხარჯვით ნაწილს, გაერო მუდმივ ზედამხედველობას უწევს.

პროექტის დასრულება თავდაპირველად 2000 წლის 31 დეკემბრისთვის იყო განსაზღვრული. გაეროს განვითარების პროგრამამ და სნსკ-მ გადაწყვიტეს ბიუჯეტი 10,552 ათას დოლარამდე გაზარდონ და პროექტი 2001 წლის 31 დეკემბრამდე გააგრძელონ.

პროექტი შედგება ქვეპროექტებისაგან: **გაჩიანის სარკინიგზო ტერმინალისა და ჩასატვირთი საშუალებების ეკოლოგიური რეაბილიტაცია.** „ეკოლოგიური ჯგუფი“, სნსკ-ის ოფისის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, მენეჯმენტის პროექტი, მილსადენის მშენებლობისა და ექსპლოატაციის შესახებ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულება, წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლები.

1996 წლიდან მსოფლიო ბანკმა დაიწყო მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობასთან მისთვის სესხის გამოყოფის შესახებ „ნავთობის ინსტიტუციური მშენებლობის პროექტის“ განსახორციელებლად. შესაბამისი სასესხო ხელშეკრულება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის, ძალაში შევიდა 1997 წლის 27 ივნისიდან, ამ ხელშეკრულების საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცების შემდგომ. ხელშეკრულების თანახმად, საერთაშორისო განვითარების ასოციაციამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გამოუყო 1.400.000 დოლარის ოდენობის სესხი წლიური 0,5 პროცენტი საპროცენტო განაკვეთით, 35 წლის ვადითა და 10-წლიანი შეღავათიანი პერიოდით სნსკ-სათვის მიზნობრივად გადასაცემად შემდეგ პირობებზე: 7 პროცენტი საპროცენტო განაკვეთი, 10 წლის ვადა და 3 წელი შეღავათიანი პერიოდი. მომდევნო პერიოდში მსოფლიო ბანკმა ზემოთაღნიშნული სესხის ოდენობა კიდევ 300,000 დოლარით გაზარდა.

ეს თანხა გამოყენებულია მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული „ნავთობის ინსტიტუციონალური მშენებლობის პროექტის“ განსახორციელებლად, რომლის მიზანია საერთაშორისო ექსპერტებით დაეხმაროს სნსკ-ს აწარმოოს საერთაშორისო მოლაპარაკებები ნავთობსადენების ფინანსური, კომერციული, საინჟინრო, ეკოლოგიური და იურიდიული ასპექტების შესახებ და იგი თავის მხრივ მოიცავს შემდეგ ქვეპროექტებს: **„ბაქო-სუფსის დიდი ნავთობსადენის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა“ და „დიდ მილსადენზე მოლაპარაკებებისას მთავარი მრჩეველი“.**

1996-1997 წლებში „ტასისის“ პროგრამამ დააფინანსა იტალიური საკონსულტაციო ფირმა „აკვატერი“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხილვაში სნსკ-სთვის საექსპერტო დახმარების გასაწევად. პროექტის მიზანი იყო ქართველ ექსპერტთა ჯგუფის შექმნა და მაღალკვალიფიციური უცხოელი ეკოლოგის ხელმძღვანელობით საქართველოს მილსადენის კომპანიასთან დადებული მილსადენის მშენებლობისა და ექსპლოატაციის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს მილსადენის კომპანიის მიერ მომზადებული და სნსკ-სთვის დასამტკიცებლად წარდგენილი ბაქო-სუფსის ადრეული მილსადენის გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხილვა და კომენტირება. გაწეული სამუშაოების შედეგად, სნსკ-მ საქართველოს მილსადენის კომპანიას დასაბუთებული მოთხოვნები წარუდგინა ადრეული მილსადენის გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, საინჟინრო პროექტში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

„ტასისის“ პროგრამის მიერ დაფინანსებული იყო აგრეთვე პროექტი: „ექსპერტთა მოკლევადიანი მომსახურების ჩამოყალიბება, სნსკ-სთვის რჩევის სახით დახმარების უზრუნველყოფისათვის ნავთობისა და გაზის ბიზნესის ადმინისტრაციისა და საკონტრაქტო მოლაპარაკებების საკითხებში“. ეს პროექტი მიმდინარეობდა 1997 წლის 12 მაისიდან 1998 წლის 17 თებერვლამდე და მას ახორციელებდა იტალიური საკონსულტაციო კომპანია „ჯი ენდ ფინტი“. პროექტის მიზანი იყოს მაღალკვალიფიციური და გამოცდილი უცხოელი ექსპერტებისგან შემდგარ ჯგუფს მოკლე ვადაში, სწრაფად და ეფექტურად აღმოეჩინა სნსკ-სთვის საკონსულტაციო დახმარება ნავთობისა და გაზის ბიზნესის ადმინისტრირების, ნავთობისა და გაზის ტრანზიტის შესახებ საერთაშორისო კონტრაქტებზე მოლაპარაკებების, მილსადენების დაპროექტებისა და ფინანსირების დარგში.

1998 წლის 30 იანვრიდან მიმდინარეობს და 1999 წლის 30 ივნისს დასრულდება „ტასისის“ პროგრამის მიერ დაფინანსებული კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი — „სნსკ-სთვის დახმარება ნავთობის სატრანზიტო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებასა და ორგანიზაციულ აღმშენებლობაში“. პროექტს ახორციელებს ფრანგული საკონსულტაციო კომპანია „ბეისიპ ფრანლაბისა“ და იტალიური საკონსულტაციო კომპანია „ჯი ენდ ფინტის“ მიერ შექმნილი კონსორციუმი. პროექტის მიზანია სნსკ-ს საორგანიზაციო სტრუქტურისა და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარება და გაძლიერება.

1996 წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) აფინანსებდა საერთაშორისო ექსპერტების მოკლევადიან მივლინებებს, რომლებიც ეხმარებოდნენ სნსკ-ს ბაქო-სუფსის ადრეული მილსადენის პროექტის საკითხებზე მუშაობისას.

ამ ბოლო დროს გამოიკვეთა და **USAID**-თან აქტიური მუშაობა დაიწყო მართლაც უსერიოზულეს პროექტზე, რომლის შედეგებსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება საქართველოში ინფრასტრუქტურის პროექტების წარმატებით განხორციელებისათვის. კერძოდ, მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული დიდი ნავთობსადენის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის შედეგებმა და ადრეული მილსადენის მშენებლობის დროს მიღებულმა გამოცდილებამ გვიჩვენეს იმის აუცილებლობა, რომ საქართველომ უნდა შეიმუშაოს და მიიღოს კანონმდებლობა ე. წ. „ემინენტ დომეინისა“ და პროექტების განხორციელების პროცესში გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესახებ. კანონი „ემინენტ დომეინის“ შესახებ გაითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ საკუთრების უფლების იძულებით გასხვისებას ან შეზღუდვას საზოგადოებრივი აუცილებლობის სტატუსის მქონე პროექტების განხორციელებისათვის. ეს კანონმდებლობა აუცილებელია იმისათვის, რათა საინვესტიციო გარემო საქართველოში კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს უცხოელი ინვესტორებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ დააფინანსა საკონსულტაციო ფირმა „ჰეგლერ ბაი“-ის მიერ ზემოთაღნიშნული კანონების შემუშავებაში ჩვენთვის ქმედითი დახმარების გაწევა. ამ კანონპროექტებზე მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს და სნსკ-ისა და „ჰეგლერ ბაი“-ის ექსპერტების ერთობლივმა საწყისმა მუშაობამ, უკვე გამოკვეთა მომავალი კანონების კონცეფცია. **USAID** ასევე აპირებს მხარდაჭერა აღმოგვიჩინოს ინვესტორი კომპანიების ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებული მექანიზმების შემუშავებაში. შედეგად, უცხოური კომპანიები აღარ მოითხოვენ საქართველოში გადასახადებისაგან განთავისუფლებას, რადგან მათ შესაძლებლობა ექნებათ გამოიყენონ საგადასახადო შეღავათები თავიანთ ქვეყნებში და მეორედ აღარ დაიბეგრონ იგივე შემოსავალზე.

1997 წლის თებერვალში გაფორმდა საგარანტიო ხელშეკრულება სნსკ-სა და ამერიკის ვაჭრობის განვითარების სააგენტოს (**USTDA**-ს) შორის. ამ ხელშეკრულებით, სნსკ-ს გამოეყო 546,000 დოლარის ოდენობის გრანტი, სუფსის ტერიტორიაზე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესასწავლად. სნსკ-მ ტენდერი მოაწყო ამ პროექტით დაინტერესებული ამერიკული კომპანიებისათვის, რომელშიც გაიმარჯვა ამერიკულმა კონსორციუმმა „ოტს კაპიტალის“ ხელმძღვანელობით, რომელთანაც შემდგომში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ამ შესწავლის ჩატარების პირობებზე.

ამჟამად სუფსის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა დასასრულს უახლოვდება. შესწავლის შედეგად დადგინდა მომავალი ქარხნის ის ოპტიმალური პარამეტრები, რომელიც მას ტექნიკურად განხორციელებადს და ამავე დროს ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანს გახდის. კერძოდ, გადამამუშავებელი ქარხანა იქნება ბლოკური ტიპის და პირველი ბლოკის სიმძლავრე იქნება 2 მილიონი ტონა წელიწადში. მომავალში გაიზრდება როგორც ქარხნის სიმძლავრე, ასევე გადამუშავების სიღრმე და პროდუქციის მრავალფეროვნება. ქარხანას შეეძლება გადაამუშაოს როგორც აზერბაიჯანული, ასევე რუსეთის ნავთობი. ამ უკანასკნელის მიღება შესაძლებელი გახდება შავი ზღვიდან. ნავთობის გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავებული პროდუქტები იქნება მაღალი ხარისხის, თანამედროვე ეკოლოგიური სტანდარტების შესაბამისი და შესაძლებელი იქნება მათი გასაღება როგორც საქართველოში, ასევე შავი ზღვის ქვეყნებშიც, რადგან ამ რეგიონში არ იწარმოება მსგავსი ხარისხის ნავთობპროდუქტები. იმის გათვალისწინებით, რომ საჭირო გახდა დამატებითი შესწავლის განხორციელება ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისათვის საჭირო სარკინიგზო და საზღვაო საექსპორტო ინფრასტრუქტურის შესწავლისთვის, **USTDA**-მ ზემოთაღნიშნული გრანტი კიდევ 150,000 ამერიკული დოლარით გაზარდა იმ პირობით, რომ პროექტის მონაწილეები ასევე შეიტანდნენ მნიშვნელოვან წილს შესწავლის გაზრდილი ხარჯების დასაფარავად.

USTDA-ის პროექტი გულისხმობს, რომ თავად კომპანია „ოტს კაპიტალი“ და ის კონსორციუმი, რომელიც მან სუფსის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობისთვის სპეციალურად ჩამოაყალიბა, ააშენებს ქარხანას ე. წ. „პროექტის ფინანსირების“ სქემით, რომლის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ ამ შემთხვევაში ინვესტორები არ ითხოვენ სახელმწიფო გარანტიებს.

პროექტის განვითარების პირველ ეტაპზე განხორციელდება სარკინიგზო გადასატვირთი მოწყობილობებისა, საზღვაო გადასატვირთი ტერმინალისა და მათი შემაერთებელი მილსადენის მშენებლობა-რეკონსტრუქცია და ეს კომპლექსი დასაწყისში რკინიგზით ტრანსპორტირებულ ნავთობსაც მოემსახურება. პარალელურად განვითარდება პროექტის შემდგომი ეტაპი, რომელიც გულისხმობს სუფსაში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ამოქმედებას წელიწადში 2 მილიონი ტონა ნავთობის გადამუშავების შესაძლებლობით.

ყოველივე ზემოთ თქმული იმ მაღალპროფესიული მიდგომის შედეგია, რომელსაც დონორი ორგანიზაციები სნსკ-ს წინაშე მდგარი პრობლემების მიმართ იჩენენ.

სნსკ-მ დააგროვა მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილება, შექმნა სერიოზული მატერიალური ბაზა, მაგრამ, ამასთან ერთად, გასაკეთებელი საქმის მოცულობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. დღესდღეობით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დონორებთან და განვითარების სააგენტოებთან დაწყებული თანამშრომლობა გაგრძელდეს და კიდევ უფრო ეფექტიანი გახდეს.

**მოამზადა
ალეკო
ასლანიშვილმა.**

თბილისი
სუფსა
ბაქო

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

17 აპრილს იხსნება ბაქო-სუფსის ნავთობსადენი და სუფსის ტერმინალი

იუბილე

ამ ბარათებში საქართველოს სიყვარულია

მოსკოვის ქართულ სასწავლო-აღმზრდელობით კომპლექსს დაარსების 10 წელი შეუსრულდა

...ვინ ისწავლის სიყვარულს, თუ არ ჰყვარებია, ან ცხოვრებას, თუ არ უცხოვრია! ეს ყოველივე უნდა გამოსცადო. ეს ვიგრძენი იმ ბარათებიდან, სადაც თითოეულის ავტორი გულს გიშლის, გიმხელს ამ ქვეყნად ყველაზე დიდსა და სანუკვარს, — სამშობლოს მონატრებას. ეს იგრძნობა მოსკოვის ქართულ-რუსული სასწავლო-აღმზრდელობითი კომპლექსის ყოფილ თუ ამჟამინდელ მოსწავლეთა და მასწავლებელთა წერილებში.

სასწავლო ცენტრს დაარსებიდან 10 წელიწადი შეუსრულდა. მისი ისტორია კი ასეთია: — მოსკოვის განათლების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით 1988 წელს პირველად გაიხსნა ქართული საბავშვო ბაღი №11. ერთი წლის შემდეგ მის ბაზაზე დაწყებითი სკოლის ექსპერიმენტული კლასი შეიქმნა აკადემიკოს შალვა ამონაშვილის ხელმძღვანელობით. ხოლო 1992 წელს საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებებისა და განათლების სამინისტროთა შეთანხმებით, ორი ქვეყნის ხელშეკრულება დაიდო, რის საფუძველზეც ამ ბაზაზე ქართულ-რუსული სასწავლო-აღმზრდელობითი კომპლექსი №1680 დაფუძნდა. სასწავლო პროგრამა შეადგინა და დაამტკიცა მოსკოვის ოლქის განათლების სამმართველომ და საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიურმა გაერთიანებამ, ხოლო გიმნაზიის სასწავლო პროგრამა, მათ რიცხვში საავტორო, მიიღო და დალოცა უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II. 10 წლის განმავლობაში კომპლექსს სათავეში უდგას ანა კერესელიძე — პერეკრესტი.

საბავშვო ბაღში, სკოლა-გიმნაზიაში სასწავლებლად მოსკოვში მცხოვრებ ქართველთა შვილები მოვიდნენ. 1992-1993 წლების მოვლენების შედეგად საქართველოდან ემიგრირებული მოსახლეობის რიცხვმა იმატა და მოსკოვისთვის აუცილებელი გახდა კომპლექსის დირექციას პირველიდან მე-9 კლასის ჩათვლით გაეხსნა კლასები. დღეისათვის კომპლექსი საბავშვო ბაღსა და სკოლა-გიმნაზიას აერთიანებს. აქ ყველა პირობაა შექმნილი ბავშვების ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, მოზარდი თაობის ინტელექტუალური და კულტურული ფორმირებისათვის; სასწავლო პროცესს გარდა, დიდი შესაძლებლობაა კლასგარეშე მუშაობისთვის. შექმნილია ანსამბლები: ვოკალურ-ინსტრუმენტული, ქართული ხალხური ცეკვების — „კავკასიონი“, სახვითი ხელოვნების სტუდია, საეკლესიო გალობის მოყვარულთა გუნდი; მუშაობს კომპიუტერული კლასი, ქართული და რუსული თანამედროვე და კლასიკური მუსიკის შემსწავლელი წრე. ჭადრაკის კლუბი „ამომავალი ვარსკვლავი“, ლიტერატურული წრე „რუსთველოლოგია“, ინგლისურის, ესპანურის, იტალიურის, ფრანგულის, გერმანულის და რუსული ენის შემსწავლელი მოსწავლეთა გაერთიანებები, სპორტული ჯგუფები. სკოლა-გიმნაზიის ეზოში მეცენატების დახმარებით აშენდა ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია.

აი, რას მოგვეითხრობენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა, მადლიერ მშობელთა ბარათები.

— „...ჩვენთვის დაუვიწყარია ხელოვნებათმცოდნეობის მასწავლებლის, პროფესორ გიორგი მასხარაშვილის ღვაწლი. მან გვაზიარა ხელოვნების სიყვარულს. იტალიაში ყოფნისას მასპინძლები გაოცებულნი იყვნენ, ასე კარგად რომ ვიცნობდით მათ ხელოვნებას. თამარ მიხანაშვილი. XI კლასის მოსწავლე“.

— „...არბატის ქვაფენილი თოვლის ფიფქებს გადაეთეთრებინა. მრავალი ქართველივით მიუსაფარი, უცნობი სახეების ნაკადში ჯიუტად ვეძებდი ნაცნობ სახეებს. შუა არბატზე მოსწავლის ჩანთიანი ბიჭუნა დედას ქართულად ეტიტინებოდა. მათ ვკითხე ქართული სკოლა-გიმნაზიის მისამართი. ასე მოვხვდი არბატზე, სივცევ-ვრაჟეკის ჩასახვევში მდებარე ქართულ სკოლა-გიმნაზიაში. თბილად მიმიღო მისმა დირექტორმა, ანა კერესელიძემ. იმ დღეს 6 შფოთიანი წელიწადი მაშორებს, მაგრამ მაშინ მის მიერ გამოჩენილი გულისხმიერება სიცოცხლის ბოლომდე მემახსოვრება. მან მომცა საშუალება, ბავშვებისათვის კვლავ ქართული, ჩვენი ერისა და ქვეყნის სიყვარული მესწავლებინა, თავი კვლავ ქართულ გარემოცვაში მეგრძნო, ეს იყო ჩემი ხსნის გზა, და არა მარტო ჩემი... რთულმა დრომ მას დიდებული მისიის შესრულება დააკისრა.

— „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“, — გრიგოლ ორბელიანის ეს სიტყვები ამშვენებს დღეს ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტს. ამ სასწავლებელში პედაგოგთა უმთავრესი საზრუნავი ქართული ენის სიწმინდის დაცვაა. ჩვენი მცდელობით ბევრ ქართველ ბავშვს დაუბრუნდა დედაენა, მოსკოვში მცხოვრები ქართველთა შვილები სწავლობენ შოთას, ილიას, აკაკის... და ლოცვასავით იმეორებენ: „მე რომ საქართველოში დავბრუნდები“, მათი ფიქრი მუდამ სამშობლოს დატრიალებს“. — მ. ცანავა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

— „...საქართველოში დაწყებული სამოქალაქო ომის გამო იძულებული გავხდით, საცხოვრებელი ადგილი დაგვეტოვებინა. თავიდან სოჭში მოვხვდით. რაკი სწავლის გაგრძელება ქართულ სკოლაში გვსურდა, მოსკოვში ჩავედით. სკოლა-გიმნაზიის დირექტორი ანა კერესელიძე მაშინვე დაგვეხმარა. აქ სასწავლო პროცესი მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს. სასწავლებელი მოსკოვის სკოლებს შორის წარმატებითაც გამოირჩევა. რუსეთის ფედერაციის 10 სკოლიდან ერთ-ერთი ჩვენი სასწავლებელიც გახლავთ იუნესკოს წევრი. რამდენიმე წელიწადია, რაც აქა ვართ. იუბილეს მოსწავლეებთან ერთად აღვნიშნავთ აქ მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლები: ანა კერესელიძე, გიორგი მასხარაშვილი, გურამ ბერიძე, მერაბ შენგელია, ხვიჩა გოგოხია, ლევან გოდერძიშვილი, რაჯი ფოჩხუა, ტატიანა ზარეცკაია, გულო ბასილაშვილი, ნადია ძამაშვილი, ნანა ფოცხვერაძე, ნინო გუგუშვილი, ნინო სილაგაძე, ლია ურბეხაშვილი, მანანა ალადაშვილი, ესმა ბოკუჩავა, ნინო გაბესკირია, ნანა ბარჯაძე, ქეთი დანელია, ლია ბაშალეიშვილი, მანანა ნუცუბიძე, კოტე გარსევანიშვილი, ლალი ვამაკიძე, ლეილა წიკლაური, ყველა, ვინც აქ წლების მანძილზე მოზარდი თაობის აღზრდას ემსახურება“. პედაგოგი ციცინო მიხანაშვილი.

— „...მოსკოვში მყოფი სამშობლოს სიშორეს განვიცდი. მაგრამ მალე შევეწყვე ბავშვებსა და მასწავლებლებს. ხშირად ვდგამდით სპექტაკლებს, ვმართავდით კონცერტებს. არაერთხელ ვყოფილვართ მიწვეულნი რუსეთში საქართველოს საელჩოში, ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძესთან.

ერთი წლის შემდეგ თბილისში დავბრუნდი, მაგრამ 3 წლის შემდეგ კვლავ მომიხდა მოსკოვში დაბრუნება. შეცვლილი დამხვდა იქაურობა. სკოლა-გიმნაზიისთვის ახალი შენობა გადაუციათ, ირგვლივ ლამაზი პარკი აკრავს. გაზრდილა მოსწავლეთა რაოდენობა. აქ ჭეშმარიტი მამულიშვილები იზრდებიან, მეამაყება, რომ ეს სკოლა-გიმნაზია დავამთავრე!“ — თამუნა აბაზაძე.

— „...საბავშვო ბაღი პირველად რომ გაიხსნა, ქართულ ჯგუფში ჩემი შვილიშვილი ეკატერინე უსტინოვაც მივიყვანე. საქართველოდან დიდი ხნის წამოსული ვიყავი და მიჭირდა მასთან ქართულად საუბარი. მასწავლებელმა ციცო მიხანაშვილმა ის ბავშვები, ვისაც დედა რუსი ჰყავდა და მამა ქართველი, მალე აალაპარაკა ქართულად. ისწავლეს ქართული ცეკვები და სიმღერები. საბავშვო ბაღის პირველმა ცვლამ იქვე პირველ კლასში პედაგოგ ეთერ კანდელაკის ხელმძღვანელობით განაგრძო სწავლა. მადლობა სკოლა-გიმნაზიის პედკოლექტივს“. ნ. ბირიუკოვა.

— „... სასწავლო კომპლექსის დირექტორმა ანა კერესელიძემ ჩემი შვილიშვილი, ჯერ კიდევ მე-6 კლასის მოსწავლე, უფასოდ მოატარა ავსტრია და ჩეხოსლოვაკია. ლაშას ჯერ კიდევ მრავალი გამოცდა მოელის ცხოვრებაში, მაგრამ უკვე მის მომავალს მტკიცე საძირკველი აქვს. „ნეტარ არიან გულით სუფთანი, ვინაიდან ძენი ღმერთისა დაერქმევათ მათ“, — გვექადაგებს უფალი. ამ ცნების მიხედვით ცხოვრობს და მოქმედებს სკოლა-გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივი“. — ლაშა მენაბდის აღმზრდელი ბებია მანანა ლომაძე“.

„...მე დაარსების დღიდან ამ სასწავლებელში ვსწავლობ. დედა, დაწყებითი კლასის მასწავლებელი, საქართველოს განათლების სამინისტრომ გამოაგზავნა მოსკოვში და დღემდე აქ მუშაობს. სკოლაში კარგი გარემოა, მაგრამ ისე მენატრება თბილისი, როცა მოსკოვის ქუჩებში დავდივარ, ყველაფერს ჩემს ქალაქს ვუდარებ და ჩუმად, ჩემთვის ვჩურჩულებ: „მადლობა ღმერთს, რომ თბილისელი ვარ“... XI^{ბ} კლასის მოსწავლე ქეთინო ფანცულაია.

— „...მეექვსე წელიწადი ხდება, რაც აქ ვცხოვრობ. ჩემთვის მთავარია, რომ ქართულ გარემოში ვიმყოფები. სკოლა-გიმნაზიის შესასვლელში ქართული დროშა ფრიალებს, ირგვლივ ქართველი ბავშვების ჟრიამულია. ყოველდღე თვალში მხვდება ქართული წარწერა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“. და უნებურად სამშობლოს მონატრების ცრემლებიც ჩნდება... ძნელია საქართველოდან შორს ყოფნა. მალე დავამთავრებ სკოლა-გიმნაზიას, მაგრამ ვერ დავივიწყებ იმ თბილ გარემოს, რომელიც აქ არის შექმნილი, — XI ა კლასის მოსწავლე ნინო ლაჩაშვილი.

— „...აქ სასწავლო პროცესის კარგად წარმართვასთან ერთად საინტერესოდ არის დაგეგმილი კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. მოსწავლეები ეცნობიან მოსკოვში არსებულ საქართველოსთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებს. ახლო ურთიერთობა გვაქვს პეტერბურგის ქართულ სკოლასთან. ტრადიციულად იქცა მოსკოვში მოღვაწე ან დროებით ჩამოსული ცნობილი ქართველი მოღვაწეების მოწვევა. არ გვაკლია უცხოელი სტუმრებიც. მათ აინტერესებთ მოსკოვში ქართული სკოლის მუშაობა, მისი პრობლემები“. — დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში ციცო მიხანაშვილი.

...ბევრ ბარათში იგრძნობა მადლიერება სკოლა-გიმნაზიის ხელმძღვანელობისადმი, რომლის მცდელობით მოსკოვში მცხოვრები ქართველი ბავშვები ქართულ სულიერებას არ მოწყვეტილან, იზრდებიან რწმენით, რომ არ არიან საქართველოსთვის დაკარგული შვილები.

დღეს მოსკოვის ქუჩებში შეხვდებით აფიშას, სადაც ცენტრალური საოლქო სამმართველოს მოსკოვის განათლების დეპარტამენტის ქართულ-რუსული სასწავლო-აღმზრდელობითი კომპლექსი №1680 იუწყება, რომ იგი თავისთან სასწავლებლად უხმობს საბავშვო ბაღისა და სკოლის მოსწავლეებს პირველიდან XI კლასის ჩათვლით, რუსულ-ქართულ სექტორებზე. მოსწავლეებს უფასოდ შეუძლიათ დაეუფლონ უცხო ენებს, მიიღონ განათლება და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ნიმუშის ატესტატი, რომელიც კურსდამთავრებულს უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს უპირატესობას აძლევს... რომ სასწავლებელთან მოქმედებს ქორეოგრაფიული, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები, სხვადასხვა წრეები, და რომ წრეებსა და ანსამბლებში მოსკოვის ყველა სკოლის მოსწავლეს შეუძლია მოსვლა, რომ სკოლა-გიმნაზიას მალე ქართული უმაღლესი სასწავლებელიც დაემატება.

სასწავლო კომპლექსი გამოსცემს გაზეთ „არბატის იას“, რომლის დევიზია „სამშობლო, როგორც უფალი, ერთაა ქვეყანაზედა“, ამ გაზეთის ფურცლებზე მოსწავლეთა, პედაგოგთა წერილებთან ერთად წაიკითხავთ კინორეჟისორ რეზო ჩხეიძის, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის, რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩის — ვაჟა ლორთქიფანიძის და სხვა ქართველ მოღვაწეთა წერილებს.

მოსკოვში წლების განმავლობაში მოქმედი ქართული სასწავლებელი ქართველთა სათვისტომოს ნავსაყუდელი და სალოცავი გახლავთ. სწორედ ეს იგრძნობა იმ ბარათებში, რომლებშიც, მონატრებასთან ერთად, ნათელ სვეტად მშობლიური ქვეყნის სიყვარულია აღმართული.

ნათელა ფაილოძე.

მოსკოვის ქართული სკოლის დირექტორს, ქალბატონ ანა კერესელიძე-პერეკრესტს, სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს

ყველას გულითადად გილოცავთ მოსკოვში ქართული სკოლის დაარსების 10 წლისთავს. აქ ქართული სკოლის გახსნა იყო და არის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ამ იდეის ხორცშესხმაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქ-ნ ანა კერესელიძეს, რა თქმა უნდა, რუსეთის განათლების სამინისტროსა და ჩვენი საელჩოს თანამშრომლებს, ასევე მრავალ სხვა კეთილისმყოფელ პიროვნებას.

დღეს განსაკუთრებულად მინდა დავლოცო ისინი და ვუსურვო მათ შემდგომი წინსვლა და კეთილდღეობა.

დღეს განსაკუთრებით ვლოცავ, აგრეთვე, იმ მოსწავლეებს, რომლებიც ამ სკოლის კედლებში იზრდებიან. ზოგიერთები, ალბათ, უკვე მალე ცხოვრების დიდ ასპარეზზე გამოვლენ.

საქართველოს სიყვარული, რუსეთის სიყვარული, სიყვარული მოყვასისა და ერთგულება ღვთისა მარად იყოს თქვენი თანმდევი.

გამორჩეული პატივისცემით მივმართავ ამ სკოლის პედაგოგებს. მასწავლებლობა ყოველთვის დიდ პასუხისმგებლობასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ როდესაც სხვა ქვეყანაში მშობლიურ ენაზე გიწევთ სწავლება, თქვენი სამსახური კიდევ უფრო მეტ დატვირთვას იძენს. თქვენზეა დამოკიდებული, როგორი სულისკვეთებით აღიზრდებიან ახალგაზრდები, რა იქნება მათთვის ამქვეყნად ღირებული, რა გზას აირჩევენ და რა სამსახურს გაუწევენ მომავალში თავის ქვეყანას — საქართველოს.

ასე რომ, გასაკეთებელი ყველას ბევრი გაქვთ. ღვთის წყალობა და შეწევნა არ მოგკლებოდეთ.

ქრისტესმიერი სიყვარულით გილოცავთ და კიდევ ერთხელ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულსა და საიუბილეო ზეიმს.

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა.

ილია II,
სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

ქ. მოსკოვის № 1680 ქართულ-რუსული სკოლა-გიმნაზიის დირექტორს ქალბატონ ა. კერესელიძეს

საქართველოს განათლების სამინისტრო გულწრფელად მოგესალმებათ თქვენ, ქ. მოსკოვის № 1680 ქართულ-რუსული სკოლა-გიმნაზიის დირექციას, პედკოლექტივსა და მოსწავლე-ახალგაზრდობას და გილოცავთ ყველა ჩვენგანისათვის ღირსშესანიშნავი თარიღის — სკოლა-გიმნაზიის დაარსების სახელოვან ათი წლისთავს — გამორჩეულად მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღს და გისურვებთ შემდგომ წარმატებებს მოსწავლეთა სწავლებისა და ზნეობრივი აღზრდის ასპარეზზე, ქვეყნის ნამდვილ მოქალაქეებად და ჭეშმარიტ მამულიშვილებად მოზარდი თაობის ჩამოყალიბების მეტად საპასუხისმგებლო საქმეში.

პატივისცემით, განათლების მინისტრი
ალ. კარტოზია.

მოსკოვის ქართულ-რუსული გიმნაზიის დირექტორს ქალბატონ ანა კერესელიძეს

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელით ვულოცავ მოსკოვის ქართულ-რუსული გიმნაზიის პედაგოგიურ კოლექტივს დაარსების 10 წლისთავს და ვუსურვებ წარმატებებს ახალი თაობის აღზრდის საქმეში, თაობისა, რომელსაც ცხოვრება მოუწევს მეცნიერებისა და ინტელექტუალური მოღვაწეობის XXI საუკუნეში.

ქართულ-რუსული გიმნაზიის დაარსება მოსკოვში იმ დიდი მეგობრობის ტრადიციების გაგრძელებაა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში არსებობს რუს და ქართველ ხალხებს შორის.

ა. თავხელიძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

საქართველოს რესპუბლიკა
№98. პარასკევი, 16 აპრილი, 1999 წელი.

მშვიდობისმყოფლური მისიები და ამერიკა

ამერიკის სამხედრო პერსონალის სიცოცხლე საფრთხეში უნდა ჩავაგდოთ მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანესი ინტერესების დასაცავად.

DEPARTMENT OF THE ARMY
UNITED STATES OF AMERICA
1775

შეურიგებელ-კონსერვატიული ორგანიზაციები ოპოზიციაში ჩაუდგნენ ამერიკის შეიარაღებული ძალების გადაცემას გაეროს სარდლობით მშვიდობისმყოფლური მისიების შესასრულებლად. ბევრნი მხარს უჭერენ მაიკლ ნიუს, იმ ამერიკელი ჯარისკაცის სამართლებრივი დაცვის კამპანიას, რომელმაც უარი თქვა გაეროს განმასხვავებელ ნიშნებზე, როდესაც ამ ორგანიზაციის მშვიდობისმყოფლური ძალების წევრად მიავლინეს მაკედონიაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ არის არც გლობალური მშვიდობის გარანტი, და არც კაცობრიობის სინდისის ინსტიტუციური განსახიერება.

კონსერვატორები ასევე მტრულ დამოკიდებულებას იჩენენ ნატოს ოპერაციების განხორციელებისას უცხოელთა სარდლობით აშშ ძალების გადაცემის მიმართ. ეს საკითხი სულ ბოლოს მაშინ წამოიჭრა, როდესაც კლინტონის ადმინისტრაციამ წინადადება წამოაყენა, გაეგზავნათ 4000 ამერიკელი ჯარისკაცი ნატოს მშვიდობისმყოფლური მისიის ფარგლებში კოსოვოში, სადაც უცხოელთა სარდლობით უნდა ემსახურათ.

მაგრამ, სამხედრო სარდლობის საკითხი ხშირად მხოლოდ საბაბია კონსერვატორების, აგრეთვე იმ ამერიკელების უფრო ფუნდამენტური შიშის გამოთქმისა, რომლებიც განსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებებს ადგანან. განხილვის ერთ-ერთი ასეთი უფრო ფართო თემაა ის საკითხი, უნდა იღებდნენ თუ არა, საერთოდ, ამერიკის ჯარები მონაწილეობას რაიმე მშვიდობისმყოფლურ მისიაში, თუნდაც ამერიკელთა სარდლობით მოქმედებდნენ.

კიდევ უფრო გლობალურია საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება ამერიკის ინტერესებს კოლექტიური უშიშროების გლობალური სისტემის კონცეფცია, რომლის სიმბოლოც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ეს უაღრესად სერიოზული საკითხებია და უდავოდ ღირს მათი გაანალიზება.

აშშ პოლიტიკის გადაფასება

გაეროს ენთუზიასტთა მიერ აგორებული ხმაურიანი მტკიცებებისა და თავის მართლების ტალღა ვერ მიჩქმალავს იმ ფაქტს, რომ კონფლიქტების მოგვარების დარგში ამ ორგანიზაციის მიერ მიღწეული რეალური შედეგები არასდროს არ ყოფილა შთამბეჭდავი. სომალიში სახელმწიფო მშენებლობის პროექტი (რომელიც ხელმოცარული სახელმწიფოების რეაბილიტაციის მოდელი უნდა გამხდარიყო) სისხლიანი ფიასკოთი დამთავრდა. ბოსნიაში მშვიდობის ხელშემწყობი გაეროს მისიის შედეგები, რომელიც არსებითად მხოლოდ სამოქალაქო ომის შეჩერების ცდას წარმოადგენდა, ასევე ვერ იყო უკეთესი.

ის ფართოდ რეკლამირებული მიღწევებიც კი, გაერომ რომ მოიპოვა კამბოჯაში ხანგრძლივი სამოქალაქო ომის შეწყვეტასთან და დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებით, საბოლოო ანგარიშით, ეჭვქვეშ დადგა. სულ ბოლო მაგალითი — გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა ცნო მარცხის ფაქტი და შეწყვიტა მრავალი წლის მშვიდობისმყოფლური მისია ანგოლაში მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანაში განახლდა ფართო მასშტაბის შეიარაღებული შეტაკებანი და ჩამოგდებულ იქნა გაეროს ორი თვითმფრინავი.

სამართლიანობის გულისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვეული წარმატებანი გაეროს მაინც ჰქონდა. ეს ორგანიზაცია კონსტრუქციულ როლს ასრულებდა სალვადორისა და მოზამბიკის კონფლიქტების შეწყვეტაში, აგრეთვე იმ არჩევნების კონტროლის ორგანიზაციაში, რომლებმაც დამოუკიდებლობა და დემოკრატია მოუტანეს ნამიბიას. მიუხედავად ამისა, მისი მარცხი უფრო თვალში საცემია, ვიდრე წარმატება, რაც ხაზგასმით წარმოაჩენს გაეროს შესაძლებლობათა იმანენტურ შეზღუდულობას.

გაერო — ეს არის მხოლოდ მსოფლიოს მთავრობების ასოციაცია, — და არა მსოფლიოს ხალხებისა.

უფრო მეტიც, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მხოლოდ მაშინ აღწევდა ხოლმე წარმატებას, როდესაც ადგილზე გზავნიდა სიმბოლურ მშვიდობისმყოფელ ძალებს, და ამასთან შეერთებულ შტატებს საერთოდ არ სთხოვდა არავითარი სამხედრო მონაწილეობის მიღებას. სწორედ ასეთი მოკრძალებული წამოწყებები უნდა იყოს იმ როლის მოდელი, რომლის ადეკვატური შესრულებაც შეუძლია გაეროს კონფლიქტების მოგვარებაში.

თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მხოლოდ ასეთ მისიებს იკმარებს, მაშინ საკითხი, უნდა მონაწილეობდნენ თუ არა შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები ამბიციურ მშვიდობისმყოფლურ წამოწყებებში, — მით უმეტეს, გაეროს სარდლობით, — იშვიათად წარმოიშობა. უფრო მეტიც, ვაშინგტონმა უნდა შემოიღოს მკაცრი წესი — შეერთებული შტატები არასდროს არ გაგზავნის თავის პერსონალს მშვიდობისმყოფლურ ოპერაციებში მონაწილეობისათვის, თვით უმნიშვნელო მასშტაბის მისიის შესასრულებლად.

იმისათვის, რომ ასეთი მისია წარმატებული იყოს, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სრული ნეიტრალობა. შეერთებული შტატები კი უბრალოდ მეტისმეტად ძლიერი ქვეყანაა და მეტისმეტად ბევრი მორს გამიზნული სტრატეგიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესი აქვს საიმისოდ, რომ მეტი წილი კონფლიქტების მონაწილეებმა იგი პატიოსან და პირუთვნელ შუამავლად ჩათვალონ. მშვიდობისმყოფელი ძალები მიწვეულ უნდა იქნენ შედარებით მცირე სახელმწიფოებიდან, რომლებსაც თეორიულადაც კი ვერ დასწამებენ ამა თუ იმ მხარის მიმართ მიკერძოებას.

უსიამო თვალისასხვევი ფაქტორები

მთავარი ის არის, რომ შეერთებულმა შტატებმა უნდა გადასინჯოს თავისი ენთუზიაზმი თვით კოლექტიური უშიშროების კონცეფციასთან დაკავშირებით. აღარ უნდა ირწმუნოს ბრმად, რომ სამოქალაქო ომებისა და წვრილმანი საზღვრისპირა კონფლიქტების „ინტერნაციონალიზების“ ცდები — იქნება ეს გაეროს მეშვეობით თუ ნატოს მეშვეობით — გონივრული და საერთოდ შესაძლებელია. სომალის ავანტიურის დროს გამოწვეული ამერიკის დანაკარგების მძიმე სურათი თვალსაჩინო ილუსტრაციაა კოლექტიური უშიშროების იდეის ერთგულების პოტენციურად შესაძლო შედეგებისა.

ეს ეპიზოდი ცხადყოფს რაღაც უფრო მეტსაც. როგორც მსოფლიოს ყველაზე მძლავრმა სახელმწიფომ, შეერთებულმა შტატებმა თავისი ენერგია, ყურადღება და რესურსები უნდა მოახმაროს საერთაშორისო ურთიერთობის სისტემის განვითარების დიდმნიშვნელოვან საკითხებს. როგორც წესი, მშვიდობისმყოფლური ძალისხმევა ხორციელდება მცირე სახელმწიფოებში, გეოპოლიტიკურ უკანაეზოებში. შემოთავაზებული კოსოვოს მისია ამის კიდევ ერთი, უახლესი მაგალითია.

ასეთ პრობლემებს, საუკეთესო შემთხვევაში, შეერთებული შტატებისათვის მხოლოდ უსიამოვნებანი მოაქვს. უარეს შემთხვევაში, ისინი გვევლინება საშიშ კვანძებად, რომლებმაც შეიძლება ჩამოაშოროს აშშ ყურადღება უფრო სერიოზულ პრობლემებს, იმ დიდ ქვეყნებს რომ ეხება, რომლებსაც ნამდვილად შეუძლიათ შეუქმნან საფრთხე თვით ამერიკის უშიშროებას.

უწინარეს ყოვლისა, ამერიკას სკეპტიციზმისა და სიფრთხილის გამოჩენა მართებს გაეროსთან ურთიერთობაში. აზრი, რომ ეს ორგანიზაცია კაცობრიობის მშვიდობის შენარჩუნების უკანასკნელი იმედია, მცდარი იყო 1945 წელს გაეროს შექმნის მომენტში და მცდარია დღესაც.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ არის არც გლობალური მშვიდობის გარანტი, და არც კაცობრიობის სინდისის ინსტიტუციური განსახიერება. თუ ჩვენ გვინდა, რომ გაერო კონსტრუქციულ როლს ასრულებდეს საერთაშორისო საქმეებში, მაშინ უარი უნდა ვთქვათ, ესოდენ გაზვიადებულ წარმოდგენებზე.

გაეროს აქვს გარკვეული შეზღუდული შესაძლებლობები, როგორც საერთაშორისო ფორუმს, სხვადასხვა თვალსაზრისის გამოსათქმელად და როგორც საშუამავლო სამსახურს, დავის გადასაწყვეტად. მას შეუძლია, აგრეთვე, ასრულებდეს (და ასრულებდა კიდეც) სასარგებლო როლს ჰუმანიტარული დახმარების გაწევის ოპერაციების კოორდინაციაში. მაგრამ ის აზრი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უშიშროების უზრუნველყოფის მძლავრი გლობალური ორგანიზაციაა, ხორცშეუსხმელი და მავნეა.

გაეროს ადგილი მსოფლიოში

გაერო — ეს არის მხოლოდ მსოფლიო მთავრობების ასოციაცია, — და არა მსოფლიო ხალხებისა, რაც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს. ასეთი სახით იგი მხოლოდ მეორეხარისხოვანი მოთამაშეა გლობალურ ასპარეზზე. თუ ამ შეზღუდვას ვაღიარებთ, მაშინ გაეროს შეეძლება შეასრულოს ზოგიერთი მოკრძალებული, მაგრამ საკმაოდ სასარგებლო ფუნქცია.

აქტიური გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელსაც ეყოლება სამოქმედოდ გამზადებული შეიარაღებული ძალები და ექნება მანდატი წესრიგის დასამყარებლად მთელი პლანეტის „ხელმოცარულ“ სახელმწიფოებში, შეერთებული შტატებისათვის საშიში გართულება გახდებოდა. მთავარი მარტო ის კი არ არის, რომ ეჭვს იწვევს გლობალური შეშფოთებისა და ინტერვენციის საბაბად წვრილმანი პროვინციული კონფლიქტების გადაქცევის გონივრულობა. საქმე ის გახლავთ, რომ ამერიკის სამხედრო პერსონალის სიცოცხლე საფრთხეში უნდა ჩავაგდოთ მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანესი ინტერესების დასაცავად. და მათი სიცოცხლე არამც და არამც არ უნდა შევწიროთ მსხვერპლად კოლექტიური უშიშროების გლობალური სისტემის შექმნის აბსტრაქტულ და ილუზორულ მიზნებს.

ტედ გალენ კარპენტერი,
აშშ თავდაცვითი და საერთაშორისო პოლიტიკის ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი.

ნატო აფართოებს დასაბომბი ობიექტების სიას

ბელგრადის საჰაერო თავდაცვის საშუალებანი ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ აგრესორებს, იუწყება იტარ-ტასის კორესპონდენტი თამარ ზამიატინა. გუშინ, დილის ხუთის ნახევარზე ქალაქი შეაზანზარა აფეთქებებისა და საზენიტო ქვემეხების სროლის დეტონაციის ხმამ. შეწყდა რაკოვიცის ელექტროენერგიით მომარაგება, აფეთქებანი გრძელდებოდა დილის 8 საათამდე. სამი კაცი დაშავდა კურშუმლიას თემზე თავდასხმისას, რომელმაც უკვე ათამდე მცხოვრები დაკარგა. წუხელ ნატოს თვითმფრინავების მთავარი სამიზნე იყო მდინარე ტოპლიცის ხიდი. დანგრეულია სახლები, აგრეთვე, დასავლეთ მორავის ხიდი, ქალაქის თბოელექტროცენტრალი. მეოთხედ დაიბომბა კრალუევაცი. არც დღისით, არც ღამით არ წყდება ავიათავდასხმები პრიშტინაზე, აგრეთვე, კოსოვოს სხვა ქალაქებსა და სოფლებზე. გენერალური შტაბის საინფორმაციო სამსახურის ცნობის თანახმად, ოთხშაბათს განხორციელდა თავდასხმა ლტოლვილთა ორ კოლონაზე, რომლებიც ტრაქტორებითა და ავტომობილებით ბრუნდებოდნენ ალბანეთიდან. დაიღუპა 64 და დაშავდა 20 კაცი. ძლიერდება კამპანია ნატოს რაკეტებისგან ხიდების დასაცავად. 15 აპრილს ღამით ამ ხიდზე „ცოცხალ ფარად“ იდგნენ არა მარტო ბელგრადელები, არამედ, აგრეთვე, ნიშის, ზრენიანინის, ნოვი სადის, სრემსკა-მიტროვიცას მცხოვრებნი.

ავსტრიას მნიშვნელოვანი ზარალი ადგება

ავსტრიელ გემთმფლობელთა ყოველდღიური ზარალი — იმის გამო, რომ დუნაიზე საერთაშორისო სამდინარო ნაოსნობა პრაქტიკულად შეწყვეტილია — ნატოსმიერი დაბომბვისა და რამდენიმე ხიდის დანგრევის შედეგად 5 მილიონ შილინგს (დაახლოებით 4 ათას დოლარს) შეადგენს, ნათქვამია ეკონომიკის ფედერალური პალატის ცნობაში. არსებითი ზარალი ადგება ავსტრიის სამდინარო ნავსადგურებსაც, რომელთა თვითბრუნვა თითქმის ორჯერ შემცირდა. ეს დანაკარგები განსაკუთრებით მტკივნეულია დღეს, ვინაიდან ბოლო წლებში სამდინარო ნაოსნობა დუნაიზე ერთობ დინამიკურად ვითარდებოდა. დუნაი მნიშვნელოვანი საერთაშორისო სატრანსპორტო არტერიაა, განაცხადა ავსტრიის ეკონომიკის პალატის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ალექსანდრე პეკნიჩეკმა, და დიდ როლს ასრულებს ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებაში, ამიტომ ნატოს იგი უნდა გამოერიცხა საომარი მოქმედების თეატრონიდან.

იუგოსლავიის ომი ნატოს ყოველდღიურად 1,1 მილიარდი დოლარი უჯდება

როგორც გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსი“ იუწყება, ანტიიუგოსლავური სამხედრო კამპანია ნატოს ყოველდღიურად 1,1 მილიარდი დოლარი უჯდება. გაზეთს მოჰყავს ფინანსური ანალიტიკოსების აზრი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მარტო სამთვიანი რეგულარული ავიათავდასხმები დაჯდება 20 მილიარდი დოლარი, ხოლო ბომბებისა და ფრთოსანი რაკეტების ღირებულება — კიდევ 1,4 მილიარდი. ლონდონის „ლემან ბრაზერსის“ ბანკი თვლის, რომ ნატოს დანაკარგები მხოლოდ ტექნიკის სახით შეადგენს 700 მილიონ დოლარს. სერბეთის საზღვარზე 30-ათასიანი სახმელეთო კონტინგენტის განლაგება კიდევ 0,8 მილიარდი დაჯდება, ხოლო ლტოლვილთა დაბინავების და უზრუნველყოფის ხარჯები დამატებით შეადგენს 10 მილიარდ დოლარს. თუ დასავლეთი არ შეიყვანს სახმელეთო ჯარებს და კონფლიქტის ზონაში მხოლოდ საჰაერო თავდასხმებს დასჯერდება, მაშინ თვეში შეიძლება დაჰკარგოს 700 მილიონი დოლარის ავიატექნიკა. ამავე პერიოდში, მხოლოდ და მხოლოდ ფრთოსან რაკეტებზე გაწეული ხარჯები შეადგენს 900 მილიონს, ხოლო ჩამოგდებული ბომბების ღირებულება 500 მილიონ დოლარს.

დასავლეთის მხარე ჯერჯერობით ანგარიშში არ აგდებს იუგოსლავიის უდიდეს ფინანსურ ზარალს საგარეო აგრესიის შედეგად, რასაც ბელგრადი მილიარდობით დოლარად აფასებს.

ნატო ტექნიკურ სიახლეებს იყენებს

იუგოსლავიაზე საჰაერო თავდასხმების მონაწილე ამერიკული B-1B სტრატეგიული ბომბდამშენები იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს, თავიდან აიცილონ იუგოსლავიის ჰაერსაწინაღო საშუალებათა დარტყმები. ეს სიახლეები სასწრაფოდ შემუშავდა იუგოსლავიის საჰაერო თავდაცვის სისტემათა ტექნიკური პარამეტრების სადაზვერვო მონაცემების გათვალისწინებით. B-1B ბომბდამშენისათვის განკუთვნილი ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებას, გამოცდას და დანერგვას 100 საათზე ნაკლები დასჭირდა. როგორც სპეციალიზებული ჟურნალი „ავიეიშნ უიკ ენდ სპეის ტექნოლოჯი“ წერს, ჩვეულებრივ პირობებში ასეთი პროგრამული უზრუნველყოფის დახვეწას და შემდგომ ოპერაციებს რამდენიმე თვე სჭირდება.



ეძებენ იუგოსლავ ჯაშუშს ნატოში

იუგოსლავიის წინააღმდეგ საჰაერო კამპანიის წარუმატებლობას ნატოში ჯაშუშური ხრიკებით ხსნიან. როგორც ეი-ბი-სი ტელეკომპანიისათვის გახდა ცნობილი, ალიანსის წარმომადგენლები ეჭვობენ, რომ ნატოს ოპერაციის მომწყობ აპარატში მოკალათებულია ჯაშუში, რომელიც სერბებს ატყობინებს, თუ სად ჩამოვარდება ბომბები“.

როგორც ოფიციალურმა პირებმა თქვეს, იტყობინება ტელეკომპანია, ნატოს წარმომადგენელთა განსაკუთრებულ წუხილს იწვევს სამი ბოლო მაგალითი. პირველი, დაბომბვის წინა საღამოს სერბეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში ბელგრადის ცენტრში „პირდაპირ სიცოცხლე ჩქეფდა“, მეორე საღამოს კი როცა ბომბები ცვიოდა, იგი ცარიელი იყო. კიდევ ერთი მაგალითი: ერთ-ერთ ხიდზე მოძრაობა გადაკეტეს რამდენიმე წუთში მანამდე, სანამ მას ჰაერიდან დაბომბავდნენ, თითქოს პოლიციამ ზუსტად იცოდა, როდის იწყებოდა რეიდი. ყველაზე შემაშფოთებლად ნატოში მიაჩნიათ ერთ-ერთ ყაზარმასთან დაკავშირებული შემთხვევა, რომელიც ერთი კვირის წინათ მოხდა. იმ მომენტისათვის, როცა შენობას ბომბები დაუშინეს, იგი უკვე ცარიელი იყო. როგორც შემდგომმა გამოძიებამ ცხადყო, დაბომბვის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ყაზარმაში რადიოთი მიიღეს სასწრაფო ბრძანება, ყველას დაეტოვებინა შენობა..

როგორც ნატოში ვარაუდობენ, საქმე ასეთ შემთხვევებში, ალბათ, უბრალო დამთხვევას არ ეხება. ამჟამად, აცხადებს ეი-ბი-სი, ალიანსის წარმომადგენლები ამკაცრებენ საიდუმლო ინფორმაციის გაცნობის პირობებს, ამავე დროს ცდილობენ ეჭვმიტანილის დადგენას“.

პაკისტანში კვლავ გამოსცადეს ბალისტიკური რაკეტა

წარმატებით მიმდინარეობს საშუალო სიშორის „გპორი-2“ ბალისტიკური რაკეტის გამოცდა პაკისტანში. იგი განკუთვნილია 600 კგ-მდე ჩვეულებრივი და ბირთვული მასის ქობინების გადასატანად. ასეთი სიშორე მობილურ გასაშვებ დანადგარს საშუალებას აძლევს დარტყმები მიაყენოს ინდოეთის ტერიტორიას, კერძოდ, მის დედაქალაქ დელის. არსებული მონაცემების მიხედვით, პაკისტანს აქვს კიდევ სულ ცოტა სამი უახლესი რაკეტა, რომელთა გამოცდასაც უახლოეს დღეებში აპირებს. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს გამალებული ბირთვულ-სარაკეტო შეიარაღების შემდგომი ზრდა აზიაში.



ვინ რამდენად იძლევა ხმას

უკვე შედგენილია ცნობილი შემსრულებლების მომსახურების პრეისკურანტი მომავალ საარჩევნო კამპანიაში

ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში გამოკრული იყო ფრიად საინტერესო განცხადება. რომელიღაც ფირმა ახალი ვადით კენჭისყრის მოსურნე უფალ დეპუტატებს სთავაზობდა თავის მომსახურებას საარჩევნო კამპანიის ორგანიზაციაში, კერძოდ, კულტურულ პროგრამასაც. ზედაც, აუწყებდა, რომ ფირმა მზად არის, დაძახებისთანავე მიჰგვაროს დეპუტატობის კანდიდატს ნებისმიერი ესტრადის ვარსკვლავი.

„კომსომოლსკაია პრავდას“ რედაქცია დაუკავშირდა ფირმას „ძველი მოედანი“, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია წარმატებით მუშაობს „პაბლიკ რილეიშნზის“ ბაზარზე (პიარ — საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ნიშნავს). ნიიოლე ტოჩიცკაიამ დაადასტურა, რომ მუსიკალური მხარდაჭერის მოუშველიებლად ვერც ერთი სერიოზული საარჩევნო კამპანია ვერ გადის ფონს. ჩვენს მიამიტურ კითხვაზე: „განა ესტრადის ვარსკვლავები თავიანთი გულისთქმით არ მღერიან?“ — ნიიოლემ გულიანად გადაისკისკისა: „მე მინის ქვეშ მიდევს პრაის-ფურცელი, სადაც აღნიშნულია თითოეული შემსრულებლის ღირებულება“.

მაშ ასე, რომელი მომღერლის ნიჭის იმედად შეუძლია იყოს პოტენციურ კანდიდატს? თუ თანხა — შვიდი ათასი დოლარი (თითოეული ვარსკვლავისათვის) არ გებევრებათ, თამამად შეგიძლიათ სააგიტაციოდ მოიწვიოთ იური ანტონოვი, ანჟელიკა ვარუმი, ოლეგ გაზმანოვი ან იგორ ნიკოლაევი. ისინი შთაგონებით შეგისრულებენ სამოთხ სიმღერას. თუ კიდევ ათას ბაქსს ჩამოხველთ, მაშინ თქვენს სადიდებელ საგალობლებს იმღერებენ „ფეხშიშველი“ ლეონიდ აგუტინი, კაბარე-დუეტი „აკადემია“. ანდა, გიქმაქი მამა რასპუტინა. ხოლო ესთეტიკოს კანდიდატს ამავე თანხად შეუძლია მოუხმოს ანდრეი მაკარევიჩს თავისი „დროის მანქანიანად“.

ექვსი ათასი „მწვანეს“ გულისათვის ახალგაზრდობას გაიხსენებენ სოფია როტარუ, ლარისა დოლინა, ლევ ლეშჩენკო და თვით ლუდმილა გურჩენკო. ამავე თანხას მოითხოვენ ბანის მოცემაში ალექსანდრე ბუინოვი, აგრეთვე, ალიბასოვის ბიჭები „ნანა“ ჯგუფიდან.

ხუთი ათასად ყაბულს არიან, გამოვიდნენ პრეზიდენტ ელცინის წინა საპრეზიდენტო კამპანიის აქტიური მონაწილენი — ვიკა ციგანოვა, ალიონა აპინა და ნატაშა კოროლიოვა. ამდენივეს ითხოვენ თავიანთ ვოკალში მომღერლები ვალერია, ნატალია ვეტლიცკაია, ირინა პონაროვსკაია, ალიონა სვირიდოვა და კრისტინა ორბაკაიტე, ალექსანდრე როზენბაუმი და პრესნიაკოვ-უმცროსი.

თუ საარჩევნო ფონდში ფული ბლომად გაქვთ, შეგიძლიათ, შეუკვეთოთ უფრო „ძვირიანი“ მომღერლები. 10 ათასად სიამოვნებით გიმღერებენ ვალერი ლეონტიევი, ირინა ალეგროვა, ფილიპ კირკოროვი და თვით უბერებელი ლუდმილა ზიკინა. კულტურულ პროგრამაში იოსებ კობზონის მონაწილეობა უფრო ძვირი — 15 ათასი დაგიჯდებათ. ხოლო, ესტრადის პრიმადონა ალა პუგაჩოვა პრეისკურანტის მიხედვით 20 ათასი ბაქსი ღირს. მაგრამ ყველას არ უმღერებს.

არსებული ნიხრის მიხედვით, ექსცენტრიკული პროფესორ ლებედინსკის ხრინწიანი ხმა 2,5 ათასად ფასობს, ამდენივეს ითხოვს ვიაჩესლავ მალეჟიკი.

თუმცა, სპეციალისტთა აზრით, მომღერალთა გამოსვლა ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს კანდიდატის წარმატებას. ამის სულ ბოლო მაგალითია ბურიატეთის პრეზიდენტის არჩევნები. იქ ერთმა კონკურენტმა მოსკოვიდან გამოიწერა ერთბაშად ორი ირინე — სალტიკოვა და პონაროვსკაია. მათი კონცერტი გაიმართა ნახევრად ცარიელ სტადიონზე და არავითარი ემოციები, გარდა გაღიზიანებისა, ამომრჩეველთა მორის არ გამოუწვევია. ასე რომ, ვაიკანდიდატი ჩაფლავდა და არჩევნებამდე ორი დღით ადრე მოხსნა თავისი კანდიდატურა.

ვის ეკუთვნის ხელოვნება?

ზიუგანოველ პატრიოტებს თავიანთი არტისტული ბომონდი ჰყავთ:

აქ სჭარბობს დრამატული ელემენტი — სახალხო არტისტები ჟანა ბოლოტოვა და მისი მეუღლე ნიკოლოზ გუბენკო, ლუდმილა ზაიცევა, იური ნაზაროვი. მუსიკალური მხარდაჭერის ჯგუფის წარმომადგენლები არიან მიხეილ ნოჟკინი, ვალენტინა ტოლკუნოვა, ტატიანა პეტროვა და ანასტასია. ყოველ შემთხვევაში, ამ ცოტა ხნის წინათ სწორედ ისინი უმღეროდნენ პარტყრილობის დელეგატებს.

ვარსკვლავები არც ვლადიმერ ვოლფის ძეს ეუბნებიან უარს

როგორც ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის კულტურული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილემ კონსტანტინე რუბაძიძემ (ასე წერია „კპ“-ში. -რედ.) გვაცნობა, მსახიობები პარტყრილობებზე უფასოდ მღერიან. ყრილობის დელეგატთა სმენას ატკბობენ ხოლმე ვილი ტოკარევი, იგორ გალანინი, იგორ სარუხანოვი, ვიკა ციგანოვა, ევგენი ოსინი და სხვები.

გენადი ზიუგანოვი ზოგჯერ უკვეთავს მუსიკას, მაგრამ თვითონ უფასოდ ცეკვავს.

„იაბლოკო“ კი მოინტელიგენტო მსახიობებს ამჯობინებს

ბლოკის წარმომადგენლის ანდრია ლიპსკის თქმით, იაელინსკი პატივისცემით იხსენებს პუგაჩოვას, მაგრამ მხოლოდ სიტყვებს სჯერდება და საქმეზე არ გადადის. თვეში ერთხელ „იაბლოკოს“ ნაღები იკრიბება მოდურ კაფეში „ყვითელი სუბმარინა“, სადაც სტუმრად მოდიან ცნობილი ბარდები იული კიმი და ალექსანდრე გოროდეცკი, მსახიობი სერგეი იურსკი და მწერალი ფაზილ ისკანდერი, მეთოჯინე ვიქტორ შენდეროვიჩი და პოეტი იგორ ირტენიევი.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან

არჩილ მანჯგალაძე,
ლევან ბოჭორიშვილი.

რეპორტაჟი ევროპიდან

პეტერ ფერანეცი — ქართველთა მეგობარი

პეტერ ფერანეცი ეროვნებით სლოვაკი, მოსკოვის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის ისტორიაში პირველი, ყველაზე ახალგაზრდა უცხოელი (29 წლის), მთავარი დირიჟორი. საქართველოზე და ქართველებზე შეყვარებული კაცი, პაატა ბურჭულაძის და ნოდარ გიორგაძის მეშვეობით გავიცანი ბრატისლავაში. შევთანხმდით, უახლოეს ხანებში შევხვდებოდით სასაუბროდ, მაგრამ ეს მოლოდინი რამდენიმე თვეს გაგრძელდა... და ბოლოს, ჩვენი საუბარი მაინც შედგა.

— ბატონო პეტერ, ქართველი მკითხველისთვის რომ უფრო გასაგები იყოს, ცოტა შორიდან დავიწყოთ, როგორი იყო გზა დიდი თეატრის მთავარ დირიჟორობამდე, რამ განაპირობა თქვენი არჩევანი?

— პროფესიონალი მუსიკოსები არც ჩემი მშობლები ყოფილან და არც წინაპრები, ისე, მოყვარულები კი იყვნენ. ძალიან ხშირად, განსაკუთრებით, შაბათ-კვირას შეიკრიბებოდნენ, ოჯახურ კვარტეტში უკრავდნენ და მღეროდნენ, ალბათ, ამ გარემომაც იმოქმედა ჩემს არჩევანზე. ასეა თუ ისე, თავდაპირველი მუსიკალური განათლება ბრატისლავაში მივიღე, შემდეგ სლოვაკეთის კულტურის სამინისტროს კონკურსში გავიმარჯვე და ლენინგრადის კონსერვატორიის სტიპენდია დავიმსახურე.

ლენინგრადში სპეციალობას ცნობილ დირიჟორ მარის იანსონთან ვეუფლებოდი. ჩემთან ერთად სწავლობდა ზაზა აზმაიფარაშვილი, ნიჭიერი და შესანიშნავი პიროვნება, რომელმაც შემაყვარა საქართველო და ქართველები. კონსერვატორია 1989 წელს დავამთავრე და სწავლა ვენაში, შესანიშნავი მაესტრო კარლ ოსტრეხერთან განვაგრძე. ასე რომ, მრავალწლიანი სწავლების შემდეგ ბრატისლავის ოპერის თეატრში შევუდექი ჩემი ცოდნისა და შესაძლებლობის განხორციელებას.

1992 წელს ვენაში ახალგაზრდა დირიჟორთა კონკურსში გავიმარჯვე, რამაც საშუალება მომცა ვენის ოპერასა და კამერული ორკესტრისათვის მედირიჟორა. ნელ-ნელა ჩემი მუსიკალური კარიერა დაიძრა. ალბათ, გარდამტეხი მაინც ის იყო, რომ მოსკოვის დიდი თეატრის პირველ მიწვეულ უცხოელ დირიჟორად ამირჩიეს, გერმანელ რეჟისორ იოახიმ ჰერცთან ერთად 1995 წლის თებერვალში მოცარტის ოპერა „ფიგაროს ქორწინება“ დავდგი.

პრემიერას დიდი წარმატება ხვდა წილად, რამაც განაპირობა, რომ დიდი თეატრის მთავარი დირიჟორი გავხდი და ამავე თეატრთან არის დაკავშირებული ჩემი გასტროლები მთელს მსოფლიოში.

— ალბათ, ქართველ მუსიკოსებთანაც მოგიწიათ მუშაობა...

— ცხადია, და პირველ რიგში, ეს გახლავთ ერთ-ერთი უდიდესი ტენორი ზურაბ სოტკილავა, ფანტასტიკური მეცო-სოპრანო მაყვალა ქასრაშვილი, რომელთანაც ერთად დავდგით ოპერა „ტოსკა“ და გალა კონცერტი; აგრეთვე, ჩემი მეგობარი ზაზა აზმაიფარაშვილი, რომელიც დიდ თეატრში მივიწვიე დირიჟორად და შესანიშნავი მომღერალი, დიდი თეატრის სოლისტი ბადრი მაისურაძე, რომელსაც ხშირად მილანში ვხვდებოდი...

ერთ კანონზომიერებას მივაქციე ყურადღება: ქართველ მომღერლებთან იტალიური კლასიკა გაცილებით უფრო ახლოსაა, ვიდრე რუსული, ეტყობა, მაინც სამხრეთული ბუნება და ტემპერამენტი გაახლოებთ ერთმანეთთან...

— პეტერ, საქართველოში თუ ყოფილხართ?

— თბილისში ვიყავი 1989 წლის ბოლოს. საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიურ ორკესტრთან ვიდირიჟორე — ჩავწერეთ საახალწლო კონცერტი. მე ტელევიზიით ქართველებს ახალი წელიც კი მივულოცე.

— და მოულოდნელად პეტერი აქეთ შემეკითხა: ბევრი რამ შეიცვალა მას შემდეგ თბილისში?

— კი,ჩემო პეტერ, ბევრი რამ შეიცვალა, თბილისი ისევ ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ქალაქად რჩება მსოფლიოში-მეთქი...

— კიდევ რა გახსოვს საქართველოდან?

— მცხეთა და ჯვრის მონასტერი. ზემოდან რომ გადმოვხედე მცხეთას და მტკვრისა და არაგვის შერწყმას, ამ მშვენიერებისგან ლამის სული შემიგუბდა...

მახსოვს უდიდესი მომღერალი, ულამაზესი ტემბრის პატრონი ზურაბ ანჯაფარიძე, რომლის ჩანაწერებსაც თვალისჩინივით ვუფრთხილდები... მიყვარს ქართული სამზარეულო, მოსკოვში ჩემს სტუმრებს, მხოლოდ რესტორან „თბილისში“ ვეპატიჟებოდი ხოლმე.

— ღვინო თუ გიყვართ?

— რა თქმა უნდა. წინა შაბათს უნგრეთში გახლდით და იქიდან 20 ლიტრი კარგი ღვინო წამოვიღე. ჩემმა იქაურმა მეგობრებმა იციან, რომ ღვინოს ვაღმერთებ და საგანგებოდ მირჩევენ ხოლმე... კვირას ჩემს ძმაკაცებთან ერთად ვსვით და ორშაბათს დილით, ერთი ჭიქაც ვერ აღმოვაჩინეთ...

— პეტერ, გაგვაცანით თქვენი ოჯახი.

— ჩემი მეუღლე მომღერალია, არცთუ ურიგო მეცო-სოპრანო ბოჟენა ფერანეცი და ორი ქალიშვილი, ექვსი წლის ვერონიკა და ერთი წლის ნატალი. ბოჟენა ამ რამდენიმე წლის წინათ გავიცანი ბრატისლავის თეატრში, სადაც ერთად ვმუშაობდით.

— ამჟამად რომელი თეატრის დასში ირიცხებით?

— არც ერთის. პაატა ბურჭულაძესავით თავისუფალი არტისტი ვარ. ახლა ორკესტრსაც მე ვირჩევ და რეპერტუარსაც. მოკლედ, თავისუფლებით ვტკბები...

— რამდენი ხანი დაჰყავით მთავარ დირიჟორად და რას აკეთებდით დღემდე?

— მთავარ დირიჟორად სამწელიწადნახევარი ვიმუშავე 1995-98 წ.წ. შემდეგ ვიყავი ლენინგრადის სიმფონიური ორკესტრის მიწვეული მთავარი დირიჟორი. როგორც ხედავთ, ამჟამად ვმუშაობ კიოლნში. გარდა ამისა, ბრემენში, ბერლინში — გერმანულ ოპერებზე. ამ პერიოდში გახლდით პორტუგალიაში, ესპანეთში, იაპონიაში, ვიმუშავე ტოკიოს ორკესტრთან ერთად.

— ხომ არ გახსოვთ რამდენი ოპერა გიდირიჟორიათ?

— რეპერტუარში 50 ოპერაზე მეტი მაქვს. სპექტაკლებს ვინ მოთვლის. ერთხელ გადავწყვიტე დამეთვალა ვენის კამერულ ორკესტრთან ერთად გამართული კონცერტების რაოდენობა. მხოლოდ ერთ სეზონში 128 სპექტაკლი გამოვიდა.

— საყვარელი სპექტაკლი თუ გაქვთ?

— რა თქმა უნდა, ძალიან მიყვარს მოცარტი, მაგრამ მე რუსეთში ვსწავლობდი და რუსულ კლასიკაზე აღვიზარდე!

— და მაინც?

— „ბორის გოდუნოვი“ და მოცარტის „დონ ჟუანი“, საერთოდ კარგ დასთან შექმნილი ყველა სპექტაკლი მიყვარს.

— რადგანაც „ბორის გოდუნოვი“ ახსენეთ, ვის თვლით ამ პარტიის საუკეთესო შემსრულებლად.

— რა თქმა უნდა, თეოდორე შალიაპინს.

— ეს გასაგებია, მე ვგულისხმობ, დღევანდელობას.

— ბორისზე მუშაობამ ნესტერენკოსთან მომიწია. პაატასთვის კი მომისმენია. უდავოდ, იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მომღერალია.

— დღეისთვის ვინ მიგაჩნიათ ყველაზე გამორჩენილ დირიჟორად?

— უდიდესები იყვნენ ფონ კარაიანი, ბერნსტაინი, შოლტი... ახლა თითქმის ერთი დონის დირიჟორები არიან. ფონ კარაიანი, გარდა იმისა, რომ ძალიან დიდი იყო, განსაკუთრებული დამსახურება აქვს უნიჭიერესი მომღერლის პაატა ბურჭულაძის გზის გაკვალვაშიც.

— უახლოესი გეგმები როგორი აქვს პეტერ ფერანეცს?

— კელნში პუჩინის ტრიპტიხს — სამ ოპერას ვდგამთ. აქვე, გერმანიაში, კამერულ ორკესტრთან ერთად, ვმართავ კონცერტებს. ივლისში დავისვენებ, შემდეგ კი ზალცბურგის ფესტივალი მელის. ოსლოში ბიზეს ოპერა „კარმენი“ უნდა დავდგათ, და ა. შ. მოკლედ, 2003 წლამდე საგასტროლო კალენდარი თითქმის შევსებული მაქვს.

— თუ საიდუმლო არ არის, რამდენია თქვენი ერთი საკონცერტო ჰონორარი?

— ეს არავითარ საიდუმლოს არ წარმოადგენს. ყველა ქვეყანაში სხვადასხვანაირად მიხდიან. ევროპაში ერთ კონცერტში სულ მცირე 8.000-10.000 გერმანული მარკა მიწევს, სამაგიეროდ, როდესაც ჩემს საყვარელ ლენინგრადის ფილარმონიის ბრწყინვალე ორკესტრს ვდირიჟორობ, მე, თვითონ ვეძებ მათთვის სპონსორებს, რადგანაც იქ ბილეთის ფულიც კი არა აქვთ ხოლმე, მაგრამ მათთან მუშაობით უზარმაზარ სულიერ სიამოვნებას ვიღებ.

— წეღან თქვი, თითქმის თანაბარი სიძლიერის დირიჟორები დარჩნენო, იმედი მაქვს, 100 წლამდე მაინც იცოცხლებ და უდიდეს დირიჟორად გიხილავ, გულწრფელად დავლოცე პეტერი...

ბადრი ვადაჭკორია.
კელნი-ბრატისლავა.
სპეციალურად
„საქართველოს რესპუბლიკისათვის“.

პრეზენტაცია

„აისი“ — ეროვნული მუსიკის მოამაგე

რამდენიმე თვეა, რაც ჩვენს ქვეყანაში ერთ ფრიად მნიშვნელოვან, მართლაც, მამულიშვილურ წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი — დაარსდა საქართველოს პროფესიონალ მუსიკოსთა ასოციაცია „აისი“, რომლის პრეზიდენტია ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილი, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღიარებული მომღერალი ბადრი მაისურაძე. ასოციაცია მიზნად ისახავს ნიჭიერ მუსიკოს-შემსრულებელთა აღმოჩენას, მათი პროფესიული დონის ამაღლებას, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანას. რთულია არ განიმსჭვალო დიდი სიმპათიებით როგორც ამ დებულებების, ასევე მისი ავტორის, თაოსანის — ბადრი მაისურაძის მიმართ, რომელიც დღეს უკვე საკუთარი ასოციაციის ეგიდით შეასხამს ხორცს ამ იდეას, თუმცა, ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა ხელშეწყობა მისთვის არც მანამდე იყო უცხო.

— მოგეხსენებათ, რამდენიმე წელიწადია სამშობლოს ფარგლებს გარეთ ვმოღვაწეობ, — ამბობს ბადრი მაისურაძე — ბედნიერება მხვდა წილად, შემოქმედებით გზაზე არაერთი გამორჩენილი მუსიკოსი და იმპრესარიო გამეცნო და დავახლოვებოდი მათ. ამიტომაც, ბუნებრივია, ხშირად მომმართავდნენ ახალგაზრდა თანამემამულეები თხოვნით, რათა დავხმარებოდი ახალი კავშირების დამყარებაში, საგასტროლო გამოსვლების გამართვაში. მაქსიმალურად ვცდილობდი ყველას ხელშეწყობას, მაგრამ შორიდან ეს ცოტა რთული იყო. ამიტომაც, გადავწყვიტე ჩემი ურთიერთობების მეოხებით საქართველოში ჩამომეყალიბებინა ასოციაცია, რომელიც დაეხმარებოდა ახალგაზრდა მუსიკოსებს უცხოელებთან შემოქმედებით სიახლოვეში.

ბადრი მაისურაძის ეს ჩანაფიქრი უკვე ხორციელდება. შარშან შემოდგომაზე გაიმართა ახალგაზრდა მომღერალთა მოსმენა, შეირჩნენ საუკეთესოები, რომლებმაც შეადგინეს მომავალ მასტერ-კლასებში მონაწილეთა ძირითადი ბირთვი. ამ მასტერ-კლასებმა კი, რომლებიც ერთი კვირის მანძილზე 8-14 აპრილს მიმდინარეობდა კონსერვატორიის დიდ დარბაზში, ერთგვარი საქველმოქმედო აქციის იერი შეიძინა, რადგან ეს იყო უფასო (მაგრამ, ფასდაუდებელი) საჯარო გაკვეთილები, კონსულტაციები, რომლებსაც ატარებდნენ მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსები, საუკეთესო საოპერო სცენების წამყვანი სოლისტები ნატალია ტროიცკაია, იური ნეჩაევი, ვირჯინია კერი, დირიჟორი პოლ ვაინ გრიფიტსი. ამგვარად, უცხოეთიდან მოწვეულმა ხელოვნების მოღვაწეებმა არა მხოლოდ ახლოს გაიცნეს ახალგაზრდა ქართველი ვოკალისტების საშემსრულებლო შესაძლებლობები, არამედ, მრავალი საჭირო და ყურადსაღები რჩევაც მისცეს მათ. აღსანიშნავია ისიც, რომ მასტერ-კლასებს ესწრებოდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალების ხელმძღვანელები, იმპრესარიოები, მოსკოვის დიდი სიმფონიური ორკესტრის დირექტორი და სხვა ცნობილი მუსიკალური მოღვაწეები. სრულიად შესაძლებელია, რომ მათი ყურადღება რომელიმე მომღერალმა უკვე მიიპყრო და მალე მიწვევაც მიიღოს... მაგრამ, ერთი კი უდავოა, იმ ერთი კვირის მანძილზე საკმაოდ გაიზარდა ახალგაზრდა მომღერალთა ცხოვრების დინამიკა.

კიდევ ერთი უჩვეულო და საგულისხმო დეტალი: ასოციაცია „აისი“ 1998 წლის 3 აგვისტოს დაარსდა. ახალგაზრდათა მოსმენისა და მასტერ-კლასების შესახებ უკვე გიამბეთ. აქვე შევახსენებთ, რომ ასოციაციის ეგიდით შობა-ახალწლის დღეებში შესანიშნავი კონცერტი გამართეს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ბადრი მაისურაძემ და ცნობილმა მომღერლებმა მარინა მეშჩერიაკოვამ და ირინა ჩისტიაკოვამ. და მხოლოდ ახლა, გუშინ, 15 აპრილს, გაიმართა „აისის“ პრეზენტაცია და საზეიმო გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ბადრი მაისურაძე, ვირჯინია კერი, მათ გვერდით კი მღეროდნენ ახალგაზრდები ირმა გიგოლაშვილი, გიორგი გაგნიძე, მარინე ზეიადაძე, ლიზა მარტიროსიანი, ბესო გაბიტაშვილი, ნატალია ვოლჩენკო, მარინე ჯახუტაშვილი, მიშელინა ქობალიანი, ხათუნა მიქაბერიძე, ლევი იმედაშვილი, სწორედ ისინი, ვინც დიდი მოწონება დაიმსახურეს მასტერ-კლასებში. მათ პარტნიორობას უწევდნენ საქართველოს ტელე-რადიო კორპორაციის სიმფონიური ორკესტრი და დირიჟორები ზაზა აზმაიფარაშვილი და პოლ ვაინ გრიფიტსი.

ცხადია, ასოციაციის სამომავლო საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ პერსპექტიული ახალგაზრდა შემსრულებლების მოსმენის ორგანიზებით, ცნობილი პედაგოგების, მომღერლების, დირიჟორების მოწვევითა და ღია გაკვეთილებით. „აისის“ პრიორიტეტულ მიმართულებებად, აგრეთვე, მიჩნეულია საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხთა მუსიკალური პოტენციალის გამოვლენა და პოპულარიზაცია, მათი სწავლების ხელშეწყობა, შერჩეული ვოკალისტების ვიდეო ჩანაწერების გაგზავნის ორგანიზება მსოფლიოს საოპერო თეატრებში; მჭიდრო საქმიანი კონტაქტების დამყარება მსოფლიოს საოპერო იმპრესარიოებთან; ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსების გამართვა; საქართველოში საქველმოქმედო კონცერტების გამართვა და საოპერო სპექტაკლების დადგმა მსოფლიო ვარსკვლავების მონაწილეობით. მომავალში, ალბათ, მომღერლებთან ერთად, სხვა სპეციალობის მუსიკოს-შემსრულებლებზეც გამახვილდება ყურადღება. ამგვარად, ვფიქრობ, ნათლად ჩანს, რომ ასოციაციის უმთავრესი მიზანია ქართველ მუსიკოსთა ქმედითი თანადგომა, საერთაშორისო კონტაქტების გაფართოება-გამყარება, ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებისათვის ესოდენ საჭირო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეროვნული მუსიკალური კულტურის ბედი ასოციაციის ხელმძღვანელთა, განსაკუთრებით კი, ბადრი მაისურაძის შთაგონების საგნად ქცეულა.

დასახული მიზნების განხორციელების დიდ ხელისშემწყობ ფაქტორად მიიჩნევს ბადრი მაისურაძე იმას, რომ ასოციაცია „აისის“ მეურვეთა საბჭოს წევრები არიან საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მუსიკოსი მსტისლავ როსტროპოვიჩი, რომელთან ერთად არაერთი კონცერტი გაუმართავს ბადრის, წარმატებულმა შემოქმედებითმა ურთიერთობამ კი, მათ მეგობრობასაც ჩაუყარა, თურმე, მტკიცე საფუძველი.

— საბედნიეროდ, ამ ორმა დიდმა პიროვნებამ მართლაც გაითავისა ჩვენი ასოციაციის მიზნები — ამბობს ბადრი მაისურაძე — მათი იმიჯი, მათი რჩევები და თუნდაც, მორალური თანადგომა, ვიმედოვნებ, მომავალი წარმატებების საწინდარად იქცევა.

მეურვეთა საბჭოს წევრია აკადემიკოსი სევერიან ცაგარეიშვილიც, ასოციაციას ხელმძღვანელობენ, აგრეთვე, ელისო ჭირაქაძე (ვიცე-პრეზიდენტი), რუსუდან მაცაბერიძე (აღმასრულებელი დირექტორი), მარინე სალარაძე (მენეჯერი), კომისიის წევრები არიან გოჩა ბეჟუაშვილი და ზაზა აზმაიფარაშვილი.

მოგეხსენებათ, ასეთი მასშტაბური ჩანაფიქრების ხორცშესხმას მატერიალური ხელშეწყობაც ესაჭიროება. ამ ეტაპზე ასოციაცია „აისს“ მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევს ჯორჯ სოროსის ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო“, რომლის ხელმძღვანელებმა მიიჩნიეს, რომ ამ ასოციაციის საქმიანობა ღირსშესანიშნავი აქციაა საქართველოსთვის. დაარსების დღიდან „აისს“ თანადგომას უწევს კულტურის სამინისტრო. დიდად ემადლიერება ბადრი მაისურაძე ავიაკომპანია „**BRITISH AIRWAYS**“-საც, — ვოცნებობთ, სამომავლოდ ჩვენს ასოციაციას შევქმნას ისეთი მყარი მატერიალური ბაზა — ამბობს იგი — რომ აღარ დაგვჭირდეს მეცენატთა შეწუხება.

ვფიქრობ, საქართველოს პროფესიონალ მუსიკოსთა ასოციაცია „აისს“ დიდი, საგულისხმო და რაც მთავარია, საფუძვლიანი პერსპექტივა აქვს, რაც ეჭვს არ იწვევს და უთუოდ მრავალი საინტერესო და ღირსშესანიშნავი მოვლენით გაამდიდრებს ქართულ მუსიკალურ კულტურას...

ზურაბ ოიკაშვილი.

სურათზე: მსტისლავ როსტროპოვიჩი, ბადრი მაისურაძე და მისი მეუღლე ელისო ჭირაქაძე.

ყურადღება!

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

ერთად ვიზრუნოთ
უკეთესი ჯანმრთელობისათვის

სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის 1998 წლის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა საყურადღებოდ!

სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანია მოგახსენებთ, რომ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1999 წლის 25 მარტის ბრძანების თანახმად დამთავრებულია 1998 წლის პროგრამები, ამდენად კომპანიასა და თქვენდამი რწმუნებულ დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად 1998 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების ვადა 1 აპრილს ამოიწურა.

ამჟამად მიმდინარეობს ხელშეკრულებების გაფორმება სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის 1999 წლის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობაზე კომპანიის საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებებთან.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, მისი რეორიენტაციის პროცესების დაწყებიდანვე მნიშვნელოვან დახმარებას იღებდა იაპონიის მთავრობისაგან.

ამ მიმართებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იაპონიის მთავრობის გრანტული დახმარების პროგრამით გათვალისწინებული უსასყიდლო დახმარების პროექტების რეალიზაცია, რომლებიც ითვალისწინებენ სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობებით კომპლექსურ აღჭურვას.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, 1996 წლიდან დაიწყო შესაბამისი პროექტების მომზადება. კერძოდ, 1997 წლის აგვისტო-ოქტომბერში, მომზადდა განაცხადის პროექტი, რომელიც შეეხება ჯანდაცვის სისტემისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ორი სამედიცინო დაწესებულების — მოზრდილთა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოსა და ბავშვთა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობებით კომპლექსურ აღჭურვას.

პროექტის ფარგლებში მოწოდებული იქნება ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოსათვის 112, ხოლო ბავშვთა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოსათვის — 120 დასახელების თანამედროვე სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობა.

პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 638 მლნ იაპონურ იენს.

მიმდინარე წლის 14 აპრილს შედგა იაპონიასა და საქართველოს შორის პროექტის რეალიზაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა.

აღნიშნული ნაკეთობანი მოწოდებული იქნება მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

1999 წლის 7 მაისს, 15 საათზე
გაიმართება სს ასს
„ფოთი-ტრანსის“
აქციონერთა კრება
დღის წესრიგი:

1. დირექციის ანგარიში 1998 წლის საქმიანობის შესახებ;
2. საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
3. მეთვალყურეთა საბჭოს არჩევნები.

მისამართი: ქ. ფოთი, ფალიაშვილის ქ. №121.
დირექცია.

განცხადება

სააქციო საზოგადოება „თბილსრესმშენი“ აცხადებს, რომ სააქციო საზოგადოების საერთო კრება გაიმართება 1999 წლის 14 მაისს.

დღის წესრიგი:

1. წლიური ანგარიში;
2. ახალი წესდების მიღება;
3. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევა.

აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო.

ისტორია

გაზეთი „მაკავეელი“ და ქართველ ებრაელთა ეროვნული კულტურული მოძრაობა

დაბადებიდან ეკუთვნით მათ წიგნი...
შეუძლებელია წიგნს ჩამოაშორო ებრაელი.
ჰაინრიჰ ჰაინე.

75 წლის წინათ, 1924 წლის 24 თებერვალს, თბილისში გამოვიდა ქართულ-ებრაული ორკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური გაზეთი „მაკავეელი“. ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა ქართველ ებრაელთა კულტურულ ცხოვრებაში.

რამ განაპირობა ქართველ ებრაელთა ისტორიის ეს უჩვეულო მოვლენა?

„პირველ მცნებათა“ კანონმდებელი, ერი თვით დაბადების დამბადებელი, ერი, რომელიც მის მიერ შექმნილ ღმერთს უტოლდება. თავის სახელმწიფოს მოკლებული ებრაელი ხალხი მთელს მსოფლიოში თესავდა თავის სულიერ სიმდიდრეს და სიძლიერეს. ებრაელობამ ბევრი რამ ასწავლა კაცობრიობას და მათი დამსახურება მსოფლიოს წინაშე დიდია.

მსოფლიო ებრაელობის ორგანული ნაწილია ქართველი ებრაელობა. ესაა მსოფლიო ებრაელთა ერთ-ერთი უძველესი დიასპორა. ქართველი ებრაელი განსაკუთრებული მოვლენაა, ესაა ქართული გვარ-სახელების მატარებელი, ქართულ ენაზე მეტყველი ებრაელები. „ძლიერ არის გადახლართული ერთმანეთთან ქართველი და ებრაელი ხალხების ისტორიული ძირები. მსოფლიო ისტორიაში, ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება ორი ერის ასეთი სულიერი ერთობა, როგორც ებრაელი და ქართველი ხალხების უნიკალური ძმობა და მეგობრობა. ქართველებსა და საქართველოს ებრაელებს იმდენი რამ აქვთ საერთო, რომ ხანდახან ძნელი გასარჩევია, სად მთავრდება ქართული მიწა და სად იწყება ებრაული ხასიათი, ტრადიცია, ჩვეულება (საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე). საქართველოში ებრაელობამ არ იცოდა არც რელიგიური შევიწროება და არც ეროვნული შუღლი და მტრობა, რის გამოც ქართველი ხალხი უდავოდ დიდი პატივისცემისა და კეთილი ხსენების ღირსია. ქართველი ებრაელი ამას არც ივიწყებს. „საქართველოდან წასული სხვა ერების წარმომადგენლები მრავლად არიან უცხოეთში. მაგრამ თითქმის არავის გამოუხატავს ჩვენი ქვეყნისადმი მადლიერების ისეთი გრძნობა, როგორც ეს თქვენ გამოიჩინეთ“ — ასე მიმართა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II ისრაელს წასულ ქართველ ებრაელობას.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ საქართველოში ვიზიტის დროს 1998 წლის 22 მარტს განაცხადა: „ისრაელში ცხოვრობენ მრავალი სახელმწიფოდან ჩამოსული ადამიანები, მაგრამ არავის გამოუვლენია ისეთი სიყვარული ქვეყნისადმი, საიდანაც ჩამოვიდნენ, როგორც საქართველოდან ჩამოსულმა ებრაელებმა გამოავლინეს“.

ქართველი ებრაელობა როგორც კულტურულად, ისევე ეკონომიკურად მეტად ჩამორჩენილი იყო, პირველი ქართველ-ებრაელი მწერალი, შესანიშნავი მოღვაწე გერცელ ბააზოვი 1932 წელს ასე ხატოვნად ახასიათებდა მათ მდგომარეობას:

„ქარბუქ სიცივეს, მაგარ ყინვებს
და ძველ ქალამანს
მიჰყავდი სიმწრით
ექსპრესივით განაჩალები,
ზურგზე ტომარა გისახავდა
შიშის გალავანს
თუ როგორ ჰყოფდნენ შენს
„ნამოვარს“ ტყის ყაჩაღები.
ათას კილომეტრს გაივლიდი
საკუთარ ფეხით,
მშიერ მწყურვალე
მინისაკენ მიიჩქაროდი
ყველა შენ გმტრობდა,
მტრების ტყვია, ელვა და მეხი
და გაწუხებდა ეს საკითხი
„ნეტავი როდის?“

ქართველ ებრაელთა სულიერ მდგომარეობას კი რაბინ დავით ბააზოვის ქალიშვილი ფაინა ბააზოვი ასე ახასიათებდა: „ქართველი ებრაელები აგრძელებდნენ ძილში ყოფნას, არ ჰქონდა რა არც მინაგანი ენერგია, არც მოთხოვნილებანი გამოღვიძებისა... ცოცხალი ხმა, ხმა, რომელსაც ქართველი ებრაელობა უნდა გაეღვიძებინა ისტორიული აქტიურობისაკენ, თვით ქართველი ებრაელობის წიაღიდან უნდა მოხმობილიყო.

განგებამ ეს მისია დავით ბააზოვს დააკისრა“.

ბედის გაუგებარი ირონიით, ქართველ ებრაელებს შორის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების, თავისი მასშტაბით ყველაზე ფართო და თავისი მნიშვნელობით ყველაზე ღრმა მოძრაობა გაიშალა საქართველოში ბოლშევიკების ხელისუფლების სათავეში მისვლის პირველ წლებში — 1921-1925 წლებში. სწორედ ამ წლებში რაბინმა დ. ბააზოვმა შექმნა ქართველ ებრაელებს შორის მთელი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ცენტრი. 1922 წელს დაარსებული თბილისის 102-ე ებრაელთა შრომითი სკოლა, ქართველ ებრაელებს შორის 1924 წელს შექმნილი პირველი დრამატული დასი „კადიმა“, ქართულ-ებრაული გაზეთი „მაკავეელი“ ამის ნათელი გამოხატულება იყო.

საქართველოში ებრაელთა ეროვნული აღორძინების ამ პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე გასაოცარ ძეგლს წარმოადგენს გერცელ ბააზოვისა და ცნობილი ქართველი ებრაელის, სიონისტი მოღვაწის, მწერლისა და პუბლიცისტის ნათან ელიაშვილის ინიციატივით შექმნილი ორკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური გაზეთი, რომელსაც გერცელის წინადადებით ეწოდა „მაკაბი“ — ქართულად „მაკავეელი“. გაზეთი დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. მისი სამივე ნომერი ინახება საქართველოს პრეზიდენტის ბიბლიოთეკაში.

გაზეთის პირველი ნომერი იხსნება სარედაქციო წერილით „ჩვენი გაზეთი“ და გერცელ ბააზოვის სტატიით „მაკავეელი“. ორივე ამ წერილში ლაპარაკია ებრაელთა დამსახურების შესახებ მსოფლიოს წინაშე, ქართველ ებრაელთა მდგომარეობაზე და გაზეთის მიზანდასახულებათა შესახებ.

ეხება რა ყველა ხალხის ცივილიზაციის ისტორიას, სარედაქციო წერილში „ჩვენი გაზეთი“ აღნიშნულია მისი სულიერი განვითარების და წინსვლის პროცესში მიმდინარე განუწყვეტელი გონებრივი ბრძოლა, დუღილი, დაუდგრომლობა, სულიერი შფოთვა და თავგანწირული ძიება ახალი გზებისათვის კაცობრიობის საბედნიეროდ. ასეთივე სულიერი ბრძოლა განიცადა თავისი ისტორიის სარბიელზე ერთა შორის უფრო მშფოთვარე და არსებული ცხოვრების პირობებთან შეურიგებელმა ხალხმა — ებრაელმა ერმა. ის არასოდეს ისტორიის მსვლელობას და საერთო-საკაცობრიო ცხოვრების ბორბალის წინსვლას უკან არ ჩამორჩენია და ყოფილა მუდამ მებრძოლთა წინა რიგებში.

მაგრამ დიდ გამონაკლისს შეადგენს ამ ერის ერთი ნაწილი — საქართველოს ებრაელობა. ერის ეს ნაწილი მრავალი წლისა და საუკუნის განმავლობაში ერთ უცვლელ დონეზე მდგარა. საქართველოს ებრაელთა ცხოვრება და ყოფა სრულიად უშინაარსოს და საერთო საკაცობრიო ცხოვრებას ქარგიდან მოწყვეტილ ნაკვეთს წარმოადგენდა. მისი მსოფლმხედველობა მეტად ვიწრო იყო და პრიმიტიული. იგი ოცნებობდა მხოლოდ თავის ინსტიქტურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, ლუკმა-პურზე, და სხვა არაფერზე. მაგრამ მოწინავე წერილი გამოყოფდა ქართველ ებრაელთა ცხოვრების ბოლო პერიოდს, როდესაც ხალისით სავსე ახალგაზრდობაშიც დაიბადა სურვილები კულტურულად აღორძინებასა და ლტოლვა სწავლა-განათლებისადმი. გაზეთი „მაკავეელი“ არის გამოძახილი ამ სულიერი მოძრაობისა, ამ გარდატეხისა საქართველოს ებრაელთა ცხოვრებაში. გაზეთის დანიშნულება ნათელია: იგი არ არის ვიწრო ჯგუფური ხასიათისა. იგი დგას გარეშე ყოველივე პარტიისა და პოლიტიკისა და იღებს ერს მთელი თავისი შემადგენლობით. იგი სახალხო გაზეთია მთელი საქართველოს ებრაელთა, მათი ტრიბუნა. გაზეთი ისახავს მიზნად — საქართველოს ებრაელთა შორის სწავლა-განათლების გავრცელებას, სალათას ძილიდან გამოღვიძებას, მის კულტურულად ამაღლებას და სოციალ-ეკონომიკურად გაჯანსაღებას. იგი იდგება ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპზე, სასტიკად შეებრძოლება ასიმილაციის ტენდენციებს.



გაზეთის კრედოს გასაღებს იძლევა გერცელ ბააზოვის სტატია სათაურით „მაკავეელი“. მასში საუბარია, ერთი მხრივ, ქართველ ებრაელთა სულიერი მდგომარეობის შესახებ, მეორე მხრივ, გაზეთის წინაშე მდგარ ამოცანათა შესახებ. გერცელი წერს: „ისტორიამ უამრავი ღირსშესანიშნავი მოვლენების წინაშე დააყენა კაცობრიობა, მაგრამ საქართველოს ებრაელთათვის ყველა ეს უმნიშვნელოდ ითქმებოდა ისტორიის სიღრმეში და არავითარი ცვლილება არ ხდებოდა მათი ცხოვრების ზედაპირზე. ინდიფერენტიზმი, სრული არარაობა და დუმილი მარადიული. ეს ახასიათებს წარსულში ჩვენს თანამოძმეებს. ჩვენი საზოგადოება მიყრდნობილი ორიათას წლიდან ტალიმზე, დღესაც განაგრძობს მაგარ ძილს და არც კი ზრუნავს გამოღვიძებაზე. გერცელი იხსენებს ისტორიას, ადარებს მის თანამედროვე პირობებს და კითხულობს: თუ ჩვენი საამაყო ძმების სახელებით მოჭედილია მსოფლიოს ისტორია წარსულში და თანამედროვე ხანაში — ჩვენ რა დავაშავეთ, რად უნდა ჩამოვრჩეთ მათ და კაცობრიობის კულტურის სალაროში რად არ უნდა შევიტანოთ ჩვენი წვლილიც? და აქ დიდია გაზეთის როლი, გაზეთ „მაკავეელს“ განუზრახავს შეიჭრას საქართველოს ებრაელთა ცხოვრების მთლიან სულსა და გულში. გერცელი შემდეგ ჩამოთვლის იმ მიზნებს, რაც დასახავს „მაკავეელს“: ბრძოლა კულტურისა და პროგრესისათვის, ბრძოლა სინათლისათვის, დამხობა ძველი დრომოჭმული რუტინებისა, გარდაქმნა ჩვენი საზოგადოების უკულმართი ყოფა-ცხოვრებისა. „მაკავეელი“ უნდა იყოს ის ორგანო, სადაც უნდა მოიხაზოს ტიპი და დაიხატოს პორტრეტი მებრძოლი ებრაელისა.

შეასრულა გაზეთმა ეს ამოცანები? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ვიცოდეთ, რა ქვეყნდებოდა გაზეთის ფურცლებზე, რა საკითხები იდგა მისი ყურადღების ცენტრში.

გაზეთი „მაკავეელი“ აქვეყნებდა სტატიებს ებრაელთა ისტორიიდან (ასეთებია: სარედაქციო „ფურიმ“, დავით ბააზოვის „მორდეხაი-ჰამანი“, გ. ბ. ინიციალებით (გერცელ ბააზოვი უნდა იყოს) „14 ადარი“ (№ 3), ნათან ელიაშვილის „ებრაული ენა და ებრაელი ერი“ (№ 2), გაზეთის ყურადღების ცენტრში ქართველ ებრაელთა სწავლა-განათლების საკითხები იდგა. ასეთია სტატიები ი. მოშიაშვილისა „სწავლა-განათლების საკითხის გარშემო“ (№ 1). დავით ბააზოვისა „კულტურა და საქართველოს ებრაელობა“ (№ 2), სარედაქციო „ებრაული სტამბის შესახებ“ (№ 2) მ. კ. ინიციალებით გამოქვეყნებული სტატია „საქართველოს ებრაელთა სტუდენტების მდგომარეობა“, სტ. მედ. მ. თაღიდიშვილისა „ჩვენი ფიზიკურად გაჯანსაღების შესახებ“ (№ 1), დავით ბააზოვისა „საქართველოს ებრაელობა და ღარიბთა დახმარების საქმე“ (№ 1), ი. მო-ლი „საქართველოს ებრაელთა ეკონომიკურად ჩამოქვეითება და მისი მიზეზები“. ებრაელთა დაცვას ისახავდა მიზნად პ. ლ. ინიციალებით გამოქვეყნებული სტატია „რიტუალის“ ლეგენდის გამო“ (№ 1), გაზეთის ყოველ ნომერში ქვეყნდებოდა ქრონიკა, პროვინციაში არსებული მდგომარეობა. არც პოეზია და მწერლობა იყო დავიწყებული. გაზეთის ორ ნომერში — № 2 და № 3-ში გამოქვეყნდა გერცელ ბააზოვის ანტისემიტიზმის მამხილებელი ისტორიული მოთხრობა „ალვარ როდრიგო“, ლექსები გერცელ ბააზოვისა „მაკავეელ“ (№ 1) და „მოგონება 14 ადარის“ (№ 3), ნათან ელიაშვილისა უსათაურო (№ 1) და „ფურიმ“ (№ 3), ფანიას (დავით ბააზოვის უფროსი ქალიშვილის) „იმელი“ (№ 2) და „ზეიმი“ (№ 3).

ებრაელთა შესახებ სტატიებიდან მაინც მინდა გამოვყო სამი სტატია, რომლებიც ეხება ფურიმის დღესასწაულს. და, თუ რატომ, გასაგები გახდება, როდესაც გავეცნობით ამ დღესასწაულის წარმოშობის ისტორიას.

ფურიმის დღესასწაული მომდინარეობს სპარსეთის მეფე ახაშვეროშის დროიდან (485-465 წ.წ. ჩვ. წ. აღ-მდე). იმხანად ებრაელობა ძირითადად სპარსეთის გამგებლობაში იყო. მეფე ახაშვეროში არ იყო კეთილგანწყობილი ებრაელებისადმი, ამიტომაც როდესაც მთავარმა მინისტრმა ამანმა შესთავაზა სამეფოს მთელი ებრაელობის ერთიანად მოსპობა და მათი ქონების ხაზინაში შეტანა, მეფე უმალ დაეთანხმა. ახაშვეროშმა გასცა განკარგულება, რომელიც სისრულეში უნდა მოეყვანა 13 ადარს.

დედოფალმა ესთერმა და მისმა ბიძამ მორდოხაიმ გადაარჩინეს ებრაელი ერი. მორდოხაის დაჟინებული თხოვნით დედოფალი ესთერი მივიდა მეფესთან (ეს სიცოცხლის საფრთხის ფასი იყო, რადგანაც დედოფალს თავისი ინიციატივით მეფესთან მისვლა აკრძალული ჰქონდა), გაუმხილა, რომ წარმოშობით ებრაელი იყო, გააცნო ამანის ბოროტი ზრახვები და შევედრა შეეწყნარებინა ებრაელი ერი. ახაშვეროშმა შეცვალა განკარგულება და ამანი თავის დაგებულ მახეში თვითონ გაება. ამანი და მისი ათი ვაჟი ჩამოახრჩვეს.

ასეთია ფურიმის დღესასწაულის ქარგა.

აქ ჩვენ გვაინტერესებს, როგორაა გაანალიზებული ფურიმის დღესასწაულის მნიშვნელობა გაზეთ „მაკავეელის“ ფურცლებზე.

პირველი. ფურიმი არ არის სარწმუნოებრივი დღესასწაული და რაიმე კულტთან დაკავშირებული, ამა თუ იმ წმინდანის დაბადებასა თუ სიკვდილთან, თვით ისეთ პიროვნებასთან, როგორიც იყო მოსე ებრაელი ერისათვის, არავითარი დღესასწაული არ არის დაკავშირებული. ებრაელთა დღესასწაულს რაღაც ერის ცხოვრებაში მომხდარ მოვლენასთან უნდა ჰქონდეს კავშირი, საერო მნიშვნელობისა უნდა იყოს, მას ხალხის ცხოვრებაში ისტორიული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ფურიმი ეროვნული დღესასწაულია.

აბონ ციციაშვილი,
პოლიტოლოგი, პროფესორი.

(დასასრული იქნება).

სპორტი

ჯანსაღი ცხოვრების წესი

როდესაც ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე ვსაუბრობთ, სკეპტიკოსებს ეღიმებათ — რა დროს ფიზკულტურაა, რა დროს შეჯიბრებებიაო. კიდევ კარგი, ყველა ასე არ ფიქრობს, არ იყურება მხოლოდ ცხვირწინ...

ცხოვრებას მაინც თავისი გააქვს — ახალგაზრდებს, სპორტსმენებს სულ უფრო ხშირად ვხედავთ პარკებში, სუფთა ჰაერზე, სტადიონებზე, სპორტულ დარბაზებში.

გაზაფხულია...

ერთი ასეთი შეჯიბრება — წვევამდელთა სპარტაკიადა

მზე, ჰაერი, ბურთი და მოედანი

უკვე დაიწყო ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე. დედაქალაქის ყველა რაიონის წვევამდელები შეუდგნენ „ურთიერთობის გარკვევას“ და, როგორც ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოზე (ზემოთ), ხედავთ, ძალღონეს არ იშურებენ მაღალი შედეგების მისაღწევად...

გუშინ ვერის პარკის საკალათბურთო დარბაზში კიდევ ერთი კომპლექსური ღონისძიება დაიწყო — თბილისის მოსწავლეთა 53-ე სპარტაკიადა. საზეიმო გახსნისას ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს გამორჩეული ფიზკულტურის მასწავლებლები, მწვრთნელები და სპორტსმენები, გაიმართა საინტერესო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

აქვე საღამოს კალათბურთის ზეიმი გაიმართა — მაყურებლებმა იხილეს საქართველოს „ყველა ვარსკვლავის“ ტრადიციული მატჩი, რომელიც ფრედ — 100:100 დასრულდა. შემდეგ მოეწყო ერთგვარი საკალათბურთო შოუ — ვინ რამდენს ჩააგდებდა სამქულიანი ტყორცნით, როგორ მოხდენილად, აკრობატულ ნახტომში „ჩატენიდა“ ბურთს კალათში...

ასეთი ღონისძიებები, ვფიქრობთ, კარგ ფონს ქმნის იმისთვის, რომ ჩვენმა მოსახლეობამ ცხოვრების ჯანსაღი წესი ნამდვილად დაამკვიდროს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ეკა ჯიმშელაძე,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.

მოსწავლეთა სპარტაკიადის საზეიმო გახსნა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ჭიდაობა

ემზადებიან

10-13 ივნისს უნგრეთის დედაქალაქში გაიმართება ევროპის 1999 წლის პირად-გუნდური პირველობა იუნიორთა შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ამ პასუხსაგები ასპარეზობისთვის სამზადისს მიეძღვნა საქართველოს პირადი პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელიც ახლახან დასრულდა თბილისის ფალავანთა კლუბში.

გვიამბობს საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ომზარ მოშიტაშვილი.

— აღნიშნულ ასაკში საკმაოდ ტიტულოვანი მოჭიდავეები გვყავს. საკმარისია ითქვას, რომ ვანელილ შეჯიბრებაში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების 9 გამარჯვებული და პრიზიორი მონაწილეობდა. მათ შორის აღვნიშნავ მსოფლიოს პირველობათა გამარჯვებულებს გარდაბნელ ივანე ჩუბინიძეს, აფხაზეთის წარმომადგენელ გიორგი რურუასა და თბილისელ ილია ლექავას. სულ ამ 3-დღიან შეჯიბრებაში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის 114 იუნიორი მოჭიდავე მონაწილეობდა.

სასტუმროს უქონლობის გამო, ზოგიერთ ფალავანს ღამის თევა თბილისის რკინიგზის ვაგზალზე მოუხდა. ბევრი მოჭიდავე შეჯიბრებაზე მშიერი ჭიდაობდა, ზოგიც 20-თეთრიანი ფუნთუშით კმაყოფილდებოდა. ასეთი აუტანელი პირობების მიუხედავად, ყველამ ჩინებულად იჭიდავა და უძლიერესებმა დაიმკვიდრეს კიდეც ადგილი საქართველოს ნაკრებ გუნდში, რომელთაც ბუდაპეშტში მოუწევთ (თუ სადმე გასამგზავრებელი სახსრები ვიშოვეთ) გამოსვლა.

აი, გამარჯვებულნიც: 50 კგ — გიორგი ტაბატაძე (თბილისი), 54 კგ — მურად გობაძე (აჭარა), 58 კგ — მიხეილ ზავრაშვილი (რუსთავი), 63 კგ — ივანე ჩუბინიძე (გარდაბანი), 69 კგ — ალექსანდრე დოხტურიშვილი (გარდაბანი), 76 კგ — ბადრი ხასაია (თბილისი), 85 კგ — გიორგი რურუა (სოხუმი), 97 კგ — ილია ლექავა (თბილისი), მძიმე წონა — გიორგი წურწუმია (თბილისი).

შალვა ჩიხლაძე.

მასპინძლობს მინსკი

გუშინ ბელორუსიის დედაქალაქის სპორტის სასახლეში დაიწყო ევროპის 1999 წლის პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. კონტინენტის ტიტულოვან ფალავანთა შორის არის საქართველოს (უფროსი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე) რვა უძლიერესი მოჭიდავე. ჩემპიონატის პირველ დღეს ხალიჩაზე საჭიდაოდ გავიდნენ ქუთაისელი გოჩა კირკიტაძე (54 კგ), ევროპის ჩემპიონი გორელი დავით პოღოსიანი (63 კგ), გურჯაანელი რევაზ მინდორაშვილი (76 კგ) და ევროპის სამგზის ჩემპიონი სოხუმელი ელდარ კურტანიძე (97 კგ).

დღეს მინსკის ხალიჩაზე მედლებისთვის იბრძოლებენ გორელი ოთარ თუშიშვილი (58 კგ), თბილისელი ემზარ ბედინეიშვილი (69 კგ), გორელი გოჩა ჩიხრაძე (85 კგ) და თბილისელი მძიმეწონოსანი ალექსანდრე მოდებაძე.

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები დააფინანსა ქვეყნის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა (პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი). დელეგაციას ხელმძღვანელობს საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი დავით გობეჯიშვილი.

18 აპრილს ევროპის ჩემპიონატი საზეიმოდ დაიხურება. ფილას პრეზიდენტი მილან ერცეგანი ამ ავტორიტეტული ორგანიზაციის უმაღლეს ჯილდოს — ოქროს ორდენს გადასცემს ორგზის მსოფლიოს ჩემპიონს გურამ სალარაძეს, რომელსაც ახლახანს 60 წელი შეუსრულდა.

შოთა გოკერია.

არდავიწყება

ჩემპიონი ამარცხებდა ჩემპიონებს...

მამა-პაპეულ ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩომეთში ზაფხულის სასკოლო არდადეგებზე თბილისიდან ჩასული ავთანდილ ქორიძე ტოლ-სწორებში საჭიდაოდ რომ გავიდოდა, იქაურებს უკვირდათ ამ ქალაქელი ყმაწვილის სიმარჯვე და ჯან-ღონე. თბილისის ვაკეთა 11-ე საშუალო სკოლის 15 წლის მოწაფე ავთანდილ ქორიძე ამხანაგებმა ჭიდაობაზე მიიყვანეს „პეტრეს დარბაზში“ გამოცდილ მწვრთნელ პეტრე იორდანიშვილთან (1907-1977). მამამისმა — გრიგოლმა ამის შესახებ მაშინ გაიგო, როცა შვილმა შინ პირველი ქების სიგელი მიიტანა...

ავთანდილ ქორიძე მოვლენა იყო ბერძნულ-რომაული სტილის ჭიდაობის სამყაროში. 20 წლისამ, 1955 წელს, სარატოვში სსრკ ჩემპიონატზე დაამარცხა XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი იაკობ პუნკინი...

1958 წელს კი თბილისში სპორტის სასახლეში გაიმართა საქართველოსა და შვედეთის ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების მატჩი (14:2 გაიმარჯვეს ქართველებმა), სადაც ყველაზე ძლიერი მეტოქე ჰყავდა ავთანდილ ქორიძეს — ლონდონის 1948 წლის XIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს 1953 წლის ჩემპიონი გუსტავ ფრეი („რკინის კაცი“). ავთანდილმა შვედი დამაჯერებლად დაჯაბნა. ეს იყო დიდი და საიმედო გამარჯვება.

1959 წლის აგვისტოში, იუგოსლავიაში (ქალაქი სპლიტი) „ადრიატიკის თასზე“ დიდებულად იჭიდავა ქერათმიანმა თბილისელმა ათლეტმა ავთანდილ ქორიძემ. ფინალურ ჭიდილში დაამარცხა ტოკიოს 1964 წლის XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი უნგრელი იმრე პოიაკი. ავთანდილისთვის ეს გახლდათ პირველი გასვლა საერთაშორისო სარბიელზე. მისი სპორტული ალმასელის მწვერვალი, რაღა თქმა უნდა, რომის 1960 წლის XVII ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული ოქროს მედალი იყო 67 კილოგრამ წონით კატეგორიაში.

რომის „მასენციოს“ დარბაზში პირველ შეხვედრაში ავთანდილმა იტალიელი მერიო დე სილვა დაამარცხა, მეორე წრეში ამერიკელ ბენ ნორდრუპს მოუგო, მომდევნო წრეში მელბურნის 1956 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთან ფინელ კიესტი ლეხტონენთან შეხვედრა ფრედ დასრულდა, შემდეგ წმინდად მოუგო ბერძენ ანასტასე მონდიზს, აჯობა ბულგარელ დიმიტრი სტოიანოვს, ფინალში კი ძველ მეტოქეს იუგოსლაველ ბრანკო მარტინოვიჩს შეხვდა. ქართველმა ვაჟკაცმა აშკარად დაჯაბნა მეტოქე და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

ავთო ქორიძე შემოქმედი ფალავანი იყო — მის გამოგონილ ილეთს დღესაც ბევრი ათლეტი ასრულებს. ამ ფანდს ჰქვია — „ზოგბეჯენში გადაყვანა ჯვარედინი ნაბიჯით“. ავთანდილმა თავისი სიძლიერე ოლიმპიური თამაშების მომდევნო წელსაც დაამტკიცა მსოფლიოს ჩემპიონატზე იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში (6-8 ივნისი). კეიოს უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში კვლავ დაამარცხა ძველი მეტოქეები ამერიკელი ბენ ნორდრუპი, იუგოსლაველი ბრანკო მარტინოვიჩი, გერმანელი ფრანკე, ინდონეზიელი ტალივონგხონი... ავთანდილი უძლიერესი გახდა მსუბუქ 67 კილოგრამ წონით კატეგორიაში, მეორე ადგილზე გავიდა იმრე პოიაკი, მესამეზე — ბრანკო მარტინოვიჩი. ჩემპიონი თვით ფილას მაშინდელმა პრეზიდენტმა ფრანგმა როჟე კულონმა დააჯილდოვა ოქროს მედლით.

უფრო ადრე, 2-4 ივნისს იოკოჰამაში გაიმართა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც 63 კილოგრამში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა ვლადიმერ რუბაშვილმა. ისე მოეწონათ ქართველი ფალავნები ამომავალი მზის ქვეყნის გულშემატკივრებს, რომ ისინი ჩემპიონატის შემდეგ 8 დღე დატოვეს იაპონიაში და შემდეგ ზარ-ზეიმით გამოაცილეს გემზე, სადაც ჩვენი ჩემპიონები თურმე ერთი კვირა ელოდნენ... ვიზებს.

ავთოს კარგი მეგობარი იყო [illegible] ქარხნის [illegible] ინჟინერი [illegible] თურმე სულ ამბობდა — ძია სამასავით კარგი ინჟინერი უნდა გავხდეო. ოცნება აისრულა კიდეც — პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, რამდენიმე თვე ავჭალის სილიკატების ქარხანაში მუშაობდა, ასპირანტურაში შესასვლელადაც ემზადებოდა. ავთომ დიდად გაიხარა, როცა პირველი ვაჟი ბესიკი შეეძინა, მერე ირინა დაიბადა. მამის სიხარულს მისი მეუღლე ვიოლა და დები ვალიდა, მერი და ჯანიკოც იზიარებდნენ. რა თქმა უნდა, შვილის ბედნიერებით ხარობდა ავთოს მამა გრიგოლი (გარდაიცვალა 1985 წელს) და დედა ელენე (დღესაც ცოცხალია)...

ავთანდილი აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ ცოტა ხანს „პეტრეს დარბაზში“ მწვრთნელადაც მუშაობდა ახალბედებთან...

მას განსაკუთრებით ქუთაისი უყვარდა. სწორედ ქუთაისიდან მოდიოდა 1966 წლის 11 აპრილს, უფრო ზუსტად, მანქანის საჭესთან თვითონ იჯდა, გვერდით კი ასევე გამოჩენილი ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე 1956 წლის მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (62 კგ), პირველი საკავშირო (1956 წ.) სპარტაკიადის ჩემპიონი (62 კგ) რომან ძნელაძე (1932-1966) ეჯდა. ტრაგედია ჯიმშურას ბოგირთან მოხდა — ავტოკატასტროფაში ორივე ფალავანი დაიღუპა.

ოლიმპიური ჩემპიონი 31 წლისა 4 დღის შემდეგ მესრულდებოდა...

ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონის, შესანიშნავი ინჟინრისა და მეოჯახის ავთანდილ ქორიძის (1935-1966) სახელი სამუდამოდ დარჩა ქართულ სპორტში, ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვსურს: დღეს ბევრი სპორტსმენის სახელობითი ტურნირები იმართება. ხომ არ გაგვემართა ავთანდილ ქორიძის სახელობის ტურნირიც?! ალბათ, ამ შეჯიბრებით კიდევ ერთხელ გადავუხდით მადლობას უდროოდ დაღუპულ, უპრეტენზიო და უბრალო ავთანდილ ქორიძეს — დიდ ჩემპიონს.

გაბრიელ ბარჯაძე.

ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

პოლანდიის თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ სიტარდის „ფორტუნა“ და ამსტერდამის „აიაქსი“, რომლებმაც ნახევარფინალში შესაბამისად „ეინდჰოვენს“ (3:1) და „ფეიენოორდს“ (2:1) სძლიეს.

ამსტერდამელთა ქართველი ლეგიონერი შოთა არველაძე მე-10 წუთზე მინდორზე ტრავმირებული მაკარტის ნაცვლად შევიდა და აქტიურად ითამაშა.

გაირკვა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თასის გათამაშების ფინალში თემურ ქეცბაიას კლუბის — „ნიუკასლის“ მეტოქე. ეს არის „მანჩესტერი“, რომელმაც დამატებით დროში მოუგო გადათამაშება „არსენალს“ 2:1. აღსანიშნავია, რომ დამატებით დროში გამარჯვებულთა მეკარემ, დანიელმა შმეიხელმა პენალტი მოიგერია, გადამწყვეტი გოლი კი 109-ე წუთზე უელსელმა გიგსმა გაიტანა.

არგენტინელთა ბენეფისად იქცა იტალიის თასის გათამაშების პირველი ფინალური მატჩი „პარმასა“ და „ფიორენტინას“ შორის, რომელიც ფრედ 1:1 დასრულდა. ანგარიში მე-16 წუთზე მასპინძელმა კრესპომ გახსნა, 81-ე წუთზე კი თავი ბატისტუტამ ისახელა.

საპასუხო რაუნდი ფლორენციაში 5 მაისს მოეწყობა.

განსჯა

ნუ აჰყვებით მოდას...

ერთხელ კიდევ ფიზიკური აღზრდის ფენომენზე

ადამიანი ბიოლოგიურ არსებად იბადება, ხოლო სოციალურად ყალიბდება მხოლოდ აღზრდის პროცესში, ინდივიდუალური ცხოვრების რთული გზის გავლის კვალობაზე. ადამიანის განვითარება-სრულყოფა სწორად ორგანიზებული პედაგოგიური პროცესის შედეგია. ადამიანი ერთი მთლიანი და განუყოფელი ფიზიკურ, ფსიქიკურ და ასტრალურ სფეროთა ერთობლიობაა და შეესატყვისება კოსმოსის ძირითად კანონს — მთლიანობას, ჰარმონიის კანონს. იგი ერთია ყველასა და ყველაფრისათვის, მაგრამ ცალკეულ სფეროთა განვითარების კანონზომიერების არცოდნა ადამიანის აღზრდას სწორ გზაზე ვერ დააყენებს.

აღნიშნულ სფეროთაგან ფიზიკური აღზრდის პროცესის დანიშნულება, პირველ რიგში, ფიზიკურ სფეროზე კეთილმყოფელი ზემოქმედებაა, მაგრამ მისი სრული იზოლირება გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და შრომითისაგან, ფაქტობრივად, არა მარტო გაუმართლებელი, არამედ შეუძლებელიცაა. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, სპარტანული და ათენური აღზრდის სისტემებშიც კი, სადაც მთავარი აქცენტი ფიზიკური სფეროს სრულყოფილებით ხასიათდებოდა, ჰარმონიულობა წამყვან, პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენდა.

ფიზიკურ სფეროში, გარდა მამოძრავებელი აპარატისა, პოტენციური ენერგიისა, განთავსებულია მთელი რიგი სასიცოცხლო სისტემები, სენსორები და ა. შ. მათზე ზემოქმედება-განვითარება მომზადებულობის პროცესში ხორციელდება, რომელთაგან პირველი ბუნებრივ ევოლუციურ ძვრებს გულისხმობს, ხოლო მეორე — სპეციალურად ორგანიზებული პედაგოგიური პროცესის დიფერენცირებულ ზემოქმედებას. აღნიშნული ცნებების მოგონება იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ უკანასკნელ პერიოდში თავი იჩინა ცალკეული გავლენის მქონე თანამდებობის პირთა დილეტანტურმა, არაკომპეტენტურმა გამოსვლებმა, რომლებიც აბსურდულ წინადადებებს გვთავაზობენ. აღნიშნულის შესახებ „საქართველოს რესპუბლიკის“ ა. წ. 16 თებერვლის ნომერში კარგად ითქვა დოცენტ შოთა ბუაძის სტატიაში. ავტორმა სამართლიანად გააკრიტიკა მოსაზრებები, რომლებიც სკოლას ნაცვლად ეროვნულ-ტრადიციულისა, სთავაზობენ ე. წ. აღმოსავლური ორთაბრძოლების დანერგვას. წინადადებების ავტორებს ზერელედ, ან სულ არ ესმით ფიზიკური აღზრდის როლი, ადგილი და მნიშვნელობა მოზარდი თაობის ჰარმონიული განვითარების საქმეში. ამასთან, ეს ხდება მაშინ, როცა არა მარტო სასწავლო ფიზიკურ კულტურაში სასკოლო მუშაობის ყველა სხვა ფორმებიც უგულებელყოფილია. ობიექტური მიზეზები ძირითადად მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის უქონლობამდეა დაყვანილი და, მართლაც, მოითხოვს სახელმწიფოებრივ უზრუნველყოფას, დამოკიდებულებას და ზრუნვას, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია სუბიექტური ფაქტორები, რომელსაც სკოლის ხელმძღვანელობის და პროფესიონალ მასწავლებელთა პასუხისმგებლობა, მოსწავლეთა ფიზიკურ მომზადებულობაზე ზრუნვა, მისდამი სიყვარულის ადექვატური გამოვლინება ჰქვია. ამ უკანასკნელზე ყურადღებას იმიტომაც ვამახვილებთ, რომ პირად ინიციატივას, მოტივაციას ვერასოდეს შეცვლის ბრძანება-განკარგულებები და სადირექტივო მითითებები. მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე, მათ ფიზიკურ მომზადებაზე ზრუნვის უგულებელყოფა მორალური და იურიდიული დანაშაულებრივი ქმედების ტოლფასად მიგვაჩნია.

ჩვენ შეგნებულად გვერდს ვუვლით მოზარდთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტატისტიკური მონაცემების მოხმობას, რამდენადაც იგი საკმაოდაა ცნობილი და ბატონ შოთა ბუაძის სტატიაშიც დამაჯერებლად იყო მითითებული. მოვიყვანთ მხოლოდ ერთს. მიუხედავად იმისა, რომ ორისამი ათეული წელია სკოლები არ შემოწმებულა, რა მოსათმენია 75-იან წლებში მოპოვებული მასალების მიხედვით მოსწავლეთა 33,4 პროცენტის მარტო ხერხემლის გამრუდებით (სკოლიოზი, კიფოზი, ლორდოზი) დაავადებულთა რაოდენობა! პროფილაქტიკა ხომ პირდაპირი მნიშვნელობით ფიზიკური აღზრდის სწორად ორგანიზებულ, უწყვეტ და სისტემატურ მეცადინეობებს ეკისრება.

სამწუხაროდ, დავეწიეთ სტატისტიკურ და სხვა მსჯელობითი ფაქტების კონსტატაციას და არავინ ფიქრობს კონკრეტულ წინადადებებზე, რომელთაც ძალუძს მდგომარეობის თუ მთლიანი გამოსწორება არა,... პროფილაქტიკა მაინც. ამ პრეტენზიის პირდაპირ ადრესატებად მიგვაჩნია დარგის მეცნიერი მუშაკები, პედაგოგები, პროფესიონალი სპეციალისტები, პრაქტიკოსები, ხელმძღვანელი სტრუქტურების მუშაკები, განსაკუთრებით — განათლების სამინისტრო და ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი.

ჩვენ არა ვართ მომხრე უცხოეთის ქვეყნების მაგალითზე მსჯელობისა, სადაც სულ სხვა პირობები, საშუალებები, ინტერესები და ტრადიციებია დამკვიდრებული, განსაკუთრებით — მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ დანგრეულ ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ზოგიერთში, დიდი სიდუხჭირის მიუხედავად, მოხერხდა ამ საშვილიშვილო საქმისადმი ჯეროვანი ყურადღების დათმობა, ბევრგან გაიზარდა კიდეც აკადემიური მეცადინეობის საათთა რაოდენობა. ჩვენში კი დაწყებითი კლასებისათვის გასულ წლებში მამასისხლად მიღწეული ერთი საათის მომატება უდღეური აღმოჩნდა. განათლების სამინისტროს ფუჟუნებად ეჩვენა იგი ჩვენი ბავშვებისთვის და „მოახერხა“ მისი გაუქმება. ვფიქრობთ, ფაქტი კომენტარს არ საჭიროებს.

საერთო განუკითხაობა, ქაოსი და სრული უპასუხისმგებლობა სუფევს ეგრეთ წოდებულ ფასიან უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ადგილობრივი ხელმძღვანელობა თვითნებურად ადგენს სასწავლო გეგმებს. აქ უგულებელყოფილია ფიზიკური აღზრდისთვის განკუთვნილ იმ მიზერულ საათთა რაოდენობაც კი, რომელიც საერთოდ არის მიღებული ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელთა სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში. მეტიც, უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიურ ფაკულტეტებზე არ ისწავლება ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა, მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის ფიზიკური სფეროს განვითარების კანონზომიერებებს და მის კავშირს ფსიქიკურ სფეროსთან. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს დაწყებითი და სკოლამდელი აღზრდის ფაკულტეტების სტუდენტთა მომავალ პედაგოგიურ მოღვაწეთა მომზადება მოზარდის ორგანიზმის, მისი ფიზიკური განვითარების, ფიზიკური მომზადებულობის, მოძრაობითი შემძლეობის, ჩვევის და უნარის ფორმირების კანონზომიერებათა ცოდნის გარეშე. და ეს მაშინ, როცა მთელი პედაგოგიური პროცესის უშუალო ხელმძღვანელობა მათ ევალებათ.

ბატონ შ. ბუაძის სტატიის სათაური — სისტემის შექმნის თაობაზე აღქმულ უნდა იქნას არა როგორც ახალი, ორიგინალურის ორგანიზების პრეტენზია, არამედ მავნე გაუმართლებელი კოსმოპოლიტურისადმი სამართლიანი პროტესტი და ჩვენი ტრადიციების პატივისცემა, მათ აღორძინებაზე ზრუნვა. ავტორის მოსაზრებებს და გულისტკივილს ვიზიარებთ იმ მხრივაც, რომ მოსწავლეთა ზოგადი ფიზიკური მომზადებულობის იგნორირების ტენდენციურმა მოსაზრებებმა იმძლავრა და სკოლაში ყოველად გაუმართლებელი „ორთაბრძოლების წესების გარეშე“ მომხრე წინადადებებმა გარკვეულ მასშტაბს მიაღწია ამ ბოლო დროს. გაჩნდა არა მარტო მოსაზრებები, წინადადებებიც ე. წ. აერობიკის, თუ რიტმული ტანვარჯიშის შემოღების შესახებ.

ვფიქრობ, ავტორთა ამ ჯგუფს ამბიციური ორიგინალობის პრეტენზია უფრო ამოძრავებთ, ვიდრე ჭეშმარიტი საქმე. აერობიკა და რიტმული ტანვარჯიში სხვა არაფერია, თუ არა ფიზიკური აღზრდის უძველესი საშუალება „ტანვარჯიშის“ სახეობები (მიმართულებები). ტანვარჯიშში კი ოდითგანვე ცნობილია როგორც „თავისუფალი ვარჯიშები“, იგივე — „უიარაღოდ ანუ უსაგნოდ ვარჯიშები“. როგორც პოპულარული სახეობა, იგი სპორტული ტანვარჯიშის მრავალჭიდშიც დამოუკიდებლად შედიოდა.

ასე რომ, ზემოთმოყვანილ ტერმინთა „ნოვატორები“ ტყუილად გაისარჯნენ. ისე კი ოღონდ საქმეს ეშველოს და ვის რა სურს, დაარქვას...

აღმოსავლური ორთაბრძოლების სკოლაში შემოღების მომხრეების საპასუხოდ უნდა განვაცხადოთ, რომ იგი მხოლოდ მოდასაყოლილთა ახირებაა და არა მარტო მცდარი, მავნე და საზიანო მოსაზრებებზე დამყარებული ტენდენცია გახლავთ.

ორთაბრძოლები ჩვენთან დიდი ხანია კულტივირებულია, მათ შორის აღმოსავლურიც, მაგრამ იგი კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ფორმების პრეროგატივაა, რომლისთვისაც, მსგავსად ყველა სხვა სპორტულ სახეობაში დახელოვნების დაწყებისა, აუცილებელია ზოგადი ფიზიკური მომზადების საფუძვლის შექმნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ ნეგატიური შედეგებია მოსალოდნელი.

სკოლის სასწავლო მუშაობის ფორმა დიდი ხანია დამკვიდრდა, როგორც ზოგადი ფიზიკური მომზადების საფუძველთა საფუძველი, იგი ემყარება სახელმწიფოებრივ პროგრამებს და, მადლობა ღმერთს, მიღწეულია ამ დანაშაულებით შერჩეულ ფიზიკურ ვარჯიშთა სახეობების კულტივირებაზე შეჯერებული შეხედულებანი. ცხადია, იგი პერიოდულად სისტემატურ კონტროლს, კორექტივებს, სრულყოფილებას მოითხოვს, რაც პროგრამების გადამუშავების გზით ხდება.

სკოლის ფიზიკური აღზრდის რაციონალურად მართვას, ჩვენი აზრით, ერთი დიდი სატკივარი ახასიათებს. იგი სასწავლო პროცესის მეთოდურ ხელმძღვანელობა-დახმარების დეფიციტში მდგომარეობს და გადაუდებელ თანადგომას საჭიროებს. საქმე იმაშია, რომ ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი დანიშვნის დღიდანვე მოკლებულია ყოველგვარ ყურადღებას, ზრუნვას, დახმარებას, კვალიფიციურ შემოწმებასაც კი. მასწავლებლის კვალიფიკაცია მხოლოდ კურსდამთავრებულობითაა განსაზღვრული და დასრულებული. არავინ ზრუნავს მეთოდური რეკომენდაციების შექმნაზე, პედაგოგიურ დახელოვნებაზე, მეთოდური ლიტერატურის გამოცემაზე, თათბირ-სემინარებზე და ა. შ. მასწავლებელთა დახელოვნებისა და კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა დაივიწყა ტრადიციები, სრულიად გაუმართლებლად გააუქმა დარგის მასწავლებელთა გადამზადება, მთლიანად ამოძირკვა იგი სასწავლო გეგმიდან, ხოლო სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი შემოიფარგლა მხოლოდ დიპლომის გაცემით. ამრიგად, მასწავლებელი დარჩა ყველასა და ყველაფრისგან იზოლირებული და მოძულებული.

ასეთ ვითარებაში გადაუდებლად მიგვაჩნია, ყველამ, ვისაც შესაძლებლობის ფარგლებში ხელეწიფება, დახმარების და ზრუნვის ხელი გაუწოდოს სკოლას, წინააღმდეგ შემთხვევაში აღწერილი და სხვა ნეგატიური მოვლენები კატასტროფამდე მიგვიყვანს.

შოთა მამარდაშვილი,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი.

ველოსპორტი

აჭარის გზებზე

ამ შეჯიბრების მასპინძელმა ქობულეთელმა ლევან მესხაძემ („შევარდენი“) აქტივში ჩაიწერა საგზატკეცილო ველოსპორტის აჭარის ჭაბუკთა ღია პირველობის ოთხი უმაღლესი ჯილდო. 1981-1982 წლებში დაბადებულთა შორის მან დაიკავა პირველი ადგილები პროლოგში მთაზე 2200 მეტრზე, ინდივიდუალურ რბოლაში განცალკევებული სტარტით 15 კმ-ზე, ჯგუფურ რბოლაში 65 კმ-ზე და სამი რბოლის ჯამში. მისმა თანამოქალაქემ და თანაგუნდელმა თენგიზ თავბერაძემ, რომელიც ასპარეზობდა 1983-1984 წლებში დაბადებულთა შორის, ყველას აჯობა პროლოგში მთაზე 2200 მეტრზე, ჯგუფურ რბოლაში 65 კმ-ზე და სამი რბოლის ჯამში. ამ ასაკობრივ ჯგუფში ინდივიდუალური რბოლა (განცალკევებული სტარტით, 15 კმ) მოიგო ქობულეთელმა ბესიკ მიქელაძემ („შევარდენი“), უფროს და უმცროს ასაკობრივ ჯგუფებში სხვადასხვა რბოლაში საპრიზო ადგილებს დაეუფლნენ თბილისელები — გიორგი ქევხიშვილი, დავით ბულბულოვი, მამუკა გელიკაშვილი (ყველა „შევარდენი“), გიორგი მგელაძე, ირაკლი წაქაძე (ორივე „მართვე“) და სოხუმელი ლექსო ჯღარკავა.

კონკურსგარეშე ასპარეზობდნენ 1980 წელს დაბადებულნი ველორბოლელები. აქ წარმატებას მიაღწიეს თბილისელებმა. პროლოგში მთაზე 2200 მეტრზე, ჯგუფურ რბოლაში 65 კმ-ზე და სამი რბოლის ჯამში გაიმარჯვა მიხეილ მურადოვმა („მართვე“), ინდივიდუალურ რბოლაში განცალკევებული სტარტით 15 კმ-ზე წარმატებას მიაღწია მისმა თანაგუნდელმა რობერტ ცხოვრებაძემ. სხვადასხვა ასპარეზობაში პრიზიორთა შორის იყო დედაქალაქელი გარი ბეგლაროვი („შევარდენი“).

ორმოცამდე მონაწილეთა შორის ასპარეზობდნენ ქუთაისელებიც.

გარი ამირხანოვი.

ყოველი მხრიდან

შოთა არველაძემაც ვერ უშველა

ახლა თითქმის ყველა ფეხბურთის მოყვარულს აწუხებს კითხვა — რა დაემართა ჰოლანდიის „აიაქსს“? ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი, 1995 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში მატჩს მატჩზე აგებს და უკვე მერვე ადგილამდე ჩამოქვეითდა. ჩვენთვის, ქართველებისათვის „აიაქსის“ ასეთი „ჩავარდნა“ ძალზე მტკივნეულია, ვინაიდან იქ თამაშობს ქართული ფეხბურთის ვარსკვლავი შოთა არველაძე. ამასწინანდელ მატჩში „კამბუს ლიუვარდენთან“, მართალია, შეხვედრის დასაწყისშივე, მე-6 წუთზე შოთამ ბურთი გაიტანა, მაგრამ ამით თავის გუნდს ვერ უშველა. „აიაქსმა“ წააგო 4:2.

გაზეთმა **„სპორტ-ექსპრესმა“** 14 აპრილის ნომერში გამოაქვეყნა ინტერვიუ შოთა არველაძესთან, რომელიც მძიმე ტრავმის გამო დიდხანს არ თამაშობდა. „კამბურ ლიუვარდენთანაც“ მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშა, მშვენიერი გოლიც გაიტანა — მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო. მაგრამ მუხლი ასტკივდა და შეცვალეს.

შოთა არველაძეს მიაჩნია, რომ „აიაქსი“ არ მომკვდარა. მას ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშეების ცვლა ჰყავს და მალე დაიბრუნებს დაკარგულ პოზიციებს.

სურათზე: შოთა არველაძე.

როცა მეუღლე ჩუკოტკის გუბერნატორს სჯაბნის

ჩვენთვის სპორტის უჩვეულო სახეობაა ირმებით რბოლა, მაგრამ ჩუკოტკაში ის ტრადიციულად იმართება. სწორედ ასეთი ტურნირი მოაწყვეს ამ დღეებში ჩუკოტკის მეირმეებმა 90-კილომეტრზე, რომელშიც 17 მარხილი მონაწილეობდა. ფინიშთან პირველი იყო სოფელ ლამუტსკოეს წარმომადგენელი ნიკოლაი ვინტო, რომელმაც მანძილი 4 საათს, 47 წუთსა და 10 წამში დაფარა, საშუალო სიჩქარით საათში 18 კილომეტრი. თუმცა ზოგიერთ მონაკვეთზე ირმები საათში 35-კილომეტრ სიჩქარესაც ანვითარებდნენ 5 წუთის განმავლობაში. საერთოდ კი, საშუალო სიჩქარით მათ მთელი დღე შეუძლიათ რბენა. ჩუკოტკის რეკორდი ამ დისტანციაზე 3 საათი და 50 წუთია.

ასპარეზობის პრესტიჟის ასამაღლებლად რბოლაში მონაწილეობდა ჩუკოტკის ავტონომიური ოლქის გუბერნატორი ალექსანდრე ნაზაროვი. 5-კილომეტრიან დისტანციაზე მან მესამე ადგილი დაიკავა. ოლქის თავკაცი დაჯაბნეს ანადირის ვიცე-მერმა ვიქტორ პოდგანნიმ (I ადგილი) და თავად გუბერნატორის მეუღლემ ირინა ნაზაროვამ (II ადგილი). სამწუხაროდ, რუსულ პრესაში ირმების სახელები არ მოუხსენიებიათ.

პეკინი მეორედ, 2008 წლისათვის ეპატიჟება ოლიმპიადას

პეკინის მერმა ლიუ ციმ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს სამარანჩს გადასცა განაცხადი 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩინეთის დედაქალაქში მიწვევის თაობაზე.

მოლაპარაკებისას ქალაქის თავმა აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილებებს მხარს უჭერენ ცენტრალური მთავრობა, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და პეკინელები. სამარანჩმა კი თავის მხრივ კმაყოფილება გამოთქვა პეკინის გადაწყვეტილებაზე, მეორედ ცადოს ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მოპოვება.

მოამზადა
ვალიკო სიმონიშვილმა.

გვერდის რედაქტორი
ანზორ ბასილაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკრეფილი თანხა გამგებელმა მიითვისა

ამხილეს სოფელ პტენას გამგებელი, 1960 წელს დაბადებული თამაზ გვარამიძე.

მას ბრალი ედება იმაში, რომ მიითვისა მოსახლეობიდან აკრეფილი მიწის გადასახადი – 1600 ლარი.

ქალმა ქალს ცემაში ამოხადა სული

სოფელ დიდ სმადაში, ურთიერთშელაპარაკებისას, მეზობლებმა – 56 წლის ნანული ტყემალაძემ და 64 წლის ალექსანდრა ტყემალაძემ ერთმანეთი სცემეს, რის შედეგადაც ნ. ტყემალაძე ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ა. ტყემალაძემ მიიღო ტვინის შერყევა.

კონტრაბანდული სათალი

ეკოლოგიური პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს რუსთავში მცხოვრები, 51 წლის ინგა გურემიძე, რომლის ბინიდან ამოღებულია კონტრაბანდული გზით შემოტანილი 750 კილოგრამი სათალი.

ფაქტთან დაკავშირებით საქმეს იძიებს უშიშროების სამინისტრო.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

ღიმილის დოზა

ომია. რიგით ჯარისკაც რაბინოვიჩს იხმობს მეთაური და ეუბნება: – რიგითო რაბინოვიჩ! თქვენ გეძლევათ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დავალება – უნდა გაავრცელოთ მტრის ზურგში ათასი პროკლამაცია. ფრთხილად იყავით და – ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ერთი თვის შემდეგ რაბინოვიჩი ბრუნდება.

– გაავრცელეთ?

– აი, ნავაჭრი, მომეცით ხელწერილი, რომ ჩაგაბარეთ.

* * *

ქმარი – ცოლს: – ჩემო კარგო, შენ ტელეფონით სულ ნახევარ საათს ილაპარაკე. რა დაგემართა?

– სხვაგან მოვხვდი.

* * *

ყმაწვილი რაბინოვიჩი ეკონომიკას სწავლობს და მამას ეკითხება, რა არის „ბიზნესის ეთიკა“.

– რახან მეკითხები, გეტყვი. ვთქვათ, მოდის ჩვენს მაღაზიაში ქალი და ყიდულობს კაბას 80 დოლარად. მაძლევს ასდოლარიან კუპიურას და 20 დოლარი ხურდის აღება ავიწყდება. აი, სწორედ აქ დგება, შვილო, ეთიკის საკითხი. ვეტყვი ამას ჩემს პარტნიორს, თუ არა?

* * *

ადვოკატი ეკითხება მოსარჩელეს:

– თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ სწორედ ჩემმა კლიენტმა მოგპარათ მანქანა?

– იცით რა? თქვენი სიტყვის შემდეგ მე იმაშიც კი აღარ ვარ დარწმუნებული, რომ მანქანა მქონდა...

* * *

– რით ცხოვრობთ?

– ვწერ.

– ჟურნალისტი ხართ?

– არა. ვწერ მამაჩემს, რომ ფული გამომიგზავნოს.

გამოიცა

სიახლე მუსიკის სფეროში



ჯემალ ოიკაშვილი
მუსიკალური კარნახები
Djemal Oikashvili
Musical Dictations

საქართველოს მუსფონდის გამომცემლობამ ახლახან დასტამბა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის კათედრის დოცენტის, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ჯემალ ოიკაშვილის „მუსიკალური კარნახები“. ეს სოლიდური კრებული (იგი 400-ზე მეტ ნიმუშს შეიცავს) ავტორის მნიშვნელოვანი წვლილია განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის საქმეში, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია შექმნას ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა.

ჯემალ ოიკაშვილის კარნახების წიგნი (რეცენზენტები – მერი ჭოღოშვილი და დოდო რუხაძე), უწინარესად იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ მისი ყველა ნიმუში ავტორის – მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილების მქონე მუსიკოსის მიერაა შეთხზული. ეს ის შემთხვევაა, როდესაც შემოქმედებითი პროცესი შეგნებულად ექვემდებარება მუსიკის თეორიის კანონებს. ავტორმა მიზნად დაისახა ერთ კრებულად შეეკრა არა მარტო სხვადასხვა სირთულის, არამედ განსხვავებული ხმათა რაოდენობის (ერთხმიანობიდან დაწყებული, ოთხხმიანობის ჩათვლით) მქონე ნიმუშები და შესაძლო სისავსით მოეცვა სოლფეჯიოს კურსში კარნახის მიმართ არსებული მოთხოვნები.

სოლფეჯიო იმ თეორიულ დისციპლინათა რიგს განეკუთვნება, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ ნებისმიერი სპეციალობის მუსიკოსის ჩამოყალიბებაში. მუსიკალური კარნახი სოლფეჯიოს დისციპლინის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. სწორედ მის საფუძველზე ყალიბდება სმენითი ჩვევები. მიუხედავად ამისა, კარნახების შეთხზვით, ქართველი მუსიკოსებიდან, თითქმის არავინ დაინტერესებულა, დაახლოებით ასევე, მათი მხატვრული ლიტერატურიდან გამოკრებით. ეს სფერო რომ ნაკლები პრიორიტეტით სარგებლობს, იქიდანაც ჩანს, რომ ჯემალ ოიკაშვილის კრებული, როგორც ეს კათედრის უხუცესმა წევრმა, პროფესორმა ქეთევან თუმანიშვილმა აღნიშნა, არის პირველი ამგვარი ნაშრომი, შესრულებული, მუსიკის თეორიის კათედრაზე. ეს უკანასკნელი კი არსებობის 61 წელიწადს ითვლის.

კრებულის უდავო ღირსებას განაპირობებს ის გარემოება, რომ აქ შერწყმულია ზოგადევროპული და ქართული მუსიკალური ენის ტრადიციები. ამ შემთხვევაში ავტორი ეყრდნობა იმ გამოცდილებას, რომელიც მას შესძინა ხანგრძლივმა მუშაობამ ქართული კლასიკური მუსიკის ჰარმონიის საკითხებზე (სწორედ ამ პრობლემას მიეძღვნა მისი საკანდიდატო დისერტაციაც). ქართული მუსიკისათვის დამახასიათებელი კილო-აკორდიკა კარნახებში შემოდის ძალდაუტანებლად, ზომიერად და ძირითადად საკადანსო საქცევებში გაცხადებული. ავტორი არ იფარგლება მხოლოდ ხალხური ან ქალაქური ფოლკლორის ინტონაციებით და გვთავაზობს თანამედროვე საესტრადო მუსიკისათვის დამახასიათებელ ბრუნვებსაც. აღსანიშნავია, რომ მრავალხმიანი კარნახების დიდ ნაწილს წინ უძღვის ტემპისა და შესრულების ხასიათის მიმანიშნებელი მითითებები, რაც იმას მოწმობს, რომ ავტორს ზოგიერთი მათგანი თავისებურ მინიატურებად აქვს ჩაფიქრებული.

კრებულში კარნახები განლაგებულია სირთულის მიხედვით. ყოველი ნაკვეთის ბოლოს ავტორი იძლევა ხმათა შერეული რაოდენობის მქონე ნიმუშებს და თანდათან შემოაქვს ერთხმიანობაში ორხმიანობა, ორხმიანობაში – სამხმიანობა და სამხმიანობაში კი ოთხხმიანობა. მრავალხმიან კარნახებში, ჰომოფონიური წყობის ფარგლებში, ავტორი აქსოვს პოლიფონიურ ელემენტებს, გვთავაზობს ქართული ხალხური მრავალხმიანობისათვის დამახასიათებელ ხმათა სვლებს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პროფესიული სმენითი ჩვევების დახვეწას.

კარნახების კრებული შესრულებულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, რაც, აგრეთვე, მნიშვნელოვანია ყოველდღიური გამოყენებისათვის განკუთვნილი გამოცემისათვის.

ვფიქრობ, ჯემალ ოიკაშვილის მრავალწლიან ნაშრომს, მის „მუსიკალურ კარნახებს“, სიხარულით და სიამოვნებით მიიღებენ მუსიკალური განათლების ყველა საფეხურზე მოღვაწე სიახლეს მონატრებული ქართველი პედაგოგები.

მანანა ანდრიაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო

აზრძელებს სახელმწიფო ლიცენზიების გაცემას იმ ორგანიზაციებისა და პირთათვის, რომლებსაც სურთ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 16 მარტის №221 ბრძანებულების მოთხოვნათა შესაბამისად განახორციელონ საპროექტო-საძიებო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ან აწარმოონ სამშენებლო მასალები, სამშენებლო კონსტრუქციები, დეტალები და ნაკეთობები.

მიმდინარე – 1999 წლის მარტში სახელმწიფო ლიცენზიები მიიღეს შემდეგმა ორგანიზაციებმა:

შპს „წყალკანალსპეცრემმშენი“;
შპს „აგრომრეწვსერვისი“;
შპს „ტრანსსერვისი“;
შპს „ჰიდროენერგეტიკა-ნკ“;
შპს „თბილისის საკონსულტაციო სააგენტო“;
შპს „ინაკო“,
შპს „04“;
შპს „ონიქსი“;
შპს ფირმა „საბა“;
შპს „ბიგა“;
შპს „ინტექსი“;
შპს „ბია“;
შპს „ვიტო“;
შპს „ეგმ“,
შპს „პრიზმა“;
შპს „სპექტრი-7“;
შპს „ლიბო“;
შპს „ჯეკალთო“;
შპს „ნ. ბ.“;
შპს „გია და გია“;
შპს „ბაკო“;
შპს „მერცხალი“;
შპს „არქიკომი“;
შპს „არქი-21“;
შპს „ცისფერი მთები“;
შპს „ლუკო“;
შპს სასპორტო-სამრეწველო კომერციული ცენტრი „თბილისი“;
შპს „გაერთიანება-97“ (დედოფლისწყარო);
შპს „სხივი“ (წყალტუბო);
შპს „ელკომი“ (გარდაბანი);
შპს „მემონტაჟე“ (ფოთი);
შპს „კოლხა-XXI“ (ფოთი);
შპს „არმაზი“ (ლაგოდეხი);
შპს „არმაზი“ (თერჯოლა, ჩხარი);
შპს მრავალდარგოვანი ფირმა „კლდეკარი“ (მანგლისი);
შპს ფირმა „ფერიცხე“ (ასპინძა, სოფელი რუსთავი);
სააქციო საზოგადოება – „თბილისის აეროპორტი“;
სააქციო საზოგადოება – „ქუთაისის მექანიკური ქარხანა“;
სააქციო საზოგადოება – „ერა“ (რუსთავი);
სახაზინო საწარმო – „თბილისის, მთაწმინდის რაიონის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ნაგებობათა სამსახური;
სახაზინო საწარმო – დუშეთის საგზაო სამმართველო;
სახაზინო საწარმო – №20, საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო (საგარეჯო, ხაშმი);
სახაზინო საწარმო – ახალგორის საგზაო სამმართველო;
სახაზინო საწარმო – ოზურგეთის საგზაო სამმართველო;
სახაზინო საწარმო – ოზურგეთის №18 საგზაო-საექსპლუატაციო სამმართველო;
სახაზინო საწარმო – დედოფლისწყაროს საგზაო სამმართველო;
სახაზინო საწარმო – ხაშურის რაიონის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა განყოფილების საპროექტო ჯგუფი;
საქართველოს სპორტსმენთა დახმარებისა და სოციალური დაცვის საქველმოქმედო ფონდი „ნიკა“;
სასოფლო მშენებლობისა და კომპლექსური მომსახურების კოოპერაციული საწარმო „სოფლმშენკომპლექსი“ (ზუგდიდი);
ინდივიდუალური საწარმო – „ანტონ საღლიანი“;
ინდივიდუალური საწარმო – „რევაზ ბარკავა“;
ინდივიდუალური საწარმო – „თიგნო“.

ორგანიზაციებსა და პირებს, რომლებსაც სურთ ახორციელებდნენ საპროექტო-საძიებო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს ან აწარმოებდნენ სამშენ მასალებს, სამშენებლო კონსტრუქციებს, დეტალებსა და ნაკეთობებს, აუცილებელია სახელმწიფო ლიცენზიის მისაღებად მიმართონ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს სახელმწიფო ლიცენზირების ცენტრს.

380060, თბილისი, ვაჟა ფშაველას პრ. 16, მეორე სართული. ტელეფონები: 37-34-91, 33-10-22.

ცნობები და კონსულტაციები ყოველდღიურად 10-დან 16 საათამდე (გარდა დასვენების დღეებისა).

გ. ჯინჯოლია,
საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს პრესცენტრი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი შპს „პრესა-98“-ის მინი-სტამბა

მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გთავაზობთ გაზეთების, წიგნების, ბროშურების, ბუკლეტების, აფიშების, პლაკატების, სავიზიტო ბარათების, სხვადასხვა საქმიანი ფორმების, ეტიკეტების აწყობა-დაკაბადონებას, ფერადი გამოსახულების ფერთა დაშლას.

ამასთანავე ხელმისაწვდომ ფასებში, რიზოგრაფის საშუალებით, შეძლებთ გაზეთების (A-4 ფორმატის), ბუკლეტების, აფიშების (A-3 ფორმატი), სავიზიტო ბარათების, საქმიანი ფორმების ტირაჟირებას. შესაძლებელია ნაწილობრივ ფერადი ბეჭდვა. მაღალი ხარისხი გარანტირებულია კომპიუტერისა და რიზოგრაფის შემაერთებელი კომპიუტერული ინტერფეისის საშუალებით. შეგვიძლია სხვადასხვა საბუთის ლამინირებაც (A-3-A-4 ფორმატი).

გადახდა როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით.

მობრძანდით, გამაყოფილი დარჩებით!

ცნობებისათვის მოგვმართეთ:
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
გამომცემლობა „სამშობლოს“
შენობა, IV სართული.
ტელ.: 99-06-88.

გახსენება

მურთაზ კვინიკაძე

ყოველ გაზაფხულზე უფრო და უფრო გვეჭირს უშენობა.

შენ ხომ შენი წილი გაზაფხული მოგვეიკალი, შენი დარჩენილი ოცნებებით დაგვასევდიანე, ჩვენო გულმართალო მეგობარო.

უკვე მესამე წელია, უშენოდ ეხედებით შენს დაბადების დღეს, შენი ხმაურიანი შემოსვლა და გულიანი ღიმილი ენატრება შენს დამწუხრებულ ოჯახს, შენი დიდი პროფესიონალიზმი, საქმისადმი ალალი და მართალი დამოკიდებულება აკლია შენი სამსახურის თანამშრომლებს.

თავდაჭერილი, საქმიანი, ხალისიანი, შენი საქმის უბადლო მცოდნე, ავ-კარგიანი, გაჭირვებასაც რომ სიცილსა და ანეკდოტებში გადაგვატანინებდა – ასე გიცნობდა პროკურატურის ყველა თაობის თანამშრომელი.

ასე გიგონებთ დღესაც, ამ აგმისყვავილისფრად აფარფარებულ აპრილის დღეს, ვდგევართ თავდახრილი შენს საფლავთან და შენეული როხროხითა და იუმორით ვერა, მაგრამ ცრემლიანი სათქმელით კი ვემუდარებით ღმერთს, მსუბუქი ჰყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

მეგობრები.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელმა შპს „პრესამ“ ცალკე წიგნად გამოსცა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კანონები:

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“
„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

დაინტერესებულ გამსაღებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს წიგნის დიდი რაოდენობით ან უშუალოდ გამომცემლისგან შესყიდვის შემთხვევაში გაეწევათ შეღავათი.

მისამართი:
მ. კოსტავას 14,
მე-4 სართული,
ტელ: 93-26-99.

დაზუსტება

მიმდინარე წლის 14 აპრილს გამოქვეყნებულ „საქართველოს რესპუბლიკაში“ საქართველოს პროფკავშირებისა და შრომის ფედერაციის კონფედერაციის განცხადების ხელმომწერებში უნდა იკითხებოდეს: ნ. მეგრელიძე – კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა აჭარის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს პროფესიული კავშირებისა და შრომის ფედერაციის კონფედერაცია ბოდიშს უხდის მკითხველებს აღნიშნული უზუსტობისათვის.

ხსოვნა

გენრიეტა კალანდაძე

ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის განათლების განყოფილება და 183-ე საშუალო სკოლის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ყოფილი დირექტორი, დამსახურებული პედაგოგი, ღირსების ორდენის კავალერი გენრიეტა მაქსიმეს ასული კალანდაძე.

ქალბატონი გენრიეტა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე დაუღალავად ემსახურებოდა მომავალი თაობის აღზრდას.

მესანიშნავი მოქალაქის, პედაგოგის და ორგანიზატორის, გენრიეტა კალანდაძის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და მრავალრიცხოვანი მოსწავლეების გულში.

ქ. თბილისის 183-ე საშუალო სკოლა.

სერგო ცირამუა

დღითიდღე მცირდება სამამულო ომის ვეტერანთა რიგები: 82-ე წლის ასაკში გარდაიცვალა გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლების მონაწილე, გადამდგარი პოლკოვნიკი, ვეტერანთა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე სერგო ივანეს ძე ცირამუა.

შინაარსიანი იყო მისი ცხოვრება: დაიბადა 1917 წლის დეკემბერში ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ პარტიული სკოლაც დაამთავრა და შრომით საქმიანობას ეწეოდა თავისსავე რაიონში. 1938 წელს გაიწვიეს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. განვლო გზა რიგითი მეომრიდან პოლკოვნიკამდე. სამხედრო სამსახურში 37 წელიწადს იმყოფებოდა და მუდამ პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

დიდი სამამულო ომის პერიოდში – 1942-დან 1945 წლამდე იყო მოქმედ არმიაში და თავგანწირვით ებრძოდა ფაშისტ დამპყრობლებს. ჯერ მუშაობდა ასეულის პოლიტხელად, ხოლო შემდეგ დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსად ყირიმის, ჩრდილო კავკასიისა და უკრაინის პირველ ფრონტებზე. მონაწილეობდა მილიტარისტული იაპონიის წინააღმდეგ განხორციელებულ საომარ ოპერაციებშიც შორეული აღმოსავლეთის ფრონტის შემადგენლობაში. ომის შემდეგ კვლავ დარჩა არმიაში, შევიდა ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიაში და სწავლის დამთავრებისთანავე სამსახური განაგრძო სხვადასხვა სამხედრო შენაერთში.

მტერთან ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის სერგო ცირამუა დაჯილდოებული იყო სამამულო ომის II ხარისხის, წითელი ვარსკვლავის (სამი) ორდენებით, მრავალი საბრძოლო მედლით. სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა საქართველოს განათლების სამინისტროს სისტემაში სამხედრო-პატრიოტული აღზრდის სფეროში. აქტიურად მონაწილეობდა ვეტერანთა მოძრაობაში, იყო ჩვენი რაიონის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე. გულდასმით ასრულებდა ყოველ დავალებას, მეგობრებსა და ამხანაგებს შორის მოპოვებული ჰქონდა დიდი სიყვარული და პატივისცემა.

წავიდა ჩვენგან სახელოვანი სამხედრო მოსამსახურე, ქვეყნის, ხალხის წინაშე ვალმოხდილი პიროვნება და დაგვიტოვა კეთილი ხსოვნა. მის სახელს მუდამ გულთბილად მოვიგონებთ და არასდროს დაგვავიწყდება.

საბურთალოს რაიონის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმი.

სერგო ცირამუა

ქვეყნისა და ხალხის წინაშე დიდი დამსახურების მქონე გამოჩენილ ქართველ სამხედრო მოღვაწეთა ისედაც მცირერიცხოვან ჯგუფს კიდევ ერთი სასიქადულო კაცი სერგო ივანეს ძე ცირამუა გამოაკლდა.

იგი წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად ემსახურებოდა მე-9 სკოლის მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას, როგორც თანამშრომელთა, ასევე მოსწავლეთა შორის სარგებლობდა უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით.

ჩვენგან წავიდა უაღრესად სპეტაკი, კაცთმოყვარე ადამიანი. მისი ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება კოლეგებისა და მოსწავლეების გულში.

ქ. თბილისის მე-9 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

გამოსათხოვარი

ზურაბ რატიანი

ქართულმა იურიდიულმა საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა ცნობილი იურისტი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე, ჟურნალ „სამართლის“ მთავარი რედაქტორი ზურაბ რატიანი.

ზურაბ რატიანმა განვლო რთული და შინაარსიანი ცხოვრების გზა, რომელიც დასაწყისიდან მშობლების, შემდეგ მისივე მასშტაბური პიროვნების წყალობით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. ძნელია დაასახელო ჩვენი არცთუ შორეული წარსულის სამართლებრივი პოლიტიკის რამდენადმე საყურადღებო მოვლენა, რომელშიც არ იყოს ზურაბ რატიანის, როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორის, ერუდირებული სამართალმცოდნის და პუბლიცისტის სასიკეთო წვლილი.

ზურაბ რატიანი დაიბადა 1922 წელს ქ. გორში თვალსაჩინო ინტელიგენტების – მწერალ მარიამ გარიყულის და აგრონომ მელქისედეკ რატიანის ოჯახში. თბილისის მე-2 საშუალო სკოლაში, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის და იურიდიულ ფაკულტეტებზე მან საფუძვლიანი განათლება მიიღო. 1951 წელს ცნობილი მეცნიერის ნ. ალექსანდროვის ხელმძღვანელობით წარმატებით გაიარა საკავშირო იურიდიული ინსტიტუტის ასპირანტურა, სადაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სახელმწიფო სამართლის სპეციალობით.

აკადემიური განათლების მიღების შემდეგ ზურაბ რატიანი სხვადასხვა დროს მუშაობდა საშუალო სკოლის პედაგოგად, ადვოკატად, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს წევრად, თბილისის პროკურორის მოადგილედ. 50-იან და 60-იან წლებში მას ეკავა მნიშვნელოვანი პარტიული თანამდებობები ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელიდან ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგემდე. წინააღმდეგობრივი ეპოქის მიუხედავად ამ თანამდებობებზე საქმიანობისას გამორჩეული იყო მისი კეთილსინდისიერება და მაღალი პროფესიული კულტურა.

ზურაბ რატიანის ბიოგრაფიაში განსაკუთრებული იყო იუსტიციის სამინისტროში მოღვაწეობის პერიოდი, სადაც მან მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ცხრამეტი წელი იმუშავა. ამ პერიოდში ახლებურად ჩამოყალიბდა იმჟამინდელი იუსტიციის ორგანოები, გამოიცა კანონთა წიგნებისა და კრებულების ტომეულები, რომლებიც ჩვენი წარსულის განუყოფელი ნაწილია.

ზურაბ რატიანი საქართველოს იურისტთა კავშირის დამაარსებელია. ამ საზოგადოების ხელმძღვანელად იგი ორჯერ აირჩიეს და დემოკრატიული გარდაქმნების დასაწყისიდან სიცოცხლის ბოლომდე თავმჯდომარეობდა მას.

იურისტთა კავშირის ხელმძღვანელობას იგი ათავსებდა ამავე საზოგადოების ჟურნალ „სამართლის“ რედაქტორობასთან, რომელიც მატერიალური სირთულეების მიუხედავად კვლავაც ეხმაურება თანამედროვე საქართველოს მდიდარ იურიდიულ ცხოვრებას.

ზურაბ რატიანს ჰქონდა ადამიანებთან ურთიერთობის გამორჩეული კულტურა და უნარი, ჭეშმარიტი ქართველი ინტელიგენტისათვის ნიშანდობლივი პროფესიული და პიროვნული ღირსებები. სწორედ ამ თვისებებს აფასებდნენ მისი კოლეგები საქართველოში და საზღვარგარეთაც, როცა თავის დროზე საკავშირო იურიდიული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ, შემდეგ ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონის საპატიო მოქალაქედ ირჩევდნენ.

ზურაბ რატიანის ნათელი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ყველასათვის, ვინც მას იცნობდა.

ე. შევარდნაძე, ზ. ჟვანია, ვ. ლორთქიფანიძე, მ. უგრეხელიძე, ა. დემეტრაშვილი, ჯ. ბაბილაშვილი, ლ. ჭანტურია, კ. თარგამაძე, ვ. ძუთათელაძე, ნ. ბურჯანაძე, ნ. საჯაია, თ. ნინიძე, გ. ტყეშელიაძე, ა. შუშანაშვილი.

საქართველოს გენერალური პროკურატურა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი იურისტი, საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე
ზურაბ რატიანი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღვაწლმოსილი მამულიშვილის, საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარის, ჟურნალ „სამართლის“ მთავარი რედაქტორის, საქართველოს დამსახურებული იურისტის
ზურაბ რატიანის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სასიქადულო მამულიშვილის, გამოჩენილი ქართველი იურისტის, საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარის, ჟურნალ „სამართლის“ მთავარი რედაქტორის, საქართველოს დამსახურებული იურისტის
ზურაბ რატიანის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თბილისის საქალაქო სასამართლო იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე, ჟურნალ „სამართლის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული იურისტი
ზურაბ მელქისედეკის ძე რატიანი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის საზოგადოება „ცოდნის“ თანამშრომლები და ლექტორთა კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, გამოჩენილი ქართველი იურისტი, მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე, იურისტთა თაობების აღმზრდელი
ზურაბ მელქისედეკის ძე რატიანი
და გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჯემალ გახოკიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
ზურაბ რატიანი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვაჟა, ლელა აბაკელიები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ზურაბ რატიანი
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ალექსი პაპუაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული იურისტი
ზურაბ რატიანი
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს გენერალური პროკურატურა თანაუგრძნობს თბილისის რეგიონული სამხედრო პროკურორის მოადგილეს ჯემალ მინდორაშვილს დედის
ევგენია მინდორაშვილის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ეროვნული ოსტატი
ნიკოლოზ ხეჩიკაშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია, „საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველთვიური დამატება „ლაზიერის“ სარედაქციო კოლეგია მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა საერთაშორისო დიდოსტატის გია გიორგაძის მეუღლე
მარინე ომარის ასული ბაბუნაშვილი
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ნაძალადევის რაიონის განათლების განყოფილება, რაიონული პროფკავშირი, სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელები სამძიმარს უცხადებენ № 1 ცვლიანი სკოლის დირექტორს გულიკო გერსამიას შვილის
დავით რუხაძის
გარდაცვალების გამო.

ჯანდაცვის სამინისტროს საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მთავარ ექიმს თემურ კალანდაძეს დის
გენრიეტა კალანდაძის
გარდაცვალების გამო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურამ ბოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
არჩილ მანჯგალაძე.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება —
ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“
საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.